გაზეთი გამოდის 1999 წლიდან
ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru

№325 (384) 21-28 ივლისი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## რა საფრთხეების შესახებ აფრთხილებდა ალექსანდრე ჭაჭია ყოფილ და მოქმედ ხელისუფლებას?



— რადიკალური ლიბერალური ეკონომიკის მომხრე არა ვარ, ფრიდმანისა და საქსის თაყვანისმცემელი არ გახლავართ, მათ ეკონომიკურ მეცნიერებათა ავანტიურისტებად მივიჩნევ, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შემსრულებელ მათ მომხრეებს — საკუთარი ქვეყნების დამღუპველებად.

გვ.2

## სად იმალება ქართული მწერლობა?!




თუ ქართულ მწერლობას საკუთარი უფლებების დაცვა არ შეუძლია, მაშინ, რისი იმედი უნდა ჰქონდეს რიგით მოქალაქეს, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე უსამართლობას აწყდება და სამართლიანობის აღდგენის დაპირება კარგად შეფუთული ზღაპარი ჰგონია?!

რატომ დუმს ასე საეჭვოდ ქართული მწერლობა (თითო-ოროლას არ ვგულისხმობ), როცა საქმე ქართველი ერის ყოფნა-არყოფნას, მისი იდენტობის და ღირსეული ტრადიციების დაცვას ეხება?!

ზაურ ნაჭყებია გვ. 3



გვ. 4

## ქართველნო! ღვთის რწმენით, სასოებით და სიყვარულით, ზვიადისა და მერაბის გზით წინ!



## ზურაბ კვარაცხელია:



ქართველმა ერმა უნდა აღიმაღლოს ხმა ჩვენი გადაგვარების მოსურნე მონდიალისტურ-გლობალისტური ძალების მითითებითა და სტიმულირებით მოქმედი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების აღვირახსნილი თარეშის წინააღმდეგ!

ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს — როცა არსებობს დილემა ცუდსა და უარესს შორის — აირჩიო უფრო მისაღები ვარიანტი და არ გაწირო ერი და სამშობლო საბოლოოდ დაღუპვა-განადგურებისათვის!..

უდიდესი ძალისხმევის ფასად უნდა ავამოქმედოთ თითქმის მიძინებული თვითგადარჩენის რეფლექსი! უნდა ვიხსნათ საკუთარი ერი სრული სულიერი და ფიზიკური განადგურებისაგან!

გვ.7

ჩართეთ კონდიციონერი, საუნაში ხომ არ ვართ?" — ჯერ ვითხოვთ, შემდეგ ვყვირით, ვემუქრებით, მაგრამ შენც არ მომიკვდე...

გვ. 5




სააკაშვილისთვის დამახასიათებელი თავხედობით აღშფოთებულმა ოდესელებმა მასობრივი საპროტესტო აქცია მოაწყვეს დევიზით: "ჩვენ არ გვჭირდება ის დიდი სამხედრო დამნაშავე, რომელიც ხოცვა-ჟლეტვისთვის მოვიდა".

გვ. 7

## მიმართვა მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანების, რელიგიურ მიმდინარეობათა წარმომადგენლებისა და ქვეყნების ლიდერებისადმი

გვ.7-9

# რა საფრთხეების შესახებ აფრთხილებდა ალექსანდრე ჭაჭია ყოფილ და მოქმედ ხელისუფლებას?

**წინამდებარე წერილი გამოქვეყნდა 2005 წელს**

*(გაგრძელება 324-ე ნომრიდან)*

**– თქვენ ერთადერთი ქართველი პოლიტიკოსი ბრძანდებით, რომელმაც აშშ-ის სელჩოსთან საპროტესტო მიტინგი გამართა ერაყში ომის დაწყების წინააღმდეგ. რა გამოძრავებდათ?**

– ერაყში ომის წინააღმდეგ ნახევარი მსოფლიო გამოდის – იმ სახელმწიფოთა მთავრობები, რომლებიც თავისუფალი არიან აშშ-ზე კოლონიური დამოკიდებულებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციები, უბრალოდ, წესიერი ადამიანები სხვადასხვა სახელმწიფოდან ამ ომს ეწინააღმდეგებიან. ქვეყანაზე მძლავრი დემონსტრაციები, სხვათა შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში გაიმართა. საქართველოში მთავრობაც და პოლიტიკური პარტიებიც ამერიკელებს შესცქეროდნენ თვალებში და ამ მხეცურ აგრესიას მიესალმებიან. ერაყში შეჭრა ყველა პატიოსანი ადამიანისთვის მრავალი მიზეზის გამო არის მიუღებელი. ჯერ ერთი, ამერიკელებმა ეს თვითნებურად – გაეროს სანქციის გარეშე ჩაიდინეს, ანუ ფეხქვეშ გათელეს მსოფლიო მართლწესრიგი, საერთაშორისო სამართალი, რომელიც ასე თუ ისე, უზრუნველყოფდა მსოფლიოში სტაბილურობასა და გლობალურ უსაფრთხოებას. მეორეც, ამერიკელებმა იმის დემონსტრირება მოახდინეს, რომ ცალკეული ქვეყნების სუვერენიტეტი ფიქციაა და სხვა სახელმწიფოზე თავდასხმა შეიძლება მხოლოდ **„ძალის უფლებით“,** ანუ მსოფლიო საყოველთაო ქაოსის საფრთხის წინაშე დააყენეს. მესამეც, ისინი ატყუებდნენ საკუთარ ხალხსაც და მთელ მსოფლიოსაც, რომ სადამი მასობრივი განადგურების იარაღს ფლობს, თუმცა დანამდვილებით იცოდნენ, რომ ეს ასე არ იყო. ისინი მხოლოდ საკუთარი ნავთობინტერესებით ხელმძღვანელობდნენ, მათ შორის, ოჯახური ბიზნესის ინტერესებით, როგორც, მაგალითად, პრეზიდენტი ბუში და ვიცე-პრეზიდენტი ჩეინი. ახლახან აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა ბოდიში მოიხადა მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე იმის გამო, რომ იძულებული იყო, საჯაროდ ეთქვა ტყუილი ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის შესახებ. სინდისმა შეაწუხა კაცი. სხვათა შორის, იმ პერიოდში შევარდნაძემ მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ თავისი დაზვერვის მიერ მოპოვებული უცილობელი მონაცემები აქვს ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის შესახებ. მაშინ ევროპაში ბევრი იცინეს მლიქვნელი მარიონეტის ყალბ ტიტინზე. დარწმუნებული ვარ, შევარდნაძეს სინდისი ვერ აიძულებს, ბოდიში მოიხადოს. მეოთხეც, ერაყში შეჭრით ამერიკელებმა სტიმული მისცეს მსოფლიოში ბირთვული შეიარაღების ახალ რბოლას, რადგან ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელსაც არ უნდა ამერიკის კოლონიად იქცეს, ნათელი გახდა, რომ ამერიკის თავდასხმისგან თავის გადასარჩენად ბირთვული იარაღი უნდა იქონიონ. ერაყს რომ მართლაც ჰქონოდა ბირთვული იარაღი, ამერიკელები არასდროს შეეყოფდნენ იქ ცხვირს. ერაყის ბედი აიძულებს დღეს ირანს ბირთვული პროგრამის ფორსირებას. მეხუთეც, ერაყის ომით ამერიკელებმა გააღვივეს ცივილიზაციური წინააღმდეგობანი ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროს შორის, რომლის შემდგომმა ესკალაციამ მსოფლიო საყოველთაო კატასტროფამდე შეიძლება მიიყვანოს. მისი ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი, შესაძლოა, სწორედ საქართველო გახდეს. მეექვსეც, ამერიკელებმა სრულიად და დიდი ხნით მოახდინეს არა მარტო დემოკრატიის იდეის, არამედ თვით სიტყვა **«დემოკრატიის»** დისკრედიტაცია; როცა 50-100 მშვიდობიანი ერაყელის ყოველდღიური დაღუპვის ფონზე ბუში **«ერაყული დემოკრატიის»** ფორმირებაში ამერიკელთა წარმატებებზე საუბრობს, **«დემოკრატია»** და **«კაციჭამიობა»** ადამიანთა ცნობიერებაში იდენტურ ცნებებად იქცევა. მეშვიდეც, გარდა ათი ათასობით ადამიანის მკვლელობისა, ამერიკელებმა დაბომბვებით კაცობრიობის ისტორიის უდიდესი ძეგლები, ფაქტობრივად, მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი გაანადგურეს, მსოფლიო მნიშვნელობის მუზეუმები გაძარცვეს, კაცობრიობას, პრაქტიკულად, წაართვეს მისი ისტორიის მთელი პლასტი. კიდევ ბევრი ფაქტორის ჩამოთვლა შეიძლება, რამაც ამ ომის დანაშაულებრივი, ანტიადამიანური ხასიათი განაპირობა და რომელიც კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ჩემი ღრმა რწმენით, საქართველო ამ ომში არ უნდა მონაწილეობდეს.

**– როგორ ფიქრობთ, ამერიკელები ირანის წინააღმდეგ ომს დაიწყებენ?**

– რთულია რაიმეს პროგნოზირება, როცა ისეთ კურიოზულ ფენომენს ვეხებით, როგორიცაა ბუში და მისი გარემოცვა. ახლახან შეერთებულ შტატებში სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარეს, რათა გაერკვიათ, ვის მიიჩნევს ამერიკის მოსახლეობა ყველაზე სულელად. პირველ ადგილზე მომღერალი მაიკლ ჯეკსონი გავიდა, მეორეზე – ვიცე-პრეზიდენტი ჩეინი, მესამეზე – თავდაცვის მინისტრი რამსფელდი, მეოთხეზე – პრეზიდენტი ბუში. ამერიკელ ჟურნალისტებს გაუკვირდათ, თუ რატომ არ აღმოჩნდა ბუში პირველ ადგილზე. ამიტომ რთული განსასჯელია, რამდენად ჭკუის სასწავლებელი აღმოჩნდა ერაყული გამოცდილება ამგვარი გონებრივი შესაძლებლობის ადამიანებისთვის. თუმცა ვფიქრობ, რომ ამერიკის საზოგადოება არ მისცემს მათ საშუალებას, ჩაითრიონ ქვეყანა კიდევ ერთ სამხედრო ავანტიურაში. ამერიკელებს ხომ არაფერი გამოსდით ერაყში. ამერიკელი ჯარისკაცები ყოველდღე იღუპებიან, ერაყელებს სძულთ ისინი, ქვეყანას შინაგანი წინააღმდეგობანი ანგრევს, ბოლოს და ბოლოს იგი სამ ფსევდოსახელმწიფოდ დაიშლება და სამივე მტრული იქნება როგორც ამერიკის, ისე მთელი ქრისტიანული სამყაროს მიმართ. ანალოგიური ვითარებაა ავღანეთშიც. ამერიკელები მხოლოდ ქაბულს აკონტროლებენ, დანარჩენი ტერიტორია თალიბების ხელშია; და თუ ამერიკელების შეჭრამდე ავღანეთიდან ყოველწლიურად 20 ტონა ნარკოტიკები გაიზიდებოდა, ახლა ეს მაჩვენებელი 300 ტონამდე ავიდა. ორი ომიდან არც ერთმა არ მოიტანა ის შედეგი, რასაც ბუში ელოდა. ხელისუფლების უკან მდგომ ტრანსნაციონალურ კორპორაციებსაც, მათ შორის ნავთობკომპანიებსაც, ალბათ, ესმით, რომ ამ მეთოდით პრობლემებს ვერ მოაგვარებ, დაკარგვით კი ბევრს დაკარგავ, თუ ყველაფერს არა. თუმცა ომის დეტალური გეგმა, რომელიც 70 ირანული ობიექტის დაბომბვას ითვალისწინებს, უკვე შემუშავებულია. ღმერთმა ნუ ქნას, რომ საომარი მოქმედებების მსვლელობისას თუნდაც ერთი ირანული რაკეტა ჩამოვარდეს საქართველოში ან ისლამურმა სამყარომ საქართველო ამ ომში ამერიკის მოკავშირედ მიიჩნიოს.

**– რა დამოკიდებულება გაქვთ უმნიშვნელოვანესი სამეურნეო ობიექტების უცხოელ მესაკუთრეებზე გაყიდვის მიმართ?**

– რადიკალური ლიბერალური ეკონომიკის მომხრე არა ვარ, ფრიდმანისა და საქსის თაყვანისმცემელი არ გახლავართ, მათ ეკონომიკურ მეცნიერებათა ავანტიურისტებად მივიჩნევ, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შემსრულებელ მათ მომხრეებს – საკუთარი ქვეყნების დამღუპველებად. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მომხრე ვარ, სახელმწიფო რეგულირების დიდი წილით. მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ სახელმწიფო უნდა ფლობდეს უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტებს, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას განსაზღვრავს, ამიტომ ვარ საქართველოს სახალხო მეურნეობის მთლიანი პრივატიზაციის წინააღმდეგი. მესმის, რომ ხელისუფლებას ბიუჯეტის შევსება სჭირდება, ხოლო მკვდარი ეკონომიკის პირობებში ერთადერთი საშუალება ეროვნული სიმდიდრის გაყიდვაა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს რეზერვი ძალიან მალე ამოიწურება, გასაყიდი აღარაფერი დარჩება. მერე რაღა ვქნათ? ამიტომ 90-იანი წლების შუახნიდან ვთავაზობდი ეკონომიკური განვითარების მოდერნიზაციულ მოდელს, ანუ ეროვნული ეკონომიკის მოდელს, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში უნდა განვითარდეს. მაშინ ჯერ კიდევ გვქონდა სერიოზული პოტენციალი, მაგრამ შევარდნაძემ მისი საფუძვლამდე დანგრევა მოახერხა. რაც დარჩა, დღევანდელმა ხელისუფლებამ გაყიდა. ამიტომ შემდგომ ხელისუფლებას, თუ იგი ეროვნულად ორიენტირებული იქნება, უკვე ეკონომიკის სამობილიზაციო მოდელის რეალიზება მოუწევს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ იმ დროისთვის საქართველო საბოლოოდ არ გადაიქცევა კოლონიად, რომელსაც საკუთარი ეკონომიკა არ სჭირდება.

**– მაგრამ ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ქვეყანაში არნახული ეკონომიკური ზრდაა და მალე საქართველო ტურისტულ სამოთხედ იქცევა...**

– ტურიზმი და ტრანზიტი საქართველოს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნად ვერ აქცევს. ეს ედუარდ ბაბუს ზღაპრებია. გარდა ამისა, ეს სფეროები არ ეთანხმება ქართველი ხალხის ეროვნულ თავისებურებებს და ისტორიულ მისწრაფებებს; საჭირო გახდება ერის სულიერ-ზნეობრივი საფუძვლების ნგრევა, ამას კი ერის დეგრადაცია, მისი გადაგვარება მოჰყვება.

რა თქმა უნდა, ტურიზმისა და ტრანზიტის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ეს ეროვნული ეკონომიკის მხოლოდ ნაწილი უნდა იყოს. საქართველოში არასოდეს იქნება იმდენი ტურისტი, რამდენიც დღეს ესპანეთში ჩადის, მაგრამ იქაც ტურიზმის შემოსავლები ესპანეთის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენს, თანაც ესპანეთი სულაც არ არის მდიდარი ქვეყანა. ეროვნული განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყანაში, რომელსაც კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება შეუძლია. ეს თანამედროვე მსოფლიოს აქსიომაა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ გავუწევთ კონკურენციას დიდ ქვეყნებს ბევრ საწარმოო დარგში: ამისთვის შესაბამისი ბუნებრივი, ადამიანური და ფინანსური რესურსები არ გაგვაჩნია, მაგრამ ჩვენ გვაქვს ერთი რამ: საბჭოთა დროიდან დარჩენილი სამეცნიერო და შემოქმედებითი პოტენციალი. ჯერ კიდევ გვყავს უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო-ტექნიკური კადრები, ფუნდამენტური მეცნიერების დიდი ტრადიციები და საკადრო ბაზა. ეს პოტენციალი საკმარისია იმისთვის, რომ შეიქმნას თანამედროვე, კონკურენტუნარიანი სამრეწველო წარმოების ორი-სამი მეცნიერებატევადი, მაღალტექნოლოგიური დარგი. ამ ამოცანის გადაჭრისთვის 10-15 წლის წინ რომ მოეკიდებიათ ხელი, დღეს საქართველო ღირსეული სახელმწიფო იქნებოდა, თუმცა ჯერაც არ არის გვიან.

ყურადღება მიაქციეთ: ჩვეულებრივ, ახლადწარმოქმნილი ქვეყნები, რომლებიც სახელმწიფოებრივ მშენებლობას იწყებენ, პირველ ეტაპზე ტურიზმსა და ტრანზიტს ავითარებენ, სასარგებლო წიაღისეულს ყიდიან, რათა თანხები დააგროვონ და ჩადონ მეცნიერებასა და განათლებაში, ჩამოაყალიბონ ეროვნული სამეცნიერო-ტექნიკური კადრები, ხოლო შემდეგ საკუთარი სამრეწველო პოტენციალი შექმნან. ვისაც ეს გამოსდის, იგი დამოუკიდებელი, ეკონომიკურად განვითარებადი სახელმწიფო ხდება. ვინც ვერ ახერხებს, იგი სამარადისოდ ჩამორჩენილ კოლონიად იქცევა. ჩვენ რას ვაკეთებთ? საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის საქართველო განვითარებული აგრარულ-ინდუსტრიული სახელმწიფო იყო მძლავრი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ბაზით და სამეცნიერო, საინჟინრო-ტექნიკური კადრების კოლოსალური კორპუსით. დამოუკიდებელი (!) სახელმწიფოს ხელისუფლებამ, შევარდნაძის ხელმძღვანელობით, ჯერ გააჩერა სამრეწველო წარმოება, გაყიდა ქარხნებისა და ფაბრიკების აღჭურვილობა, ქუჩაში გაყარა სამეცნიერო-ტექნიკური კადრები, შემდეგ გადაკეტა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების ბაზარი და ამ სფეროს დაფინანსება შეწყვიტა, გააკოტრა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებები და ამით ეკონომიკის აგრარული სექტორი მოსპო. შემდეგ, პარალიზებული ეკონომიკის პირობებში და სპეციალისტებზე მოთხოვნის არარსებობის პირობებში კომერციული უმაღლესი სასწავლებლების სისტემა შემოიღო, რითაც უმაღლესი განათლება გააუფასურა და პარალელურად ტრადიციული უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების დაქსაქსვა გამოიწვია, რითაც კოლექტიური სამეცნიერო საქმიანობა მოკლა. უმაღლესი სკოლისა და აკადემიური ინსტიტუტების დაფინანსების შეწყვეტასთან ერთად, ეს ქართული მეცნიერების სიკვდილს ნიშნავდა. ახალმა ხელისუფლებამ მხოლოდ ლოგიკური დასასრულისკენ წაიყვანა ეს პროცესი, როცა მისი უკანასკნელი სტადიის რეალიზაციას მიჰყო ხელი: კვალიფიციური სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების საბოლოო განდევნა, უმაღლესი განათლების ბაკალავრიატად ქცევა, უმაღლესი სასწავლებლებისა და აკადემიური მეცნიერების, როგორც ასეთის, განადგურება. ქვეყნის დეინდუსტრიალიზაციის, დეზინტეგრაციის და დეგრადაციის პოლიტიკა ლოგიკურ დასასრულს უახლოვდება. პარალელურად მცირდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა, მცირდება მასწავლებელთა კორპუსი. მიგიქცევიათ ყურადღება ექიმების დისკრედიტაციის მიზანმიმართული პროპაგანდისტული კამპანიისთვის? თურმე **„უმაღლესი ინსტანციიდან“** შეხსენება მოვიდა, რომ საქართველომ ექიმების რაოდენობა 30 პროცენტით უნდა შეამციროს. განვითარებად ქვეყანას, რომელთა კატეგორიაში შევარდნაძემ შეგვიყვანა, სტატუსით არ ეკუთვნის ბევრი სკოლა, სრულყოფილი უმაღლესი სასწავლებლები და ამდენი ექიმი. საქართველომ საკუთარ თავზე აიღო ფუნქცია – ტრანზიტისა და ტურისტების მომსახურება. მომსახურე პერსონალს კი რაში სჭირდება მეცნიერება და განათლება?

უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესები მხოლოდ დღევანდელი საქართველოსთვის როდია დამახასიათებელი. მართალია, ამდენად არა, მაგრამ ეს ყველა იმ პოსტსოციალისტურ ქვეყანას ახასიათებს, რომელთა ხელმძღვანელობა ე.წ. რეფორმებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებით და ამერიკელი მრჩეველების ხელმძღვანელობით ახორციელებდა. აკადემიური მეცნიერება, ფაქტობრივად, განადგურებულია პოლონეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, ჩეხეთსა და სხვა აღმოსავლეთევროპულ ქვეყნებში. ელცინის პერიოდში ანალოგიური საფრთხის წინაშე დადგა მეცნიერება რუსეთშიც. ეს გასაგებიცაა, რადგან თანამედროვე მსოფლიოში კონკურენციის უნარი მხოლოდ ისეთ ქვეყნებს აქვთ, რომელთაც სამეცნიერო კვლევების მაღალი დონე და მეცნიერებატევადი მაღალტექნოლოგიური წარმოება გააჩნიათ. მომავალი ამ ქვეყნებისაა. რაც უფრო ნაკლები იქნება ასეთი ქვეყანა, მით უფრო ძლიერი იქნება ის სახელმწიფოები, რომლებიც თავისთან მოუყრიან თავს მძლავრ სამეცნიერო პოტენციალს. ცნობილია, რომ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მეცნიერების ნგრევის შემდეგ მსხვილ მეცნიერთა უმრავლესობა შეერთებულ შტატებში წავიდა. ასეთივე ტენდენციაა მაღალტექნოლოგიური წარმოებების მხრივაც. ჩეხეთი სოციალისტურ პერიოდში 1 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების მხოლოდ შეიარაღების ექსპორტს ახორციელებდა, დღეს კი მისი ექსპორტი 50 მილიონ ევროს არ აღემატება, ვინაიდან ამერიკელებს იარაღის ბაზარზე კონკურენტი არ ესაჭიროება. **„ნარინჯისფერი რევოლუციის“** შემდეგ უკრაინამ **„რეკომენდაცია“** მიიღო, შეამციროს ავიამშენებელი, აეროკოსმოსური მრეწველობა და გააფართოვოს მეტალურგიული და ქვანახშირის წარმოება.

**– მახსოვს თქვენი სტატია „გეწყინთ? გეწყინოთ!“, რომელშიც მეტად მწვავედ წერდით ინტელიგენციის პასიურობაზე თანამედროვე საქართველოში. აზრი ხომ არ შეგეცვალათ? როგორი დამოკიდებულება გაქვთ უკანასკნელ მოვლენებზე თბილისის უნივერსიტეტში?**

– დიახ, ეს 7-8 წლის წინანდელი სტატიაა, რომელშიც ვეცადე ე. წ. ქართული ინტელიგენციის ავანგარდის ყურადღება მიმექცია იმისთვის, რომ ქვეყნისთვის დამღუპველი პროცესების მიმართ პასიური დამკვირვებლის პოზიცია დაუშვებელია. ვწერდი, რომ შევარდნაძის პოლიტიკა მიგვიყვანს ეკონომიკის, მეცნიერების, განათლების სრულ განადგურებამდე, ეროვნული სულიერ-ზნეობრივი ფასეულობების სრულ დევალვაციამდე და, საბოლოოდ, ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის, დეგრადაციამდე. ინტელიგენციას მოვუწოდე, გაეხსენებინა საკუთარი ზნეობრივი მისია ქართული საზოგადოების წინაშე, ხმა აემაღლებინა, დამდგარიყო ერის სასიცოცხლო ინტერესების, მისი მომავლის დასაცავად. შევუძახე ქართველ მწერლებს, აკადემიკოსებს, ვეცადე ამეხსნა, რომ მალე მათი წიგნების წამკითხავი, მათი სამეცნიერო მიღწევებით მოამაყე აღარავინ დარჩებოდა, რადგან საქართველოში აღარ იქნება უნივერსიტეტები, აკადემიური ინსტიტუტები, განათლებული საზოგადოების ფართო წრე და ელემენტარულად, წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობაც კი. მაშინ მეგონა, რომ ფერებს ვამუქებ, მაგრამ სინამდვილემ ყველაზე მძიმე წინათგრძნობასაც კი გადააჭარბა. იმ სტატიის პასუხად პრესაში რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა, მათ შორის კოლექტიურიც, რომელსაც ხელს ინტელიგენციის ტიტულოვანი წარმომადგენლები აწერდნენ. ამ წერილებში **„კრემლის აგენტს“** (რა შუაში იყო კრემლი?), ქართული სახელმწიფოებრიობის მტერს, სინამდვილის გამყალბებელს მიწოდებდნენ, რომელიც ხელს უშლის პრეზიდენტს ქვეყნის ევროპაში შეყვანის საქმეში.

რაც შეეხება უკანასკნელ მოვლენებს თბილისის უნივერსიტეტში, ეს ქართული ინტელიგენციის მრავალწლიანი მდუმარების კანონზომიერი შედეგი და, ამავე დროს, ბევრი ჩვენი ინტელიგენტის შინაგანი არსის გამოვლინებაც არის. აღმოჩნდა, რომ მათი აღშფოთება მხოლოდ სამსახურიდან დათხოვნასა და ხელფასის დაკარგვას შეუძლია. შევარდნაძემ კარგად იცოდა მათი ბუნება და სარგებლობდა ამით. განსაკუთრებით ეს ე. წ. ელიტურ ინტელიგენციას ეხებოდა. ზოგს სამარშრუტო ტაქსების ხაზი ჰქონდა, ზოგს – კომერციული უმაღლესი სასწავლებელი, ზოგსაც – რაიმე გრანტი. საბჭოთა დროში ეს იყო ბინები, მანქანები, საზღვარგარეთ მოგზაურობები, მათი ნაწარმოებების მრავალათასიანი ტირაჟები და ა.შ. ასე ხერხდებოდა სამეცნიერო და შემოქმედებითი ელიტის ლოიალობის ყიდვა, რაც, თავის მხრივ, შესაბამისად ზემოქმედებდა ინტელიგენციის სხვა ფენებზე. სიტყვამ მოიტანა და ვხედავ, რომ შევარდნაძის მემკვიდრეებმა წარმატებით აითვისეს მათი მასწავლებლის გაკვეთილები. ყურადღება მიაქციეთ: უნივერსიტეტის რექტორმა პროტესტის გამომხატველებისგან გამოყო ყველაზე აქტიური და ავტორიტეტული პროფესორები, უბოძა თანამდებობები, მაღალი ხელფასიც დაუნიშნა და მათაც მაშინვე შეწყვიტეს პროტესტი. ასაკოვანი ხალხია და არც კი შერცხვათ...

რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის პედაგოგებს შორის ბევრია პრინციპული ადამიანი, რომელთაც მეცნიერებისა და განათლების **„რეფორმის“** დამღუპველობა ესმით. მათ გვიან, მაგრამ მაინც დაიწყეს ბრძოლა ერის მომავლისთვის. საპროტესტო განწყობილებებს სახელისუფლო სტრუქტურების შეურაცხმყოფელი ქცევაც უწყობს ხელს. საბჭოთა დროს მილიციის თანამშრომლებს უფლება არ ჰქონდათ, უნივერსიტეტის შენობაში ფორმით შესულიყვნენ. დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტებიც კი, რომლებიც მილიციაში მუშაობდნენ, უნივერსიტეტში სამოქალაქო ტანსაცმლით უნდა გამოცხადებულიყვნენ. დღეს დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოში პოლიციელები კინწისკვრით ყრიან პროფესორებს უნივერსიტეტიდან, განათლების მინისტრი კი იმავე პროფესორებს ხულიგნებს უწოდებს!

# სად იმალება ქართული მწერლობა?!




ამ ბოლო ხანებში ერთი ჩემთვის უჩვეულო კითხვა ამეკვიატა: ქართული მწერლობა გარდაიცვალა, თუ საღათას ძილით სძინავს და შეიძლება გამოღვიძება არც ეღირსოს?!

– რა დამიშავა, რას ვერჩი ქართულ მწერლობას ან განსაკუთრებულს რას ვითხოვ მისგან?! – იკითხავთ თქვენ და მართალიც იქნებით!

ახლავე გიპასუხებთ:

პირადად არაფერს ვერჩი, მაგრამ საკუთარი თავი დამნაშავე მგონია, როცა ვხედავ, როგორ ჩაურგვია ქართულ სიტყვას თავი სირაქლემასავით ქვიშაში და ამაზე აქამდე ხმას არ ვიღებდი. თავისუფალი სიტყვა დიდი ძალაა და დღეს ყველაფერს ეგუება – დამცირებასაც, შოლტის გადაკვრასაც, გათითოკაცებასაც, უზნეობის პროპაგანდასაც...

არადა, პირიქით უნდა იყოს – ქართული სიტყვა, ქართული მწერლობა ერის სულიერების სადარაჯოზე უნდა იდგეს და მეწინავე დროშა უნდა ეჭიროს!

ქართული იდენტობის, ქართული ტრადიციების სადარაჯოზე უნდა იდგეს და ყოველივე უხამსს და ძალით თავსმოხვეულს უნდა აშიშვლებდეს!

მისი საყვირის ხმა სრულიად საქართველოს უნდა აზანზარებდეს, ხალხს სწორ ორიენტირს უსახავდეს და კომფორტზე დახარბებულ, ყველაფერზე ხელის მომწერ ხელისუფლებას შიშის ზარს უნდა სცემდეს!

ასე იყო ოდესღაც!

მიუხედავად იმისა, რომ წინა საუკუნეებშიც ბევრი გვყავდა ხელისუფლების მეხოტბე და კონიუნქტურას აყოლილი ქართველი მწერალი, ქართული სიტყვა თავის საქმეს მაინც აკეთებდა – ზოგჯერ შეფარვით, ზოგჯერ სისხლისა და საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი, მაგრამ აკეთებდა!

დღეს კი...

დღეს ქართული მწერლობა არსად ჩანს, თუ არ ჩავთვლი პომპეზურ ე.წ. პრეზენტაციებს თუ ყავლგასულ საიუბილეო საღამოებს, სადაც დაფნის გვირგვინი უცერემონიოდ რიგდება ხოლმე!

სად გაქრა ჭეშმარიტი ქართული სიტყვა, რომელსაც ხარბად ისრუტავდა ასევე ჭეშმარიტი ქართველი მკითხველი და რომელსაც არა მარტო შთაგონების, არამედ მაცოცხლებელი ძალაც ჰქონდა?

სად გაქრა ქართული კრიტიკა, რომელიც თუ გამონაკლისებს არ მივიღებთ მხედველობაში, ქართული მწერლობის უტყუარი შემფასებელი იყო?!

მე არა ვარ ფორმალური გაერთიანების მომხრე, მაგრამ ქართველ მწერლთა ერთობა რომ აუცილებელია, ამას ჩემი დასტური არ სჭირდება – მწერალი თავისთავად ძალაა, ყველა ერთად აღებული კი დიდი ძალა, რომელსაც ერის სულიერი საყრდენის შესრულება შეუძლია. ეს კარგად იცოდნენ **„ნაციონალებმა“** და იერიში სწორედ სიტყვაზე მიიტანეს, რადგან **„პირველად იყო სიტყვა“**.

ქართველ მწერალთა ერთობა (კავშირი) კი ისე დაშალეს და დაასუსტეს, მტერს რომ უხარია და მოყვარეს გულს უკლავს.

მარტივ მამრავლებად დაშლილი მწერლობა კი დღეს არავისთვის საშიშროებას არ წარმოადგენს – პირიქით, ერთმანეთს უთხრიან ძირს და ერთმანეთის ლანძღვაგინებაში ჭენებ-ჭენებით მიემართებიან... მანქურთობის მორევისკენ!

ყველა ეპოქა საკუთარი თავისებურებით გამოირჩევა. ბუნებრივია, ამ მხრივ თანამედროვე ეპოქაც გამორჩეულია – გამორჩეულია შურითა და ცილისწამებით, უზნეობითა და შეუბრალებლობით, ღალატითა და გათითოკაცებით (გათითოკაცებაში სიკეთის მსახურებას ვგულისხმობ, თორემ სატანა ისეა შეკრული და აბობოქრებული, ლამისაა ბოლომდე ჩაყლაპოს დედამიწა!).

დღეს მწერალს თავისი ადგილი და ფასი არა აქვს. ჟურნალისტიკა მხოლოდ საზოგადოების ზომბირებას და უზნეობის პროპაგანდას ემსახურება, ინტელიგენციამ თავისი პირვანდელი დანიშნულება (ფუნქცია) დაკარგა და საკუთარ ნაჭუჭში ჩაიძირა...

რაც შეეხება მასას, იგი დაბნეულია და მტყუან-მართლის გარჩევას ვერ ახერხებს...

...ამ რამდენიმე დღის წინათ პოეტმა დალი ყარაულაშვილმა **„ივერიონში“** ფრიად დამაფიქრებელი სტატია გამოაქვეყნა: **„უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიან, ანუ რატომ გათავხედდა ნატა ლომოური?!“**

ავტორი გულისტკივილით წერდა, თუ როგორ გააქირავეს კომერციულ ფართად მწერალთა სახლის ბაღი, სადაც ძვირადღირებული კაფე-ბარი მოეწყო და სადაც ერთი ფინჯანი ყავა 5 ლარამდე ღირს (რომლის საშუალებაც ყველასგან მიტოვებულ მწერალს ნამდვილად არა აქვს). (გაზეთ **“ილორი”**-ს აქტიური ავტორი, თბილისის კრწანისი რაიონის ყოფილი პრეფექტი ბატონი დავით ქობალია დამეთანხმება – 1991 წელს, როცა პირადად მე მასთან ვაწარმოებდი მოლაპარაკებას ჟურნალისტებისათვის შემოქმედებითი კაფესათვის ადგილის გამოყოფის თაობაზე, სადაც ჟურნალისტები, ფინჯან ჩაისთან, დარგის ავ-კარგს განსჯიდნენ, ზოგიერთმა ცნობილმა **“შემოქმედმა”** მაშინ ერთ-ერთი უავტორიტეტესი გამომცემლობა გადააქცია სავაჭრო დაწესებულებად და საკმაოდ სარფიანად ყიდდა **“კოკა-კოლას”**, ყავას და ხაჭაპურებს – **როლანდ ჯალაღანია, მთავარი რედაქტორი**).

ეგ კიდევ არაფერი, თუ არ გინდა, არც შეუკვეთავ, მაგრამ შინაგანაწესს თუ არ დაემორჩილე, იქ შესვლის და დაჯდომის უფლებაც არ გაქვს თურმე – აუცილებლად ერთი ფინჯანი ყავა მაინც უნდა აიღო. არავის აინტერესებს მწერალი ხარ თუ შემთხვევით შემოსული მოქალაქე – **„კანონი“** კანონია!

დღევანდელ მწერალთა სახელმწიფოს წინაშე სრულ უპასუხისმგებლობას რომ ვუყურებ, ასეთი რამ ნამდვილად არ მიკვირს – შეიძლება ითქვას, უარესის ღირსნიც არიან!!!

მესმის, თავის დროზე **„ნაციონალების“** რისხვას ვერც მწერალთა სახლი გადაურჩა, მაგრამ, ხომ მოვიდა ახალი ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენის და დამკვიდრების ლოზუნგით, ხომ უძღვნიდნენ თავის დროზე დითირამბებს ბიძინა ივანიშვილს და მის მიერ ხელოვნურად შეკოწიწებულ უმრავლესობას მისი უდიდებულესობა ქართველი მწერლები?!

რატომ ახლა მაინც არ ითხოვენ ორგანიზებულად საკუთარი შენობის დაბრუნებას და როგორც ხშირად იმეორებენ ხოლმე, სამართლიანობის აღდგენას?!

თუ ქართულ მწერლობას საკუთარი უფლებების დაცვა არ შეუძლია, მაშინ, რისი იმედი უნდა ჰქონდეს რიგით მოქალაქეს, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე უსამართლობას აწყდება და სამართლიანობის აღდგენის დაპირება კარგად შეფუთული ზღაპარი ჰგონია?!

რატომ დუმს ასე საეჭვოდ ქართული მწერლობა (თითო-ოროლას არ ვგულისხმობ), როცა საქმე ქართველი ერის ყოფნაარყოფნას, მისი იდენტობის და ღირსეული ტრადიციების დაცვას ეხება?!

რატომ გახდა მისთვის **“კაზანტიპი”**, ანტიდისკრიმინაციული კანონი, საყდრისი, უცხოელებზე მიწის **„უპრაგონოდ“** მიყიდვის კანონპროექტი, ID ბარათების თემა მეათეხარისხოვანი და რატომ სძინავს დღემდე ყურთბალიშზე?!

რატომ არ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას ქართული მწერლობა, როცა ჩვენმა **„სტრატეგიულმა“** პარტნიორმა – ამერიკამ შტატების მთელ ტერიტორიაზე ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონა და მისი ექსპორტით მთელ მსოფლიოს სოდომ-გომორის ცოდვით ემუქრება?!

სად არის ქართველი მწერლების ხმა, რომელმაც ხელისუფლება უნდა შეაზანზაროს და ხალხს მოსალოდნელი საშიშროება უნდა დაანახოს და ააშოროს?!

მე შეგნებულად არ ვსვამ კითხვებს: რატომ არ იქმნება ადრინდელივით ქართული შედევრები და რატომ დაკარგა ქართულმა მწერლობამ ერთგული მკითხველი, რომელიც ფასეულის შესაძენად დღესაც ბოლო თეთრს გაიღებს!

მე უფრო ის მაინტერესებს, საერთოდ შემორჩა თუ არა ქართული მებრძოლი სული ქართულ პროზას და პოეზიას (აქაც გამონაკლისებს არ ვგულისხმობ) და დაბრუნდება თუ არა ის ძველი დიდება, რომლითაც ქართველი ერი საუკუნეების განმავლობაში თავს იწონებდა და ამაყობდა კიდეც!

მინაწერი: ღმერთმა ნუ ქნას, ქვეყანაში სიტუაცია მთლად უნუგეშო იყოს. როგორც ვთქვი, არიან გამონაკლისებიც, ამ შემთხვევაში ცოცხალ მაგალითად გამოდგება ახალგაზრდა კრიტიკოსი ლევან ბებურიშვილი (დიდი ილიას შთამომავალი). მან გააშიშვლა ახალგაზრდა ქართველი მწერლების ანტიქართული ტენდენციები, რომელიც თავიდან ბოლომდე უზნეობის ბაცილითაა დასნებოვნებული და სტიმულირებულია სატანური ძალების მიერ.

ჩვენს უნუგეშო სიტუაციას კიდევ რამდენიმე ლევან ბებურიშვილი სჭირდება!

**ზაურ ნაჭყებია**

# “სააკაშვილი დროის 70%-ს ფულის კეთებას უთმობს” – კომპრომატები ქართველი ექსჩინოვნიკების წინააღმდეგ

***“უკრაინაში კლინიკების 95% სახელმწიფო საკუთრებაა და საბაზრო ღირებულება 300 მილიარდ დოლარს აღემატება. უკრაინის სამედიცინო წრეებმა ეს სქემა გაშიფრეს და კვიტაშვილს შეუტიეს. ასე რომ, აღარავის გადაუხედავს კვიტაშვილის 130-გვერდიანი დოკუმენტისთვის, რომელიც თითქოსდა რეფორმებს მიუძღვნა.”***

გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკრაინის ჯანდაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიტაშვილმა თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადება დაწერა. სხვათა შორის, მას ამჟამინდელმა ოდესის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა **“ფეისბუკის”** გვერდზეც სთხოვა, რომ პოსტი დაეტოვებინა. რა ხდება უკრაინის პოლიტიკურ ზედა ეშელონებში, სადაც ქართველი ექსჩინოვნიკები მაღალ თანამდებობებს იკავებენ და რა მამხილებელი კომპრომატები გავრცელდა მათ წინააღმდეგ?! **გვესაუბრება უკრაინის ექსპრეზიდენტის, ვიქტორ იუშჩენკოს ყოფილი მრჩეველი ირაკლი გოგავა:**

– როგორც მოსალოდნელი იყო, კვიტაშვილი რეფორმატორი ვერ გახდა. იგი არც საქართველოში გამოირჩეოდა ამით. ერთადერთი, რაც აქ გააკეთა, სახელმწიფო ჰოსპიტალური სისტემის გროშებად გაყიდვა იყო. რესპუბლიკური საავადმყოფოს 70-მილიონიანი ქონება კვიტაშვილმა სულ რაღაც 6 მილიონ ლარად გაასხვისა. მსგავსი კონტრაქტების უკან შავი ფული ტრიალებდა, რომელსაც კვიტაშვილი ხელსაც ვერ ახლებდა, რადგან ქვეყნის მაშინდელ ლიდერებთან უნდა მისულიყო. ამდენად, უკრაინაში მისი ჯანდაცვის მინისტრად დანიშვნაც იმავე სქემის ამოქმედების სურვილით იყო განპირობებული.

უკრაინაში კლინიკების 95% სახელმწიფო საკუთრებაა და საბაზრო ღირებულება 300 მილიარდ დოლარს აღემატება. უკრაინის სამედიცინო წრეებმა ეს სქემა გაშიფრეს და კვიტაშვილს შეუტიეს. ასე რომ, აღარავის გადაუხედავს კვიტაშვილის 130-გვერდიანი დოკუმენტისთვის, რომელიც თითქოსდა რეფორმებს მიუძღვნა.

**– უკრაინული პრესა წერდა, რომ პრემიერი იაცენიუკი მედიკამენტებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების პროგრამის მიმდინარეობით უკმაყოფილო იყო და სათანადო ორგანოებს კვიტაშვილისა და მისი მოადგილის საქმიანობის შესწავლა დაავალა.**

– დასკვნა 10 ივლისს გახდება ცნობილი. თუმცა დაიწერა, რომ ჯანდაცვის სამინისტროში სიტუაცია უმართავია, მედიკამენტების სახელმწიფო შესყიდვების 190-მილიონდოლარიანი პროგრამა ჩავარდა, რის გამოც ონკოლოგიური სნეულებით, ტუბერკულოზითა და შიდსით დაავადებული მოქალაქეები მკურნალობას ვერ აგრძელებენ. ვერ შემოიტანეს ბოტულიზმის საწინააღმდეგო შრატებიც, რის გამოც ადამიანები დაიღუპნენ.

ჩემი წყაროებიდან მივიღე ინფორმაცია, რომ მალე უკრაინის ჯანდაცვის მინისტრი ოლგა ბოგომოლეცი გახდება, ის კიეველი ექიმების ცნობილი დინასტიიდან არის, აკადემიკოს ბოგომოლეცის შვილიშვილია და ამჟამად პოროშენკოს მრჩეველია.

ექსკლუზიურად კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწვდით:

კვიტაშვილმა თავის პირველ მოადგილედ დანიშნა პავლენკო, ფარმაცევტული მონოპოლისტი კომპანია **“დარნიცის”** წარმომადგენელი, რომელმაც კვიტაშვილთან ერთად ბორშაგოვკის ფარმაცევტული ქარხნის 30% წილის **“დარნიცისთვის”** მიყიდვა უზრუნველყო. ქარხნის საბაზრო ღირებულება 100 მლნ დოლარს აღემატება, შესაბამისად, 30-პროცენტიანი წილი 30 მილიონი მაინც უნდა ყოფილიყო, რაც კომპანია **“დარნიცას”** სულ რაღაც 8 მილიონ დოლარად მიჰყიდეს.

არადა, აუქციონში 3 ფირმას მონაწილეობაზე უარი უთხრეს. ეს ქარხანა კიევს ეკუთვნოდა და ჯანდაცვის სამინისტრო ზედამხედველობდა.

კულუარული ინფორმაციით ვიცი, სააკაშვილს უთხრეს, უკრაინის 300-მილიარდიანი ჰოსპიტალური ქონების გაყიდვიდან კაპიკს ვერ მიიღებო.

**– ამბობენ, პრეზიდენტ პოროშენკოსა და სააკაშვილს შორის შავმა კატამ გაირბინაო...**

– სააკაშვილმა ევრომაიდნის წარმატებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო და რაღაც აქტივობები კიდეც დააფინანსა. გარდა ამისა, პირადად პოროშენკოს დაეხმარა, პრეზიდენტობის კანდიდატად სწორედ ის დასახელებულიყო და არა კლიჩკო. ამ ყველაფრისთვის სააკაშვილს ჯერ რამდენიმე სფერო მისცეს, ბოლოს კი გავლენის სფეროები შეუკვეცეს და **“კარმუშკად”** ოდესის გუბერნატორობა დაუტოვეს. პოროშენკოს ჯერჯერობით სჭირდება სააკაშვილი, განსაკუთრებით იმ ოლიგარქების წინააღმდეგ, ვინც მას არ შეუთანხმდებიან. პოროშენკოს ნებისმიერ მომენტში შეუძლია სააკაშვილის გამოპანღურება ან საქართველოს სამართალდამცავებისთვის გადაცემა. ვფიქრობ, ეს ოდესის გუბერნატორმა კარგად იცის, ამიტომ ბოლომდე პოროშენკოს ყურმოჭრილი მონაა. გავიხსენოთ, როგორ დატუქსა უკრაინის გენპროკურორმა სააკაშვილი მისი გერის, ოდესელი პროკურორის, გორნოსტაევას გაკრიტიკებისთვის, მან კი წყენა გადაყლაპა. ეს მართლაც სასაცილო იყო. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილმა არ იცოდა, რომ პროკურორი გორნოსტაევა გენპროკურორის გერი იყო, თორემ მისი გაკრიტიკებისგან თავს შეიკავებდა.

**– რა ბედი ელის სააკაშვილის დესანტს უკრაინაში და რეფორმებს, რასაც მათგან მოითხოვენ?**

– უკრაინის პოლიტელიტის დაკვეთა, რომ რეფორმები ჩატარდეს, არც არსებობს. უბრალოდ, მიმდინარეობს ქონებისა და გავლენების გადანაწილება. არსებულ სიტუაციაშიც ელიტა თავს კომფორტულად გრძნობს. მას მხოლოდ რეფორმების იმიტაცია სჭირდება, რათა დასავლეთიდან კრედიტები აიღონ.

იქნება საჩვენებელი რეფორმები: ავტოინსპექცია გადაკეთდება პატრულად, ავარიული სახლების ფასადები შეიღებება, მაგრამ ფუნდამენტურ სფეროებში: ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობაში, განათლებაში, მეცნიერებასა და ახალ ტექნოლოგიებში აუცილებლად უკუსვლა იქნება. ვფიქრობ, სააკაშვილის დესანტი ჩაამთავრებს პოროშენკოს პრეზიდენტობის ციკლს. სააკაშვილი ამასობაში ბევრ შოუს მოაწყობს, თუმცა ამისი მთავარი სამიზნე, რა თქმა უნდა, ოდესის პორტის კონტრაბანდული ტვირთების გაკონტროლება იქნება. მე მას კარგად ვიცნობ და ვინც არ იცის, ავუხსნი: სააკაშვილი საკუთარი დროის 70%-ს ფულის კეთებას უთმობს, 30%-ს კი პოლიტიკას. ასე იქცევა 1995 წლიდან, როდესაც პირველი დიდი ფული რუსული **“იტერას”** გაზის სქემებით იშოვა. **“იტერა”** რუსეთსა და საქართველოს შორის შუამავალი კომპანია იყო და საქართველოს გაზის მოწოდებაზე ძირითად ხელშეკრულებას **“გაზპრომს”** კი არა, **“იტერას”** უდებდა.

იქ, სადაც ახლა სააკაშვილი მოღვაწეობს, კორუფციის უმაღლესი დონეა და აქვს შანსი, ოდესის პორტიდან 2-3 მილიარდი დოლარი იშოვოს, თუმცა ცხადია, ეს ფული თავის უკრაინელ პატრონს უნდა გაუყოს.

**ეკა ასათიანი**

# ქართველნო, ღვთის რწმენით, სასოებით და სიყვარულით, ზვიადისა და მერაბის გზით წინ!

„საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდება ქართველთათვის ნიშნეული ცხოველი მორწმუნეობის აღორძინების გარეშე“

**ზვიად გამსახურდია**



24 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც 1991 წლის 26 მაისს ქართველმა ერმა, აბსოლუტური უმრავლესობით, ლეგიტიმურად, სამართლებრივად ჩატარებული არჩევნების შედეგად, პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ პრეზიდენტად აირჩია ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქი ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია.

1991 წლის 7 ივნისს მის მიერ წარმოთქმული საპროგრამო-საინაგურაციო სიტყვა დღევანდელი დღისათვის უდიდესი იმედისა და მაგალითის მომცველია და მომავალი საქართველოს სამოქმედო გეგმას წარმოადგენს. აღნიშნული სიტყვა თითოეული ქართველისათვის გზამკვლევი და ერის საციცოცხლო მნიშვნელობისაა. ამიტომაც უნდა ისმოდეს ეს სიტყვა და მის აღსასრულებლად უნდა რეკდეს დღეს მთელს საქართველოში ჩვენი სამშობლოს ზარები. ოთხივ კუთხით უნდა აღდგეს ქვეყანაში ჩვენი ის ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმები, რითაც ჩვენს მამა-პაპას უცხოვრია და რის შესახებაც საუბრობს თავის სიტყვაში ბატონი პრეზიდენტი. ქართველმა ერმა, ისე როგორც მაშინ, 26 მაისს, ქარიშხალას სტადიონზე ზვიად გამსახურდიას მიერ წარმოთქმულ სიტყვაში დაყენებული ზოგადკაცობრიული დილემა – ღმერთკაცობისა და ბესტიალიზმისა (მხეცკაცობისა) უნდა თავად აირჩიოს და გზა მოუჭრას მზაკვართა იმ ტალღას, რომელიც ყვავ-ყორნებისაგან დაუძლურებულ ჩვენს სამშობლოს და არა მარტო ჩვენს ქვეყანას, მიწის პირისაგან აღგვით ემუქრება.

ჩვენთვის გასაკვირი არ გახლავთ ის, რომ თანამედროვე მსოფლიოს **„ახალი წესრიგის“** მესვეურები ყველაფერს იღონებდნენ და იღონეს კიდეც, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, თავისი სარწმუნოებრივი მრწამსით და ასევე ქართველი ერი, რომლის ენერგია ვერანაირად ვერ ჩაჯდებოდა მასონურ შავ-ოკულტურ ბოროტ ძალთა ჩარჩოებში – ე.წ. მსოფლიო ახალ წესრიგში, კატასტროფამდე მიეყვანათ. სწორედ ამიტომ განახორციელეს და დღემდე გრძელდება ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ გაუგონარი დანაშაული, დაწყებული 1991-92 წწ., სახელმწიფო გადატრიალების სახით, რის უმძიმეს შედეგებსაც დღემდე ვიმკით. საკმარისია იმდროინდელი მსოფლიო პოლიტიკური ისტებლიშმენტის გამორჩეული ფიგურის გენშერის სიტყვების გახსენება და ყველაფერი ნათელი გახდება, (1992 წლის ზაფხულში, შევარდნაძისადმი თავის მიმართვაში, მან მოურიდებლად, პირდაპირ განაცხადა: **„მისი (შევარდნაძის) სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგომის შემდეგ, ჩვენ, მას საქართველოს პრეზიდენტად მოვიაზრებდით და ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ.“** არც მამა-ბუშის ავადსახსენებელი სიტყვები უნდა დაივიწყოს ქართველმა ერმა, რომელმაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას **„დინების საწინააღმდეგოდ მოცურავე“** უწოდა, რითაც ხელ-ფეხი გაუხსნა ქართველი ერის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას. სწორედ ეს იყო და არის ის ნიშანი, შავი ოკულტური ძალების მიერ ნაკარნახევი გეგმისა და მისი შესრულების მოწოდება, რამაც დღეს ქვეყანაში მოთარეშე ანტიქართულ, გარე და შიდა მოღალატე ბანდებს, გზა გაუხსნა ჩვენი ქვეყნის ასაოხრებლად. ედუარდ შევარდნაძე, 1992 წელს, არც კი მოერიდა ამ სიტყვების ხმამაღლა თქმას. **“სწორია, რომ შევედით სამეგრელოში. ეს ჩვენ ადრე უნდა გაგვეკეთებინა. ყველამ უნდა მიიღოს საკადრისი პასუხი, ჩვენ უნდა გავანადგუროთ პროვინციული ფაშიზმი და განვახორციელეთ კიდეც. როდესაც ბოროტ ძალას ებრძვი, ზედმეტია წუწუნი გაუპატიურებაზე და მსხვერპლზე, მე მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ამ ოპერაციაში მონაწილეობა მიიღო”**

ეროვნული კომიტეტი კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ ყური მიუგდოთ საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხმას. დაე, ქართველმა ერმა კარგად გააცნობიეროს დღეს ქვეყანაში გაბატონებული ბოროტ ძალთა (შევარდნაძე-სააკაშვილისა და ყველა მომდევნო **“სახელმწიფოს მეთაურთა“**) იდეოლოგია და მიზნები, რათა კვლავ აღუდგინოს ჩვენს სამშობლოს ნანატრი, ზვიადისა და მერაბის 35-წლიანი თავგანწირული ბრძოლის შედეგად მოპოვებული, ქვეყნის ჭეშმარიტი თავისუფლება და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სიტყვები:

**„ყვავ-ყორნებო“, ნუ გგონიათ საქართველო უპატრონო, საქართველოს ჰყავს თავისი პატრონი და მალე დაინახავთ ამ პატრონის ძალას“.**

1990 წლის დასაწყისში ჟურნალ **“ცისკარში”** გამოქვეყნდა ვრცელი ინტერვიუ ზვიად გამსახურდიასთან. **“დამოუკიდებლობის გაკვეთილებში” ინტერვიუს იმ ნაწილს შემოგთავაზებთ, რომელშიც ზვიად გამსახურდია ქართველის ბუნებაზე, განდგომისკენ სწრაფვაზე, ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლაში ინტელიგენციის პასიურობასა და მაინც, ქართველი ერის გულისხმიერებასა და პატრიოტობაზე საუბრობს: “გაუგონარი, არნახული თავგანწირულობა და მოწამეობა ერისთვის არის ჩვენი ეროვნული ხასიათის ძირთადი თვისება და მე იმედი მაქვს, ბოლოს და ბოლოს, ქართველი კაცის მამულისადმი სიყვარული და მოწამეობა გაიმარჯვებს და არა ის ნეგატიური, დამღუპველი თვისება, რომელსაც ზოგჯერ ჩვენი თანამემამულენი გამოავლენენ, რომლისკენაც მათ ამპარტავნული თავკერძობა და თვითნებობა უბიძგებთ ხოლმე.”**

**„28 ოქტომბრის შემდეგ განვლილი პერიოდი გახლდათ ურთულესი გამოცდა როგორც ხალხის ისევე მის მიერ არჩეული ხელისუფლების და მთავრობისათვის. ვინაიდან მძიმე და ეკლიანია თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა. მითუმეტეს ძნელია ამ გზაზე ყოველდღიური სიარული – როდესაც გაივლის პირველადი ენთუზიაზმი, გამოჩნდებიან პირველი, და სამწუხაროდ არა უკანასკნელი შეცთომილნი და გზააბნეულნი, როდესაც – ფიზიკური შეზღუდულობა ადამიანისა, ამქვეყნიური ხორცისმიერი პრობლემები თითქოს-და შურს იძიებენ შინაგანად უკვე თავისუფალ ერზე.**

**უნდა ვაღიაროთ, რომ ოცნება თავისუფლებაზე, სტიქიური მოქმედება მისი სახელით შეუდარებლად უფრო იოლი იყო, ვიდრე სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი, რეალურ სამუშაოდ ქცეული ეროვნული აღორძინება.**

**დღეს უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ურყევია ქართველი ერის ნება დააღწიოს თავი იმპერიულ ბორკილებს. იგი თანმიმდევრულად და მტკიცედ ადგას ამ გზას. ეს არ გახლავთ მოულოდნელი: ჩვენ ვდგავართ საქართველოს ისტორიის დიდ გზის გასაყარზე, სადაც ქართველი კაცი კიდევ ერთხელ ამბობს უარს ამქვეყნიურ, ფიზიკურ კეთილდღეობაზე, სულისმიერი ეროვნული აღორძინების სახელით. აღორძინება კი განახლებისა და საკუთარი ჭეშმარიტი მეობისაკენ დაბრუნებას ნიშნავს. მხოლოდ ღვთის შეწევნითა და თითეული ჩვენგანის თავდაუზოგავი საქმიანობით შეიძლება მივაღწიოთ მას.**

ქართველი ერის ისტორია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორია, ქართული კულტურა და ტრადიციული ღირებულებანი ეს არის ჩვენი წარსული, ეს არის ჩვენი სიამაყე. თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი ხალხი, რელიგიური მსოფლმხედველობისა და ეროვნული ცნობიერების აღორძინების საზოგადოება – ეს არის ჩვენი აწმყო, ჩვენი ბრძოლის შედეგი.

– საქართველოში, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანულ ქვეყანაში, ტრადიციული იყო კავშირი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის;

– ქართველთა ცხოველი მორწმუნეობა განსაზღვრავდა მტრულ გარემოცვაში საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან არსებობას. სახელმწიფო კი თავის მხრივ ხელს უწყობდა ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობას;

– საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდება ქართველთათვის ნიშნეული ცხოველი მორწმუნეობის აღორძინების გარეშე, ზნეობრივი აღორძინების გარეშე – ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და აწმყოც;

– სწორედ ამიტომ ჭეშმარიტად ქართული ეროვნული მოძრაობა მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან, ეკლესიის წიაღთან;

– დღევანდელი [საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი – რედ.] მოძრაობაც თავისი შინაგანი არსით ეროვნულ-რელიგიური მოძრაობაა, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დამყარებით;

– ეროვნული ხელისუფლება იღვაწებს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ტრადიციული ერთობის აღსადგენად. ამ ერთობის არსი შემდგომში მდგომარეობს – ეროვნული სახელმწიფოს ავტორიტეტი უნდა დაემყაროს არა მარტო ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად ქრისტიანულ ზნეობრივ საწყისებს;

– სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი უნდა დაეფუძნოს ეკლესიის რელიგიურ-ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობისა და ეკლესიის განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარებას;

– ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობის სულიერი ბუნება თავისთავად გამორიცხავს მის უშუალო მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ პოლიტიკური სისტემიდან ეკლესიის გამოყოფა არ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგათიშვას;

– სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდნენ ურთიერთის საქმიანობაში, მათ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა. ჩვენ მომხრენი ვართ არა სახელმწიფოსა და ეკლესიის, ეკლესიისა და სკოლის ურთიერთგამიჯვნისა, არამედ მათი ბუნებრივი კავშირისა, რომელიც იმავდროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებასაც დაემყარება;

– სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა იქცეს;

– ამ პრინციპებიდან გამომდინარე, ქართულმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეკლესიის უფლება იყოს საერო ცხოვრების აქტიური მონაწილე. სახელმწიფომ უნდა დაიცვას საეკლესიო ქონება, ხელი შეუწყოს ეკლესიას ტრადიციულ სამონასტრო მოღვაწეობაში. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რათა ეკლესიამ მიიღოს საჭირო მატერიალური დახმარება – საგანმანათლებლო საქმიანობის, ტაძრების მშენებლობისა და შეკეთებისათვის. უნდა აღდგეს საეკლესიო საკუთრება მიწაზე;

– მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება არ ხელყოფს სხვა რელიგიების აღმასრულებელთა, აგრეთვე ათეისტთა მოქალაქეობრივ უფლებებს. სახელმწიფოს მიერ გარანტირებული იქნება სინდისის თავისუფლება და თითოეულ პიროვნებას მიეცემა შესაძლებლობა იყოს აღმსარებელი იმ სარწმუნოებისა, რომელსაც თავად აღიარებს. მოქალაქეთა უფლებები არ შეიზღუდება რელიგიური ნიშნით. საქართველოს სახელმწიფო კვლავაც ერთგული დარჩება ტრადიციული რელიგიური შემწყნარებლობისა.

ქალბატონებო და ბატონებო,

– ქართველი ერი გამოირჩევა თანასწორთა შორის თავისი ყოფით, ადგილით და ენით. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა.

– ჩვენი ისტორია, ცხოვრების წესი, ბრძოლა სარწმუნოებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის – ეს არის მოწამოებრივი გზა, ქრისტემიერი გზა სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა.

– ისტორია გვაძლევს შესაძლებლობას, რათა დავუბრუნდეთ მამაპაპეულ გზას, ავაღორძინოთ თავისუფალი საქართველო. დგება ჟამი როდესაც უკლებლივ ყველას სიცოცხლე მამულს ეკუთვნის.

– ერი უეჭველად მზად არის გადამწყვეტი ბრძოლისათვის – დღეს ეროვნული ხელისუფლების ვალია იყოს ღირსი უდიდესი მისსიის – შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა – საქართველოს დაუბრუნოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში. დიდი მიზნები მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულით აღსრულდებიან.

დაე აღსრულდეს ნება ღვთისა, ნება ერისა!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

1991 წლის 7 ივნისი“

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტის სახელით:

**გიორგი კავკასიელი (კერვალიშვილი),**
კომიტეტის მთავარი კოორდინატორი, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა ასოციაციის პრეზიდენტი;

**ბესო (ბესარიონ) მიქავა,**
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე;

**ნანა კახიანი,**
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრეს-მდივანი;

**დავით ბერძენიშვილი,**
იურისტი, ადვოკატი;

**ზურაბ ქობალია,**
ჟურნალისტი;

**მანანა ჯიჯეიშვილი,**
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის წევრი;

**გულიკო კილაძე,**
ადამიანის უფლებადამცველი;

თბილისი, 2015, ივნისი, ლომისობა.

---

გაზეთი “ილორი” მწუხარებით იუწყება, რომ ჩვენს ავტორსა და თანამებრძოლს ბატონ კუკური ფიფიას გარდაეცვალა ძმა

**ზაურ ფიფია**

და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს

# საქართველოს სახელმწიფო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

ისტორიული კანონზომიერებიდან გამომდინარე ეთნოსის დამკვიდრებას ამა თუ იმ ტერიტორიაზე და ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას განაპირობებს ადგილის გეოგრაფიული მდებარეობა მისი გარეშე მტრებისაგან დაცულობის თვალსაზრისით. ამის ნათელი მაგალითია ეგვიპტე, რომელიც დაცულია ზღვებით და გაუვალი უდაბნოთი, ასევეა ძველი რომი შემოსაზღვრული ზღვებით და ჩრდილოეთიდან მთიანეთით. ანალოგიური მდგომარეობა ჰქონდა დაცულობის თვალსაზრისით შუამდინარეთს, საბერძნეთს და ა.შ. არც სამხრეთ კავკასია და ძველი კოლხეთი იყო გამონაკლისი სადაც ქართველთა წინაპრები დასახლდნენ.

დიდ მნიშვნელობას იძენს ქართველი ტომების განთავსება სამხრეთ კავკასიის გეოგრაფიულ სივრცეში ფიზიკური და ეკონომიკური ურთიერთ დამოკიდებულების თვალსაზრისით. საქართველოს მთა და ბარის, როგორც ეკონომიკური ისე დემოგრაფიული ვითარება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ სწრაფვას ინტეგრაციისაკენ, მაგრამ თუ ჩავხედავთ ისტორიის იმ მონაკვეთს, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნეს ასახავს დავინახავთ ქართული ტომების გაერთიანების ისტორიულ აუცილებლობას.

საქართველოს პირველი მეფე ფარნავაზი მცხეთის მამასახლისის ძმის შვილი სამი წლის იყო როცა მამა და ბიძა მოუკლეს და ქართლი დაპყრობილი აღმოჩნდა მტრის მიერ. ფარნავაზი მთებში გახიზნული შურისძიების და მტერზე გამარჯვების გრძნობით იზრდებოდა. შექმნილმა მდგომარეობამ დღის წესრიგში დააყენა ქართველი ტომების გაერთიანების საკითხი, რომელსაც ფარნავაზმა დაუდო სათავე.

მეფე ფარნავაზის დროს დადგა დღის წესრიგში პირველად საქართველოს სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი. ამ ურთულეს და უფაქიზეს საკითხს აუცილებლად სჭირდებოდა გარკვეული პოლიტიკური კონცეფცია, რომელიც ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნას დაედებოდა საფუძვლად. ფარნავაზმა შეიმუშავა რა ეროვნული სახელმწიფოს კონცეფცია, შესაბამისი რეფორმების გატარებით უზრუნველყო მისი ცხოვრებაში გატარება. რეფორმა ძირითადად ეხებოდა რელიგიის, ენის, მწიგნობრობის და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საკითხს.

მოკლედ განვიხილოთ ეს საკითხები ცალკ-ცალკე. რამდენადაც რელიგიის თემა ქართველი ტომებისათვის თანაბრად უნდა ყოფილიყო მისაღები, ამდენად არ შეიძლებოდა უპირატესობა მინიჭებოდა რომელიმე ტომის რეგიონული პანთეონის ღვთაებას და აქედან გამომდინარე პრივილიგირებული ყოფილიყო სხვა ტომების ღმერთებთან მიმართებაში. არ უნდა დაკნინებულიყო ცალკეული საერისთაოების შიგნით ტომობრივი პანთეონის იერარქია. ამიტომ ფარნავაზმა ყველა ქართული ტომისთვის მისაღები ნეიტრალური ღმერთის, არმაზის გამოცხადება გადაწყვიტა მთავარ ღმერთად, რითაც ფაქტიურად უზუნველყო ტომებს შორის, რელიგიის საფუძველზე, უთანხმოებისა და კონფლიქტების აღკვეთა.

ენის საკითხს – როგორც კავკასიური მონათესავე ტომების გამაერთიანებელ უმნიშვნელოვანეს საფუძველს დიდი მნიშვნელობა ქართულმა ტომებმა საერთო ინტერესებიდან გამომდინარე მიანიჭეს ქართების ენას.

კულტურული თვითმყოფადობის დამკვიდრების მიზნით აუცილებელი იყო რეფორმა მწიგნობრობის განვითარებისათვის და აქაც უპირატესობა ქართულს არგუნეს.

რაც შეეხაბა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას ეთნოგრაფიული საზღვრები დადგინდება საერისთაოების ფარგლებში, აქედან გამომდინარე 9 საერისთავო (სადროშო): ქართლი, კახეთი (კახეთი, კუხეთი და ჰერეთი), იმერეთი, სამეგრელო (დღევანდელი აფხაზეთის ნაწილი და სვანეთი), ოძრახე,(სამცხე), სამშვილდე (ტაშირი), წუნდა (ჯავახეთი), კლარჯეთი (დღეს თურქეთის ფარგლებშია) და ხუნანი (დღეს აზერბაიჯანის ფარგლებშია) დედაქალაქით მცხეთა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ დაყოფას განსაკუთრებით მართვის თვალსაზრისით ჰქონდა ბევრი ხარვეზი, რამაც დიდი გავლენა იქონია ქართული სახელმწიფოს განვითარებაზე. პატარ-პატარა სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველოს ცენტრალიზებულ ქვეყნად ჩამოყალიბებას მომავალში სათავე დაუდო დავით აღმაშენებელმა. მან არსებული ფედერაციული მართვის პრინციპი შეცვალა უწყებრივი (სამოხელეო) პრინციპით რაც იყო ცენტრალიზებული მონარქიის შექმნის აუცილებელი პირობა. თუ ადრე საერისთაოებს (სადროშოებს) სათავეში ედგნენ ერისთავები და ხელისუფლება მემკვიდროებით გადაეცემოდათ, ჰყავდათ საკუთარი ჯარი და აწარმოებდნენ დამოუკიდებელ ეკონომიკას შემდგომში ხელისუფლები ინიშნებოდნენ დავითის მიერ და ისიც არა სამუდამოდ, შეიძლებოდა მათი განთავისუფლება ან სხვა საერისთაოში გადაყვანა. ფაქტიურად ეს იძენდა მეფისნაცვლის მნიშვნელობას, ისინი ხელფასს იღებდნენ მეფისაგან და დაინტერესებულები იყვნენ ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებით. დავითმა ქვეყანაში მხოლოდ მმართველობის წესი შეცვალა ხოლო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა იგივე დატოვა. დიდი არეულობის დროსაც კი საერისთაოები უფრო ძლიერი ცენტრის და ერთიანობის მხარდამჭერები იყვნენ.

ქვეყანაში ეს სიტუაცია 1801 წლამდე შემორჩა ხოლო საქართველოს რუსეთთან შეერთების მე-19 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისის შემდეგ, როცა რუსეთმა საბოლოოდ დაიპყრო საქართველო, შეცვალა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, შექმნა გუბერნიები, ოლქები და ა.შ. შეცვალა მმართველობა და ეს გაგრძელდა მანამ სანამ საქართველო ბოლშევიკური რუსეთის მმართველობაში აღმოჩნდებოდა.

1921 წლის შემდეგ საკმაოდ დიდი ტერიტორიები საჩუქრად გადაეცათ სომხეთს, აზერბაიჯანს, ჩრდილოეთ ოსეთს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის შექმნის შემდეგ დაირღვა ტრადიციული ტერიტორიული დაყოფა (მაგ.სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს მიაკუთვნეს რაჭისა და იმერეთის ტერიტორიები). ბოლშევიკური ტერიტორიული დაყოფის დროს მართვის პროცესში უპირატესობა ენიჭებოდა პოლიტიკას და არა ეკონომიკას. ქვეყნის მართვაში ეკონომიკის და მასთან ერთად ტრადიციული მრავალდარგოვანი მეურნეობის იგნორირებამ გამოიწვია მცირე მასშტაბის ტერიტორიებად დაყოფის აუცილებლობა, რაც შეძლებისდაგვარად ტრადიციული, ტერიტორიული, ეკონომიკური და გეოგრაფიული ელემენტების გათვალისწინებით განახორციელა პავლე ინგოროყვამ. ტრადიციული ქართული ეკონომიკის გაჩანაგება ხელს უწყობდა ბოლშევიკების პერსპექტიული პროგრამების განხორციელებას. რაც შეეხება ქვეყნის მოწყობის რეგიონალურ პრინციპს დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, როცა საქართველოში პატრიოტიზმის დეფიციტია და ჯერჯერობით ეს ხელისუფლებაშიც იგრძნობა, სეპარატიზმი ნამდვილად იქნება მუდმივმოქმედი პრობლემა, განსაკუთრებით მეზობელი ქვეყნების მოსაზღვრე რეგიონებში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დღის წესრიგში დგება თანამედროვე, დამოუკიდებელი საქართველოსათვის მისაღები სახელმწიფოებრივი მოწყობის და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფის ახალი მოდელის შექმნა, რასაც არაერთი დაინტერესებული პირი შეხებია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პერიოდში დღემდე.

დღეს არსებული კონსტიტუციით საქართველო საპარლამენტო ქვეყანაა და კარგად ვხედავთ მის შუქჩრდილებს. საქართველოში საპარლამენტო მართვის ელემენტები ჯერ კიდევ XII საუკუნიდან მიმდინარეობს რაც მიგვანიშნებს დავფიქრდეთ ქართული სახელმწიფოს განვითარების ბუნებრიობაზე და რომ არა შინაური თუ გარეშე მტერი საპარლამენტო მართვის მონოლითის დანგრევა ფრიად გაძნელდებოდა.

საქართველოს დღევანდელი დაქუცმაცება, რომელიც პ.ინგოროყვასეულ დარაიონებაში გამოიხატება, ხელს უშლის, როგორც ეკონომიკურ განვითარებას, ისე ზრდის კორუფციის მასშტაბებს და ძვირი ჯდება ბიუროკრატიული აპარატის შენახვა. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის მართვაში დაემატა ერთი რგოლი მხარეების სახით ესეც პოლიტიკური ნიშნით განხორციელდა, დარაიონება დარჩა ძველებური და დარჩა ცენტრალიზებული მმართველობა, შედეგებიც შესაბამისია – უარყოფითი.

საქართველოში საპრეზიდენტო მმართველობის მრავალწლიანმა გამოცდილებამ და მსოფლიოში არსებულმა არაერთმა მაგალითმა გამოკვეთა საპარლამენტო მმართველობის უპირატესობა. ამ შემთხვევაში მთავრობა ყალიბდება კოლეგიალური ორგანოს სახით, მინისტრები სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები ხდებიან და მათ პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, ისინი ერთად აგებენ პასუხს მთავრობის საქმიანობის გამო, ხოლო პრეზიდენტს აქვს უფლება პარლამენტის დათხოვნისა. საპარლამენტო მმართველობის დროს დაბალანსებული უნდა იყოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს შორის უფლება-მოვალეობა და ამავე დროს ადგილობრივ და ცენტრალური ორგანოებისათვის სავალდებულო უნდა გახდეს მმართველ ორგანოთა არჩევითობა მართვის ყველა დონეზე, რაც ფაქტიურად ხორციელდება დღეს ქვეყანაში.

მხოლოდ ამ საკითხის მოგვარების შემდეგ უნდა დადგეს დღის წესრიგში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად და ტრადიციის გათვალიოსწინებით, იგი არა მარტო ეთნოგრაფიულ საზღვრებს, არამედ ეკონომიკურ-სამეურნეო საზღვრებს უნდა ემთხვეოდეს, მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორი, სანამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაზე დავიწყებთ მუშაობას სასურველია გადაწყდეს საქართველოს გაერთიანების საკითხი. გაერთიანება უნდა დაიწყოს საერთაშორისო სამართლის საფუძველზე და პირველ რიგში ლტოლვილთა დაბრუნებით ძირძველ საცხოვრებელ ადგილებში.

ისტორიული და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, ჩვენთვის (საქართველოსათვის), უფრო მისაღებია რეგიონალიზმი, რამდენადაც ეს არის ერთიანი სისტემა ქვეყნის ცალკეული ნაწილებისა და არა ცალკეული წევრებისა. ამასთანავე მოხდება რა არსებული რაიონული დაყოფის ცვლილება მისი გამსხვილების ნიშნით, წარმოქმნილ რეგიონებს მიეცემათ როგორც დამოუკიდებელი თვითმმართველობის, ისე საკუთარი რესურსების გათვალისწინებით თვითგანვითარების საშუალება.

რეგიონალური პრინციპით ქვეყნის მოწყობას საფუძვლად უნდა დაედოს ძირითადად ეკონომიკური ფაქტორები. საქართველოს კუთხეები, როგორიცაა ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია სამეგრელო და ა.შ ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან თუნდაც ტრადიციებით, მაგრამ ქართული მენტალიტეტი ბატონობს ყველგან. სხვადასხვა კუთხეში განვითარებულია ტრადიციული დარგები მაგ. კახეთში – მევენახეობა და მებაღჩეობა, ქართლში მებაღეობა და ტექნიკური კულტურები, გურიაში – მეციტრუსეობა და მეჩაიეობა, ქიზიყში – მემარცვლეობა და ტექნ.კულტურა, როგორიცაა მზესუმზირა, ხევსურეთში – მეცხოველეობა და ა.შ. მთავარია მხარეს ჰქონდეს დამოუკიდებლად ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვის უფლება, ხოლო ეკონომიკური გაწონასწორების დაცვა ცენტრის პრეროგატივა იქნება.

საქართველო ჩვენ წარმოგვიდგება, როგორც უნიტალური სახელმწიფო აბსოლიტური ურთიერთობის და განუყოფლობის გათვალისწინებით, რომლის დროსაც ტრადიციული დაყოფით 16 ერთეულად ჩამოყალიბდება: 1. შიდა ქართლი, 2. ქვემო ქართლი, 3. კახეთი, 4. იმერეთი, 5. გურია, 6. აჭარა, 7. აფხაზეთი, 8. სამეგრელო, 9. სვანეთი, 10. რაჭა-ლეჩხუმი, 11. მესხეთი, 12. ჯავახეთი, 13.თორი-თრიალეთი, 14.ფხოვი (თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი), 15. ხევი (მთიულეთი), 16. ერწოთიანეთი. მათ დაემატებათ ქალაქები: თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, ფოთი, გაგრა (ჯიქეთი), რუსთავი, მცხეთა, სიღნაღი (ქიზიყი), თელავი, სულ 10 ერთეული.

ვითვალისწინებთ რა ზოგიერთი მხარის სიახლოვეს თავიანთი მეურნეობის, ზნეჩვეულებების და დიალექტების მიხედვით, როგორიცაა რაჭა-ლეჩხუმი, მესხეთ-ჯავახეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, იგივე ფხოვი და სხვა, საზღვრები შეიძლება შეიცვალოს. თითოეულ რეგიონს ექნება შესაბამისი სიმბოლიკა, დროშა, ღერბი და ა.შ. რეგიონული დაყოფის ზემოთ მოყვანილი მოდელი ხელს შეუწყობს ბიუროკრატიული აპარატის შემცირებას, ეკონომიკის დამოუკიდებლად განვითარებას ტრადიციული დარგებისა და ფორმების შესაბამისად, განისაზღვრება ბიუჯეტთან ურთიერთობის მისაღები დეტალები, რომლის დამუშავების შემდეგ თითოეული რეგიონი განსაზღვრულ შენატანებს შეიტანს ბიუჯეტში, ხოლო დარჩენილ თანხას რეგიონის განვითარებას მოახმარს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფის წარმოდგენილი ვარიანტი ერთი რიგითი ქართველის ნააზრევია და ჩვენამდეც მრავალი აზრი დაფიქსირებულა ამ თემაზე. იმედი გვაქვს ქართველი პოლიტიკოსები და მეცნიერები იტყვიან კომპოტენტურ სიტყვას ქართული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე.

**ქართუ არაგველი**

## პოეზიის კუთხე

„სათრეველები“, რომლებიც დაბადა ბატონ რობერტ მუგაბეს მიერ ობამასათვის ხელის თხოვნამ და ერთსქესიანთა ოჯახებზე სოციალურ ქსელში საქართველოს პარლამენტის უმწიფარა დეპუტატის – მარიამ საჯაიას აზრმა-უგუნურმა.

### „ტორნადოს“რისხვა

შეუნდე უფალო,
რომ რობერტ მუგაბემ
შეჰკადრა ობამას:
გამომყე ცოლადო!
„თეთრ სახლს“ რომ სოდომის
ცოდვა არ მობანა,-
მის კართან ამიტომ
ბობოქრობს „ტორნადო“!

### საშიში პარამეტრი

კანონმდებლის წინ რაკი ჩაიარს
გზა ცოდვიანთა ბრეტის ბრეტისა,
მათი ოჯახი სწამს საჯაიას,
უმრწმეს დეპუტატს პარლამენტისას;
– არც ნაკლებისა და არც მეტისა,
ასლად „ა-შუ-შუ“-ს პარამეტრისა.

### ბელადომანია

როგორც „ნაცი“, ისე „ქოცი“,
თხელზე თხელი ქარაგოზით*,
ქვას გააკრეს ბელადებმა,
მაგრამ რადგან უყვართ ჩრდილი,
ყველა მათგანს ყოველ დილით
თვალის მომჭრელ ფერადებად
ელანდება ჯუღაშვილი,
ბელადობა ელანდება.

***ქარაგოზი** – ქვის ხავსი რამ მცირე (საბა)

### კითხვა-გონივრული

სისხლი ბევრჯერ გამოგვწოვეს,
ამბობენ, კვლავ სწყურიათო!
როცა ვებრძვით,
საპირწონედ
რომ გვეძახეს უნიათო,
ამის პასუხს გული არ თხოვთ
და არ აფრთხობთ?

**P.S. უფალო რედაქტორო!** პირადად ჩემი და ჩვენი საერთო მეგობრის, იპოლიტეს სახელობის იუმორის ეროვნული აკადემიის დამფუძნებლისა და პრეზიდენტის, ბატონ ბენია თხილავას მოკრძალებული, მაგრამ საგანგებო დავალებით, უმორჩილესად ვითხოვ, რომ ამიერიდან ჩვენი ჰონორარი სოდომ-გომორში დაკრეფილი ყვავილებისთვის გადარიცხონ.

**უღრმესი პატივისცემით, სამოცწლოვანი ჟურნალისტური კატორღაგამოვლილი თქვენი კოლეგა**

**მამაქალაქ ქუთაის-კუტაიადან**

**ალექსანდრე შენგელია**

# სამეგრელოს საისტორიო გეოგრაფია იაკობ რაინეგსის სამოგზაურო ჩანაწერებში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

### აბაშის ხეობა

რაინეგსი აღნიშნავს, რომ აბაშისწყალი სწრაფი მდინარეა, რაც სათავეს იღებს სოფელ კემეს ახლოს და უერთდება ჰიპოსს, იბერიის სათავადოს აშილიოს საზღვართან (რაინეგსი 2002:120). რაინეგსისავე ცნობით, სვანებს სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება საგვარეულო ლიტშუ-სი (Lytschu), რომლებიც თავიანთი ზეგნებით აღწევენ იბერიის (იმერეთის) საზღვრებს... აქედან არის დაახლოებით 800 საჟენი სიგანის შესასვლელი ციცაბო, 587 ფუტი სიმაღლის კლდეებს შორის. დასავლეთით მდებარე ერთ-ერთ კლდეზე მდებარეობს ლიტშუს სოფელი კემე, 44 ქვის ქოხით (რაინეგსი 2002: 117). გ. გელაშვილი ვარაუდობს, რომ ლიტშულაშხეთი (?) უნდა იყოს (იქვე: 116, სქოლიო). ჩვენი აზრით, რაინეგსისეული ლიტშუ და ლიტშუელები რაჭას და რაჭველებს უნდა გულისხმობდეს. ასეა თუ ისე, იაკობ რაინეგსის ცნობა მაინც ბუნდოვანია. სოფ. კემეს ადგილმდებარეობა დაუდგენელია. ამასთანავე, მდ.აბაშა ჰიპოსს (ცხენისწყალს) კი არუერთდება, არამედ – მდ. ტეხურს.

ვახუშტი ეხება ჰიდრონიმ **„აბაშის“** ეტიმოლოგიას და სახარიას ციხე-სასახლის ადგილმდებარეობას: **„ამათთა (ბანძისა და ჭყონდიდის – ი.კ.) დასავლით დის მდინარე აბაშა, პირველ სხვის სახელით წოდებული. შემდგომად, მოიქცა რა ანაკოფიიდამ მურვანყრუ, აქ დაბანაკებულთა მოაშთო ამანჰჩაბაში, და მიერით განიწოდა აბაშა... ესე სიგრძით არს ტეხურის შესართავამდე. გამოსდის კავკასს, ოდიშსა და სვანეთს შორისს, დადის ჩდილოდ ამ სამრით. არა არს მას შინა თევზი, თნიერ კალმახისა“** (ვახუშტიIV, 1973: 776-777).

აბაშის სათავედ ვახუშტი კავკასს ასახელებს. კავკასი, კავკასეთი იგივე კავკასიონია. მაგრამ მეცნიერი კავკასიონის მთიანეთის სხვადასხვა ნაწილს იმ სახელით მოიხსენიებს, რომელ მხარეშიც ის მდებარეობს. ასე მაგალითად, კავკასი ალანისა, ვახუშტის აღწერით, ეწოდება კავკასიონის მთიანეთის იმ ნაწილს, რაც კოდორ-ყუბანის წყალგამყოფს წარმოადგენს; ლეჩხუმის კავკასი ახლანდელი ლეჩხუმის ქედია ცაგერის რაიონში; კავკასის ვანეთისა ეწოდება ენგურის სათავეებს. სვანეთის საზღვრების აღწერისას ვახუშტი ასახელებს **„სვანეთსა და ოდიშს შორის კავკასს“**. მისივე თქმით სვანეთი **„(ს)იგრძით არს რაჭის კავკასის თხემი და მოდიშის კავკასის თხემამდე...“** (იქვე: 787).

მეცნიერის მსჯელობით, აბაშისა და ტეხურის სათავეები კავკასიონის მთავარ ქედზე კი არაა, არამედ იმ ქედზე, რაც წარმოადგენს ოდიშის ჩრდილოეთ საზღვარს: **„თაკვერსა და ოდიშ შორისი მთა, კავკასიდამ ჩამოსულის ამრით და კუალად თაკუერი დამვე წარსრული კავკასი ჩდილოთ, ვიდრე ეგრისის სათავემდე, ოდიშსა და სუანეთს შორისი“** (იქვე: 776).

მდ. აბაშა სათავეს იღებს ასხის კირქვული მასივის სამხრეთ ნაწილში, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მისი სათავე-მდგენლებია ტობა და რაჩხის წყალი. მდინარის სიგრძე 66კმ-ია და მარცხენა მხრიდან უერთდება ტეხურს ზანათის ტერიტორიაზე. მემატიანის ცნობით, მდინარის სახელწოდება VIII საუკუნის 30-იან წლებში ეგრისის სამეფოში არაბთა ლაშქრობის ისტორიას უკავშირდება. ჯუანშერი თავის თხზულებაში – **„ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“**, მოგვითხრობს: **„...აღდგეს მდინარენი სასტიკად, და მიმართა უმცროსმან წყალმან სპასა აბაშთასა, და წარიღო მათგან მკუირცხლი ოცდასამი ათასი. და მიერითგან სახელ-ედვა ორთა მათ მდინარეთა: ერთსა ცხენის წყალი და ერთსა აბაშა“** („ქ.ცხ.“ I, I,1955: 237-238; იხ. აგრეთვე კირთაძე 2012:93). ასეთივე განმარტებაა მოცემული წარმოშობით გერმანელი მკვლევრის, კარლ ჰანის ნაშრომში – **„კავკასიის გეოგრაფიული სახელების განმარტებათა პირველი ცდა“**, სადაც ვკითხულობთ: „Абаша приток Техура, получиль названые отъ того, что въ немъ утонуло 8.000 абхазов (абашовъ) узъ войска арабского полководца Мурванъ-кру“ (ჰანი 1909: 2).

ვახუშტი მიიჩნევს, რომ **„აბაშა“** მდინარის გვიანდელი სახელწოდებაა. არაბთა ლაშქრობამდე მდინარე **„პირველ სხვის სახელით“** ყოფილა ცნობილი, მაგრამ კონკრეტულად თუ რა სახელით, ამის შესახებ მეცნიერი არაფერს ამბობს.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ **„აბაშა“** ამ მდინარის ქვემოწელის, კერძოდ, იმ მონაკვეთის სახელწოდება უნდა ყოფილიყო, რაც აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. ძველი აბაშის მიდამოებიდან ტეხურის შესართავამდე მდებარეობს (სიხარულიძე **„მახარია“**, №1, 2003: 3). თუ გავითვალისწინებთ აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრს იმის შესახებ, რომ მდინარეს სახელს ადგილი აძლევს, მაშინ ჰიდრონიმი **„აბაშა“** შესაძლებელია მეტონიმიის გზით (გეოგრაფიული სახელწოდების უშუალოდ მომიჯნავე ობიექტზე, ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში – სოფლის სახელწოდების მდინარეზე გადატანით) მიღებულად ჩავთვალოთ.

თუკი **„აბაშის“** მდინარის ქვემოწელის აღმნიშვნელ სახელწოდებად მიჩნევის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებას მართებულად მივიჩნევთ, მაშინ შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ზემოწელზე მდინარე უეჭველად იმ მთის სახელით უნდა ყოფილიყო ცნობილი, საიდანაც სათავეს იღებს. ასეთი კი რაჩხის მთაა. მდ. აბაშის მარცხენა მდგენელის – ტობას პარალელურ სახელწოდებად ჩაწერილი გვაქვს აგრეთვე ტოპონიმი **„ტანწყარი“**. შესაძლებელია ამ ორი ტოპონიმიდან ერთ-ერთი მდ.აბაშის ზემოწელის სახელწოდებად გვევარაუდა .საველე ძიებით მომავალში ამ ხეობის შუაწელის სახელიც შეიძლება გამოვლინდეს (სიხარულიძე, კეკელია **„ცოტნეიდელი“**, VI, 2012-2013: 292; **„მხარეთმცოდნე“**, IV, 2013: 23).

მკვლევარი მ.გრიგოლია ფიქრობს, რომ მდ. აბაშასთან, რამაც აბაშთა (ეთიოპელთა) 23.000-კაციანი მხედრობა წალეკა, წარმოიშვა ამავე სახელწოდების სოფელი. წყალდიდობას გადარჩენილი, არაბთა ჯარში მებრძოლი აბაშთა ნაწილი, თითქოს, ადგილობრივმა მოსახლეობამ შეინდო და მიმდებარე ტერიტორიაზე დაასახლა. გვარი აბაშიაც, მ. გრიგოლიას მოსაზრებით, მის ეთნიკურ წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს (გრიგოლია **„ექსპრესი..“** , 4, 1999:5). სწორია თუ არა გადმოცემა აბაშიძეთა გვარის ეთიოპური წარმომავლობის შესახებ, ამის გარკვევა რთული საქმეა, მაგრამ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეთიოპელის აღსანიშნავად ძველქართულ წერილობით ტექსტებში გამოიყენებოდა ტერმინები: ჰაბაში, აბაში, აბისინიელი და ა.შ., ხოლო ჰაბაში//აბაში წარმოადგენდა ეთიოპელთა კრებსით სახელწოდებას (წერეთელი2000:84-102).

მიაჩნიათ, რომ ჰიდრონიმ აბაშაში აბა/-ბა ელემენტი ადამიანის საკუთარ სახელს, ხოლო-ში/-შა მაწარმოებელ სუფიქსს უნდა წარმოადგენდეს (აბა-ში>აბა-ში-ა–>აბაშა–>აბა-სი, ე.ი. აბაშა **„აბას სამკვიდროდ, სამფლობელოდ“** მოიაზრება (ხუხუა XVI,1972: 19). სხვათა შორის, სახელი აბაშ მოხსენიებულია **„ტბეთის სულთა მატიანეში“** (XII-XVII სს.): **„სულ საგოგლაეთ აბაშისასა შეუნდვენ ღმერთმან...“„სულს დოლისძის აბაშის“**....(ელიავა 1977:90, 106). აბაში მამაკაცის საკუთარ სახელად დამოწმებულია **„ქართლის ცხოვრებაში“: „მეფემან ალექსანდრემ, ძემან გიორგი მეფისა მან, გაჰყარნა სამნი ძმანი – აბაში, გუგუნა და დავით“** (ვახუშტი IV,1973:33); აბა, აბაი, აბასა, აბაშ, აბაშო და აბაშხაპირთა სახელებია (ღლონტი1986: 66,255); ხოლო ანთროპონიმი **აბა** გვხვდება პალესტინის მონასტრის მოზაიკურ წარწერაში (VIს.). შდრ.: ტოპონიმები –აბისი, ბაში, ეწერბაში..., აგრეთვე გვარები – აბაიძე, აბაიშვილი, აბასაშვილი, აბაშვილი, აბაშია, აბაშიშვილი, აბაშიძე,ა ბაშმაძე...

XVII საუკუნის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი ვარაუდობდა, რომ სტრაბონის მიერ მოხსენიებული გლავკოსი მდ. აბაშა უნდა იყოს: **„ცხენისწყალი მარტო როდი შეერთვის ფაზისს, მასთან ერთად შეერთვიან აბაშა და ტეხური. აბაშა ძველად შეიძლება იყოს სტრაბონის გლავკოსი, რომლის შესახებ იგი ამბობს, რომ ცხენისწყალთან ერთად ფაზისს ერთვისო“** (ლამბერტი 2011:199). აგათია სქოლასტიკოსის ცნობაზე დაყრდნობით აკად. ს. ყაუხჩიშვილი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ მდ. აბაშის თავდაპირველი სახელწოდება კათარისწყალი უნდა ყოფილიყო, ხოლო მდ. ტეხურისა – დოკონისი (msjelobisaTvis ix. kekelia 2011: 15-17).

### ტეხურის ხეობა

ტეხურის სათავეს რაინეგსი შეცდომით მიუთითებს: **„მოზრდილი მდინარე ტეხური სათავეს იღებს ალანეთსა და სვანეთს შორის და ცხენისწყლის შესართავს ზემოთ ათი ვერსის მოშორებით უერთდება რიონს მარჯვენა მხრიდან“** (იქვე: 120).

**„აფხაზეთის ალანეთზე“** ცნობებს ვახუშტი საკუთრივ აფხაზეთზე მსჯელობისას გვაწვდის: **„ხოლო ალანი არს სუანეთის დასავლით და ბედიის ჩდილოთ. აქ უს აღმოსავლით კავკასი და საზღვარის უანთა; სამჰრით კავკასიბედია-ოდიშს და ამას შორისი; დასავლით კავკასი; ჩდილოთ-ცა კავკასი. უდის შუაში სუანეთის მდინარე“** (ვახუშტი IV,1973: 788).

მაშასადამე, მისი მონაცემებით, მდ. ბზიფს, შავ ზღვასა და კავკასიონს შორის მდებარეობდა ისტორიული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მხარე **„ალანის“** სახელწოდებით. მას აღმოსავლეთით სვანეთი ესაზღვრებოდა, ხოლო სამხრეთით – ბედია და მცირე კავკასიონი (**„ბედია-ოდიშს შორისი“**). ვახუშტი რუკებზე არასწორად უჩვენებს ალანის გეოგრაფიულ მდებარეობას. მას ათავსებს იმ ფანტაზიური მდინარის ხეობაში, რასაც **„სუანეთისმდინარეს“** უწოდებს. აღნიშნული მდინარე ვახუშტის რუკაზე გაივლის სვანეთს და მხოლოდ ქვედა დინებით შეესაბამება მდინარე ბზიფს (მარუაშვილი 1997:188).

ალანეთის (ალანის) მდებარეობას ვახუშტის მსგავსად გადმოსცემს ქართველი ისტორიკოსი ნ. დადიანიც (დადიანი1962: 152). ამასთანავე, ნ. დადიანის ცნობით **„სვანეთს მზღვრის... დასავლეთით სვანეთსა და ოდიშს შორისი კავკასი და ალანის საზღვარი“** (იქვე).

ვახუშტის აღწერაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების ალანეთი აფხაზეთის ქვეყნის ის მხარეა, რაზეც კოდორი გაივლის ბზიფამდე, ანუ კოდორის ზემოწელის ტერიტორია; კონკრეტულად კი, ჩხალთის, კლიჩის, გვანდრისა და საკენის ხეობები, ანუ ბიზანტიური წყაროების მისიმიანეთი (მუსხელიშვილი II, 1980: 56). კოდორის სათავეები თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით გულრიფშის მუნიციპალიტეტში შედის. აღნიშნული ისტორიული მხარე, რაც წებელდის ნაწილს შეადგენს, დალის ხეობის სახელითაა ცნობილი.

წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ ალანები ადრეულ შუა საუკუნეებში (IV-V სს-დან მაინც) ყუბანისა და მისი შენაკადების სათავეებში მოსახლეობდნენ (Алексеева 1971; Кузнецов МИА, №106; აფხაზავა **„მაცნე“**, №3-4,1991: 24-25).

ალანეთის ლოკალიზაციის საკითხს შეეხო ენათმეცნიერი თეიმურაზ გვანცელაძე. მან ყურადღება მიაქცია მატიანეში – **„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“**, თამარ მეფის მამის, გიორგი III-ის (1156-1184წწ.) შესახებ დაცულ შემდეგ ცნობას: **„თუით მეფე დაჯდა სიხარულად და განსუენებად და ნადირობად. ოდესმე, ჟამსა ზამთრისასა, გარდავიდის ლიხთ-იმერითს და მიუწიის ზღუად პონტოსა, მოიწიის და მოინადირის ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი, ოდესმე გურგენის ზღუადმდე. და ამას შინა სუფევდა და იხარებდა სუფევითა ულუმპიანითა“** („ქ. ცხ.“ II,1959: 15). ციტირებული ადგილი მან განსაკუთრებით საყურადღებოდ მიიჩნია XII ს-ის მეორე ნახევარში ეთნიკური აფხაზეთის ადგილმდებარეობის დასადგენად. თ. გვანცელაძის აზრით, ფრაზა – **„ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“**, იმის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ აფხაზეთი და ალანთა ქვეყანა ერთიდაიგივეა; მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმგარემოებას, რომ ტერმინ ალანის ეთნიკური შინაარსი გულისხმობს თურქული მოდგმის ყარაჩაელ-ბალყარელთა წინაპრებს, ამასთანავე, იმავე მატიანეში მოხსენიებული ეთონიმი **„ალანი“ „ოვსის“** შესატყვისად შეუძლებელია ჩაითვალოს (რამეთუ **„ოვსებს“** და **„ოსეთს“** მემატიანე ხშირად ხმარობს, ხოლო **„ალანეთს“** – ამ ერთადერთხელ!), ქართული მატიანის საანალიზო ცნობაში პოლიტიკური შინაარსის მქონე შესიტყვება **„ალანთა ქუეყანა“** შესაძლებელია იმ პოლიტიკური გაერთიანების აღმნიშვნელი იყოს, რაც ოსებთან ან ყარაჩაელ-ბალყარელებთან ერთად აერთიანებდა ჩრდილოეთ კავკასიის აბორიგენ, აფხაზურ-ადიღურ ტომებს, მათ შორის აფხაზებსაც (გვანცელაძე II, 1998:74; მისივე 1998: 28). თ. გვანცელაძის აზრით, საკუთრივ აფხაზეთი მდებარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში და წარმოადგენდა ალანთა ქვეყნის ნაწილს. თვით ალანეთი კი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო. ამ მიზეზით, ბუნებრივია, გიორგი III-ს ექნებოდა თავისი ვასალის – ალანთა მეფის სამფლობელოში ნადირობის შესაძლებლობა. სხვა მხრივ ალანთა ქვეყანას ფაქტობრივად საერთო არაფერი ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოსთან.

მაშასადამე, ვახუშტის ცნობა, ალანის ადგილმდებარეობის შესახებ დამაჯერებლობას მოკლებულია. შესაბამისად, არასწორია იაკობ რაინეგსის ცნობაც იმის შესახებ, რომ თითქოს ტეხურის სათავე ალანეთსა და სვანეთს შორისაა...

მდ. ტეხური სათავეს იღებს მარტვილის რაიონის ტერიტორიაზე, კურორტ ლებარდეს ჩრდილო-დასავლეთით, მწვერვალ ტეხურიშდუდთან, ზ. დ. 2400მ-ზე, და მარჯვნიდან შეერთვის რიონს. მდინარის სიგრძე 108 კმ-ია, აუზის ფართობი 1040 კმ2-ს შეადგენს (მარგველანი ქსე, IX,1985 : 709). მისი მარჯვენა და მთავარი შენაკადია აბაშა. თვით ტეხური რიონს უერთდება ისულას სამხრეთით.

ვახუშტი აღნიშნავს, რომ **„რიონს მოერთვის ჩდილოდამ აბაშა-ტეხურის მდინარე, უნაგირას მთისზეით, ისულეთს“** (იქვე: 747).

მდინარის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია ტეხირი, ტეხრი. საინტერესოა მეცნიერის მსჯელობა ჰიდრონიმის ეტიმოლოგიაზე. ვახუშტი მდინარის სახელწოდებას დინების ხასიათით ხსნის და წერს, რომ ჩქარი დინების გამო ტეხური შემუსრავს და ანგრევს ხიდსა და სხვა მისთ. ადგილობრივ ინფორმანტთა ცნობითაც მდინარე **„ტეხილი და გიჟმაჟია“** (ელიავა1977: 174).

სულხან-საბას ლექსიკონში დასტურდება სიტყვა ტეხვრა **„დიდი ყინვის“** მნიშვნელობით და პარალელური ფორმა სიცივე (სულხან-საბა 1928:332). **„სიცივეცა განიყოფებიან შუდად“**, – წერს იგი და ტეხვრას განმარტებისას აღნიშნავს: **„ტეხვრა არს ზამთარ თოვლში სიცივე“** (იქვე: 318).

განსხვავებული თვალსაზრისი წამოაყენა მკვლევარმა ო. ხუხუამ. მისი აზრით ჰიდრონიმი **„ტეხური“** ორწევრიანი კომპოზიტია, სადაც ხირი ნაზმნარი ზედსართავი სახელია და იგივეა, რაც **„რღვეული“**. ო. ხუხუა ვარაუდობს, რომ კომპოზიტის პირველი წევრი ტე-რღვეული, ბობოქარი, მოვარდნილი წყლის განტევების, აშვების, და ხსნის აღმნიშვნელია (ხუხუა 4, 2005: 15).

ალიო ქობალიას **„მეგრულ ლექსიკონში“** მოცემულია ტეხირის//ტეხ? რის რამდენიმე მნიშვნელობა: **„ტეხილი, მიხვეულ-მოხვეული, უსწორმასწორო; ქვიანი, ოღრო-ჩოღრო ადგილი; მეტეხი, მტეხავი, მლეწავი; ყინულოვანი (მდინარე)...“** (ქობალია 2010: 601).

ტეხური ოროგრაფიული ნომენია და უნდა აღნიშნავდეს მდინარის მიხვეულ-მოხვეულ, დატეხილ-დაკლაკნილ კალაპოტს, ან მტეხავს, მლეწავს (კეკელია 2010: 36; სიხარულიძე, კეკელია IV, 2013: 32-34). პროფ. პაატა ცხადაიას მიაჩნია, რომ ქართული „ტეხ“ ფუძის ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისი მეგრულში არის **„ტახ“** (ტახ?ნს,„ტეხს“). ამიტომ ქართული **„ტეხ“** ფუძიდან შეუძლებელია მდინარის სახელის წარმოქმნა. **„აქედან გამომდინარე, – დასძენს პ. ცხადაია, – ტეხურთან დაკავშირებული მსჯელობა ცრუ, ხალხურ ეტიმოლოგიას უფრო ჰგავს, ვინემ მეცნიერულს“** (ცხადაია 2005: 11).

ჰიდრონიმ **„ტეხურთან“** დაკავშირებული მიკროჰიდრონიმებია: ტეხირჭაე **„ტეხურისჭალა“** – მდ. ტეხურის ჭალა (ელიავა 1989: 110; კეკელია 2013: 37); ტეხირჭა? ე – ჭალა-სახნავი სალხინოში, ტეხურის მარცხენა ნაპირზე (ცხადაია VI, 2012: 559); ტეხ? რჭა (?) ე – ჭალა-სახნავები წაჩხურში, ტეხურის მარცხენა ნაპირზე (იქვე: 561); ნატეხირ?//ტეხირჭალე//ჭალე – ტეხურის ჭალის ნაწილი ოჩეში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ღვანდრამდე, რაც 1915 წელს წყალდიდობას დაუფარავს. ჭალა მდინარის დონიდან 5მ-ით მაღლაა (იქვე: 391, 559); ტეხ? რი შეიორთუ „ტეხურის ასახვევი“ – გზის მონაკვეთი ლებარდეს გზაზე (იქვე: 561); ტეხურიშ გინალ?//ღოლაშიშგინალ? – უღელტეხილი, გზა-გადასასვლელი ტეხურის ხეობიდან ღოლაშისკენ, ხობისწყლის ხეობაში (იქვე: 561,608) და ა.შ.

**იგორ კეკელია,**
**ისტორიის დოქტორი**

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს ქ-ნ დარეჯან კვარაცხელიას დის

**ქეთევან კვარაცხელიას**

გარდაცვალების გამო

# „ისლამური სახელმწიფო“ უკრაინას ნავთობს ოდესის პორტის გავლით აწვდის – პროცესს ოდესის ოლქის გუბერნატორი, საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „კრიშავს“!




საიდან მიეწოდება ნავთობი კიევის ხუნტის კონტროლქვეშ მყოფ უკრაინას? უკრაინის ეკონომიკის ნორმალური განვითარებისთვის საჭირო გახდა დაახლოებით 12.7 მლნ ტონა ნავთობის იმპორტირება. ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მიწოდება 2014 წელს 6.7 მლრდ დოლარი დაჯდა. ნავთობზე ფასების ვარდნის გათვალისწინებით, ეს დიდი ფულია, რომლის გადახდაც უკრაინის მმართველებს არ ეპიტნავებათ, ისევე, როგორც გაზის საფასურისა. ერთადერთი გზა იაფი ნავთობის შოვნა და მისი გადამუშავებაა, რათა იმპორტული მზა საწვავის საფასურის გადახდა საჭირო არ იყოს.

და აქ პოროშენკოს რეჟიმს დამხმარედ კვლავ ამერიკელი პატრონები მოევლინნენ. დღეს ყველაზე იაფი ნავთობი საუდის არაბეთში ანდა ყატარშია. **„შავ ბაზარს“** ყველაზე იაფ ნავთობს აწვდის **„ცე-რეუ-ს“** შვილობილი კომპანია **„ისლამური სახელმწიფო“** – ბარელს 20-30 დოლარად. მისი უკრაინაში მიწოდებას მხოლოდ პორტი და ნავთობტერმინალი სჭირდება. უკრაინაში ერთადერთი ასეთი პორტია – ოდესაში, და ხუნტას ის მუდამ კონტროლქვეშ ეყოლება – როგორც 1945 წელს ჰიტლერი მთელი ძალ-ღონით ცდილობდა ბალატონის ტბის შენარჩუნებას. სწორედ ამით აიხსნება ხუნტის მიერ სახალხო პროტესტის მხეცური მეთოდებით ჩახშობა ოდესაში 2014 წლის 2 მაისს, როცა ბანდერული იდეოლოგიის მოწინააღმდეგე ათობით ოდესელი ცოცხლად გამოხრუკეს პროფკავშირების სახლში. თუმცა როცა კორუფციაში ყურებამდე ჩაფლული ოლიგარქები, პოროშენკოსა და კოლომოისკის სახით, ერთმანეთს დაეძგერნენ ოდესის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისთვის, ამერიკელებმა გადაწყვიტეს, ოდესაზე კონტროლი **„თავისი ნაბიჭვრისთვის“** – სააკაშვილისთვის გადაეცათ. ამგვარად, მიხეილ სააკაშვილი **„ზედამხედველობს“** **„ისლამური სახელმწიფოს“** მიერ ნავთობის მიწოდებას ბანდერული უკრაინის არმიისთვის და ამ მიზნით ფართო უფლებამოსილებებიც მიენიჭა.

**„ისლამური სახელმწიფოს“** მიერ უკრაინისთვის ნავთობის მიწოდებისა და უკრაინის გავლით მისი ტრანზიტისთვის ხელშეშლა მხოლოდ 2 ფაქტორს შეუძლია: იაფი ნავთობი ყველას, უბრალოდ, არ ეყოფა; და თურქეთის პოლიტიკური მზაობა, გაატაროს **„ისლამური სახელმწიფოს“** ნავთობი შავ ზღვაში. თურქეთი ნავთობის ერთ-ერთი უმსხვილესი შემსყიდველია **„ისლამური სახელმწიფოსგან“**, სწორედ ამიტომ არ ერევა და არ უშლის ხელს ამ კონფლიქტს ახლო აღმოსავლეთში, რითაც 2 პრობლემას ჭრის – ქურთებისას – ასუსტებს რა ერაყულ ქურთისტანსა და ქურთულ ოპოზიციას თურქეთში და ეკონომიკურს – იღებს რა იაფ ნავთობს დიდი მოცულობებით და ავითარებს ეკონომიკას. და თუ თავად თურქეთს იაფი ნავთობი არ ეყოფა, მაშინ შესაძლოა არც გაატაროს **„ისლამური სახელმწიფოს“** ტანკერები ბოსფორის გავლით.

ამიტომ როგორც კი რუსეთი თურქეთის სანაპირომდე ახალ გაზსადენს მიიყვანს, თურქეთი სრულად გაითვალისწინებს თავისი ეკონომიკური პარტნიორის ინტერესებს და უფრო ყურადღებით დაათვალიერებს უკრაინისკენ მიმავალ ტანკერებს. მაშინ სააკაშვილის საჭიროება თავისთავად მოიხსნება, თუკი, რა თქმა უნდა, ხუნტა საერთოდ შეძლებს ძალაუფლების შენარჩუნებას იმ დრომდე.

ამასობაში კი სააკაშვილის ტრადიციული თავხედობით აღშფოთებულმა ოდესელებმა მასობრივი საპროტესტო აქცია მოაწყვეს დევიზით: **“არ გვჭირდება სამხედრო დამნაშავე, რომელიც ხოცვა-ჟლეტვისთვის მოვიდა”. მომიტინგეებმა სააკაშვილის წინააღმდეგ მოაწყვეს თეატრალიზებული აქცია და გამოფინეს პლაკატები წარწერით: “სააკაშვილო, GO HOME”.**

**”ჩვენ არ გვჭირდება სამხედრო დამნაშავე, რომელიც მოვიდა, რათა ხოცვა-ჟლეტვა დაიწყოს”** – ასეთია მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციის მთავარი გზავნილი. აქცია ოდესაში, ანტი-მეიდნის ადგილობრივმა აქტივისტებმა გამართეს. ამის შესახებ ინფორმაციას **1NEWS.net**-ი აქვეყნებს.

**“იმ ადამიანის დანიშვნა გუბერნატორის პოსტზე, რომელიც საკუთარ ქვეყანაში იძებნება, არასწორია. ჩვენ უბრალო მიზანი გვამოძრავებს – ოდესას ნორმალური გუბერნატორი უნდა ჰყავდეს, რომელიც მის ინტერესებს დაიცავს და არა შეშლილი სამხედრო დამნაშავე. ოდესას კარგად ახსოვს, რომ სააკაშვილს სისხლით აქვს ხელები დასვრილი. სწორედ მან გასცა ე.წ. სამხრეთ ოსეთში მშვიდობიანი მოსახლეობის ჩაცხრილვის ბრძანება, სადაც ასობით ადამიანი მოკლეს”,** – ამბობს აქციის ორგანიზატორი მიხეილ კოშელიოვი.

სააკაშვილის წინააღმდეგ გამართული თეატრალიზებული აქციის მონაწილეებმა ოდესის ცენტრში ჰალსტუხიანი თხა მიიყვანეს. ისევე, როგორც საქართველოში, სააკაშვილმა ოდესელ მომიტინგეებთან დამოკიდებულებაშიც არ უღალატა საკუთარ პრინციპებს – აქციის მონაწილეების თქმით, მათი აქცია ფორმიანმა უცნობებმა დაარბიეს და აქციის მონაწილეებს პლაკატები და სხვა ატრიბუტიკა გაუნადგურეს.

**საქინფორმი**

# მიმართვა მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანების, რელიგიურ მიმდინარეობათა წარმომადგენლებისა და ქვეყნების ლიდერებისადმი

მრჩეველთა ნების გათვალისწინებით – პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ არა მარტო მთელ რიგი დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ ხელმძღვანელობას უკარნახა ერთსქესიან პირთა ე.წ. ქორწინების დაკანონება, არამედ ელემენტარული დემოკრატიული საწყისებისა თუ **რეფერენდუმის გარეშე – „სასამართლოს ძალით“ დიქტატორულად** დააკანონა ერთსქესიანი **„ოჯახები“** თვით დემოკრატიული დასავლეთის წამყვან აშშ-შიც.

ამერიკული დემოკრატიის მამები თომას ჯეფერსონი და აბრაამ ლინკოლნი ვერაფრით ვერ წარმოიდგენდნენ რომ მათი სამართალმემკვიდრე **აშშ**-ს ხელმძღვანელობა ადამიანთა ფუნდამენტური უფლებებისა და საზოგადოებრიობის საწინააღმდეგო ყოფიერების სისტემას შემოიღებდა **მოსახლეობის უმრავლესობის დაუკითხავად.**

უფრო მეტიც – ცივილიზაციის გადარჩენის სადარაჯოზე მდგომმა ხალხის უდიდესმა წინამძღოლებმა – **ნოემ, აბრაამმა, დიდმა მოსე წინასწარმეტყველმა, მართალმა ლოტმა, სხვა წმინდა ისტორიულმა პიროვნებებმა და თვით იესო ქრისტემ** – ნუთუ იმიტომ დაგვიტოვეს გადარჩენისა თუ განვითარების წესკანონები, რომ ახალი მსოფლიო ლიდერი ქვეყნის **„რეკომენდაციები“** გავითვალისწინოთ და დასავლეთის მზის ჩასვენებას, მიბაძვით, ყველამ შევუწყოთ ხელი? და კიდევ – ხომ არ ჰგავს უმცირესობის მიერ **უმრავლესობისათვის თავს მოხვეული** ეს არაბუნებრივი პროგრამა, აპოკალიფსში ნახსენებ ბაბილონურ ტენდენციებს?...

დასმული საკაცობრიო საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს არითმეტიკური პროგრესით მზარდი ტერორიზმისა თუ ექსტრემიზმის საშიშროებისას, მაშინ, როდესაც – მოზღვავებულ პრობლემათა გადაჭრას – მორალურად გამართლებულ პოლიტიკურ ლიდერთა ავტორიტეტით ხელმძღვანელობა სჭირდება მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში.

მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებს, რელიგიურ მიმდინარეობათა წარმომადგენლებს და ქვეყნების ლიდერებს ვთხოვთ, რათა შეაფასონ ე.წ. ერთსქესიანი ოჯახების **ანტიცივილიზაციურად** დაკანონება აშშ-ში და გაემიჯნონ მას. ხოლო ამ პროექტის განხორციელებისათვის – პრეზიდენტ ობამას ქმედებები შეფასებული იქნას, როგორც **კაცობრიობის წინაშე ჩადენილი** დანაშაული.

დემოკრატ ამერიკელ ხალხს კი ვთხოვთ, გამოეხმაურონ ბარაკ ობამას მიერ ქებულ – აშშ-ში მოქმედ, სიკვდილით დასჯის კანონის მორალსა და მართლზომიერებას.

ადამიანის უფლებათა დაცვის ვეტერან წარმომადგენელთა სახელით:

**გიორგი კერვალიშვილი,**
**სრულიად საქართველოს ადამიანთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი;**
**მირონ (მერაბ) სულაქველიძე,**
**ჟურნალ „ლაზარეს აღდგინების“ რედაქტორ-გამომცემელი, საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი;**
**ბესო (ბესარიონ) მიქავა,**
**იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე**

# განცხადება



მე, ზურაბ კვარაცხელია – საქართველოს მოქალაქე და ადამიანი, რომლის საკრალური სურვილიცაა, რომ ათასწლეულების ქარტეხილებს ავად თუ კარგად გამოღწეულმა კოლხიბერმა აუცილებლად შეინარჩუნოს უნდა საკუთარი ეროვნული და ტრადიციული თვითმყოფადობა – პროტესტს ვაცხადებ და მოვითხოვ ჩვენს სამშობლოში შეწყდეს ე. წ. დასავლურ ფასეულობებზე აპელირება და მისი პროპაგანდა-ტირაჟირება! ქართველმა ერმა უნდა აღიმაღლოს ხმა ჩვენი გადაგვარების მოსურნე მონდიალისტურ-გლობალისტური ძალების მითითებითა და სტიმულირებით მოქმედი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების აღვირახსნილი თარეშის წინააღმდეგ! დრო არ ითმენს! სანამ ჯერ კიდევ არსებობს შანსი გადარჩენისა – უნდა მოვახდინოთ ჯერ კიდევ შემორჩენილი ეროვნული ენერგიის და პოტენციალის სრული მობილიზება! უდიდესი ძალისხმევის ფასად უნდა ავამოქმედოთ თითქმის მიძინებული თვითგადარჩენის რეფლექსი! უნდა ვიხსნათ საკუთარი ერი სრული სულიერი და ფიზიკური განადგურებისაგან! გაუმარჯოს ჩვენს ბრძოლას მამულის გადასარჩენად! შეგვეწიოს უფალი მამულიშვილურ ზრახვებში და ძალისხმევაში!

თანამემამულენო! როცა გვაქვს პრეტენზია ვიყოთ ეროვნული მოძრაობის წევრი და ქვეყნის პატრიოტი, მაშინ უპრიანია, უფრო სწორედ, აუცილებელია გვესმოდეს ისიც, რომ: ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს – იცავდე, დიახ, უკომპრომისოდ და დაუღალავად იცავდე ეროვნულ-ტრადიციულ და მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ ფასეულობებს!... ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს – არ გაწიო შენს სამშობლოში გლობალისტურ-მონდიალისტური იდეოლოგიის პროპაგანდა-აგიტაცია!.. ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს – შეურყევლად იდგე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე!.. ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს – ზესახელმწიფოების მხრიდან უაღრესად რთული გეოპოლიტიკური თამაშების პერიოდში – გამოავლინო სტრატეგიული აზროვნების მაქსიმალური უნარი და მინიმალური დანაკარგებით შეეცადო საკუთარი სამშობლოს ჩიხიდან გამოყვანას!.. ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს – მეტაფორულად რომ ვთქვა – გლობალიზაციის ცუნამის შემოტევისას აუცილებლად გაამაგრო არსებული ჯებირები და დამატებითი დამცავი მექანიზმების კონსტრუირებასაც!.. ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს – იყო უღრესად ბრძენი, პრაგმატული, რადგან ოდენ ცარიელი პატრიოტული სულისკვეთება ნამდვილად არაა საკმარისი და აუცილებელია ამის სინთეზირება!.. ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს – როცა არსებობს დილემა ცუდსა და უარესს შორის – აირჩიო უფრო მისაღები ვარიანტი და არ გაწირო ერი და სამშობლო საბოლოოდ დაღუპვა-განადგურებისათვის!.. ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს – ყოველგვარი პირადულის და ფობიების გარეშე, ნებისმიერი შენი მოქმედება დაუქვემდებარო მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს!... ეროვნული მოძრაობის წევრობა ნიშნავს – სულმნათი მერაბ კოსტავას სიტყვებით, რომ ვთქვა – გიყვარდეს ეროვნული მოძრაობა შენში და არა შენი თავი ეროვნულ მოძრაობაში!..

**P.S. ამ განცხადების გაკეთება მაფიქრებინა და გადამაწყვეტინა ინტერნეტსივრცეში და არამარტო ინტერნეტსივრცეში, არამედ ზოგადად საქართველოში შექმნილ გარკვეულ გარემოებათა მოცემულობამ... მიმაჩნია, რომ ეს აუცილებლად უნდა განმეცხადებინა!..**

**ზურაბ კვარაცხელია**

ილორი
პროვოკატორის ბლოგი

# შტრიხები პოლიტიკური პორტრეტისათვის




**გაზეთი "ილორი" ხსნის ახალ რუბრიკას, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან საქართველოს ის მოქალაქეები, რომელთაც დიდი პრეტენზიები გააჩნიათ სწორუპოვარ პოლიტიკოსობაზე. ავტორიტეტულ ექსპერტთა დასკვნით ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ბევრი არ არის ისეთი პიროვნება, რომელიც იმდენ მითქმა-მოთქმას იწვევდეს, როგორც ლეიბორისტული (შრომის) პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილია. მის ირგვლივ მუდამ ხმაური, აყალმაყალია, თანაც, ძნელად თუ მოიძებნება საქართველოში მეორე ისეთი პოლიტიკური პარტია, რომლიდანაც თავკაცის იმდენი უახლოესი თანამებრძოლი წასულიყოს, როგორც ეს გამუდმებით ლეიბორისტული პარტიის ლიდერს მოსდის.**

**ამრიგად, ჩვენი გაზეთის პირველი სტუმარი იქნება პოლიტიკოსად სახელდებული**

## შალვა ნათელაშვილი

რომ არა მუდამ დაძაბული სახე და უხვად გადმოფრქვეული სალანძღავი **"მარგალიტები"**, ნათელაშვილი შეიძლებოდა კლოუნისათვის შეგვედარებინა, მაგრამ ბოროტი კლოუნი ჯერ არავის უნახავს და ჩვენც თავს შევიკავებთ ამგვარი შედარებისაგან, რათა ჩრდილი არ მივაყენოთ ტრადაციულად კეთილ კლოუნებს. შალვა კი ლანძღავს ყველას, ვინ არ მოსწონს – მათ შორის ქართველი ხალხის იმ აბსოლუტურ უმრავლესობას, ვინც მას არჩევნებში ხმას არ აძლევს.

შალვას კარიერა დასაწყისს იღებს ჯერ კიდევ კომუნისტური ეპოქიდან, როცა იგი რესპუბლიკის პროკურატურის პარტკომად გაამწესეს ზემდგომმა ორგანოებმა. ძველმა მუშაკებმა კი კარგად იციან, რომ ამ თანამდებობაზე უშიშროებასთან თანამშრომლობის ხელწერილის გარეშე არავის დანიშნავდნენ. პროკურატურის პარტკომობიდან წლების შემდეგაც ვერ წავიდა შორს ეს სკანდალების მოყვარული კაცი. ისევ **"პარტკომური"** მონდომებითა და უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს ყველას, ვინც ან პოლიტიკურად არ უმართავს ხელს, ან – ფინანსურად. შალვა სწორედაც რომ წარსულიდან გადმოსული ავბედითი აჩრდილია იმ ყოველივე უარყოფითის, რაც იმდროინდელ პარტნომენკლატურას გააჩნდა.

თუ ადამიანი თავს პოლიტიკოსად მიიჩნევს, მან ნამდვილად არ უნდა იხმაროს ის სალანძღავი სიტყვები, რითაც ნათელაშვილი ოპონენტებს ამკობს ხოლმე.

**"მუდამ მაღიზიანებდა ყველა ჯურის ოპოზიციონერის სწრაფვა, ერთიანად, ხელაღებით გაეშავებინათ ყველა და ყველაფერი, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ნაბიჯში მხოლოდ ცუდი და მავნე დაენახათ".** – ამბობს თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონი ალექსანდრე ჭაჭია. მაგრამ ეს გახლავთ იმ ბრძენი პოლიტიკოსის პოზიცია, რომელიც არ უკრთის ძლიერი და მართალი ოპონენტების ობიექტურად შეფასებას და მათი ხელაღებული ლანძღვით არ აგროვებს პოლიტიკურ ქულებს.

გაიგებს კი ამას, შალვა ნათელაშვილი?

გამორიცხული არ არის, რომ გაიგოს, მაგრამ ჯანსაღი ოპონირებით ეს გაუნათლებელი პოლიტიკანი ნაღდად ვერ მოაგროვებს ზედაპირზე სატივტივო პოლიტიკურ დივიდენდებს!

ზოგიერთი ჟურნალისტის აზრით ნათელაშვილი პოლიტიკური შულერი, პოლიტიკური კლოუნი თუ ჩვეულებრივი თაღლითია, რომელმაც ქართველი ხალხის გაცუცურაკებით მილიონები იშოვა.

დავასწრებ მოვლენებს და ვიტყვი, რომ თბილისის საკრებულოს არჩევნებში სწორედ ნათელაშვილმა (სავარაუდოა, რომ გარკვეული გასამრჯელოს საფასურად) მიაშველა ხმები ავადსახსენებელ სააკიანცს, რათა იგი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გამხდარიყო.

ცხრა წელი სწოვდა ჩვენს სისხლს დაშნაკი სააკიანცი და ამის უპირველესი შემოქმედი, ედუარდ შევარდნაძის შემდეგ, რა თქმა უნდა, შალვა ნათელაშვილი იყო.

თუ როგორ ემადლიერებოდა საკრებულოს თავმჯდომარე სააკაშვილი ლეიბორისტ ნათელაშვილს ამის შემდეგ, ეს კარგად ჩანს ნაცდაშნაკ მიხოს ერთ-ერთ ინტერვიუში, სადაც იგი ამბობს: **"ჩვენ საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე ვართ დაინტერესებული ერთმანეთის გაძლიერებით. ჩემი ფუნქციაა, მაქსიმალურად ხელი შევუწყო ნათელაშვილის ინიციატივების გასვლას და მის გაძლიერებას და, ასევე, ჩვენც ვძლიერდებით".**

სერიოზული პოლიტიკოსი ამგვარი სამარცხვინო ალიანსის გამომჟღავნების შემდეგ საერთოდ ჩამოშორდებოდა პოლიტიკას და ჩუმად იჯდებოდა სახლში, მაგრამ, – ვიმეორებ – სერიოზული პოლიტიკოსი და არა შალვა ნათელაშვილი!

ნათელაშვილი არც იმ ამბავს შეუწუხებია დიდად, როცა პარტია დატოვეს მისმა თანამებრძოლებმა, რაც კიდევ ერთხელ განამტკიცებს იმ აზრს, რომ გარეგნული ანტაგონიზმის მიუხედავად, შალვა ნათელაშვილსა და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ერთმანეთისადმი **"ფსიქოლოგიურ-ინტიმური"** სწრაფვა აქვთ, თანაც პირველ მათგანში ის უფრო მძლავრობს. ექსპერტების განცხადებით **"შალვა ნათელაშვილს სოციალურ ქსელში კლოუნს, მასხარას და ფარჩაკს ეძახიან, მაგრამ ის სულაც არ გახლავთ იმდენად უჭკუო, "დაუნ ვი დიქტეიტე" თეთრი სახლის წინ რომ წარმოეთქვა".**

ფაქტია, რომ შალვა ნათელაშვილისთანა ოპოზიცია სააკაშვილს ჰაერივით სჭირდებოდა და კიდევაც ჰყავდა. თეთრი სახლის წინ რომ 20-კაციანი მიტინგი მოაწყო ნათელაშვილმა, უკვე არავის ეპარება ეჭვი, რომ ეს აქცია ნაცებთან წინასწარ იყო შეთანხმებული.

შალვა ნათელაშვილის პორტრეტის სრულყოფილებისათვის მოვიყვანთ ნაწყვეტებს მისი ყოფილი თანაგუნდელის იოსებ შატბერაშვილის განცხადებებიდან:

**"2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს შალვა ნათელაშვილმა გამსვლელ სიაში თავისი მეუღლე ქალბატონი ბელა ალანია შეიყვანა. ჩვენი პარტიის აქტივისტები იყვნენ ნესტან კირთაძე, ლეილა გაფრინდაშვილი, ეთერ კაკულია და ადა მარშანია. ბელა ალანია აქტივისტი არასდროს ყოფილა და საარჩევნო სიაში მისმა შეყვანამ აღგვაშფოთა. ჩვენი პროტესტის შემდეგ იგი შალვამ სიიდან ამოიღო. ჩვენი ურთიერთობების დაძაბვაც სწორედ აქედან იწყება. არ გვაპატია პრინციპულობა და ამ ამბის შემდეგ იგი სრულიად შეიცვალა ჩვენს მიმართ, მის მოქმედებაში უკვე იგრძნობოდა, რომ ვიღაცის დავალებას ასრულებდა.**

**...2011 წელს, რაც პოლიტიკაში ბატონი ბიძინა ივანიშვილი შემოვიდა, აღმოჩნდა, რომ შალვა ნათელაშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია მიხეილ სააკაშვილთან... ისიც გავარკვიეთ, რომ ნაცმოძრაობის მხარდამჭერის საფასურად საკმაოდ დიდი თანხები აუღია და განუთავსებია ავსტრიის ბანკში. ამის დამადასტურებელი დოკუმენტები ხელთ გვაქვს..."**

მისივე განცხადებით შალვა ნათელაშვილს ეს ფული ვანო მერაბიშვილის ბიზნესპარტნიორმა ანატოლი მოტკინმა გადასცა, რომელმაც შუამავლობაში 30 პროცენტი მოითხოვა, რაც... 2 მილიონი ევრო ყოფილა (?!). ფული ბატონ შალვას ვროპის სხვა ბანკებშიც ჰქონია შეტანილი, ისევე, როგორც მის მეუღლეს ბელა ალანიას.

ამ ამბების გაგების შემდეგ ლეიბორისტული პარტიის ელიტა შალვა ნათელაშვილს გაემიჯნა. შალვას ყოფილ თანაგუნდელებს სჯერათ იმ ჭორებისა, თითქოს ნათელაშვილს საქმიანი კავშირები ჰქონდა კანონიერ ქურდ ტარიელ ონიანთან, თუმცა, ამის დამამტკიცებელი საბუთები არ გააჩნიათ.

**იოსებ შატბერაშვილი: "პირდაპირ ვიტყვი: შალვა ნათელაშვილს პოლიტიკა ბიზნესად აქვს გადაქცეული. აშშ-ში ყოფნისას იგი ამტკიცებდა, რომ თითქოს პროამერიკელი და პროდასავლელია, მაგრამ ჩვენ გვაქვს დოკუმენტები, წერილები, რომლებშიც წერია, თუ როგორ ეხვეწება შალვა ნათელაშვილი რუსეთის ხელმძღვანელობას და ისეთ ოდიოზურ ფიგურებსაც კი, როგორებიცაა ვლადიმერ ჟირინოვსკი და იური ლუჟკოვი, დაფინანსებას."**

საინტერესო მოსაზრებას აჟღერებს ნათელაშვილის ყოფილი თანაგუნდელი **კახა ძაგანიაც: "არ მიგვაჩნია, რომ რუსეთთან კავშირი კატეგორიულად უნდა გაწყდეს, თუმცა, მიუღებელია შალვა ნათელაშვილის დითირამბები ჟირინოვსკისადმი, ლუჟკოვისა და სხვათა მიმართ. შალვა ნათელაშვილი დღეს არის ერთ-ერთი მდიდარი ადამიანი საქართველოში! თავისი უმანკოებისა და პატიოსნების დეკლარირების მიუხედავად, ეს ასეა... მას დღესაც მჭიდრო კავშირი აქვს ნაცმოძრაობასთან. პარტიულ მანდატებს აძლევს "რუსთავი-2"-ის ჟურნალისტებს. რას უნდა ნიშნავდეს ეს, თვითონ მიხვდით... ხმები მოგვდის, რომ ნაცმოძრაობა კვლავ იყენებს ნათელაშვილს "მყეფარ ძაღლად" ივანიშვილის საგინებლად. ეს ადამიანი არის პირწავარდნილი მატყუარა... სანამ შალვა ნათელაშვილი ბინძური გარიგებებით ნაშოვნ ფულს არ გადასცემს მიუსაფართა სახლს ან უპატრონო ბავშვებს, ან სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციას, მანამდე ყოველთვის ეჭვი მექნება იმაზე, რომ ის თანაუგრძნობს 7 ნოემბერს, 26 მაისს, ციხის საშინელებების მოწყობას, უსამართლობის დამამკვიდრებელ ნაცმოძრაობას".**

თვითეულ ამ სიტყვებში ილანდება ნათელაშვილის ორპირობა, სიხარბე, პოლიტიკური თუ პიროვნული არაკორექტულობა...

მას ყოფილი თანაგუნდელები მას ახლაც ნაცმოძრაობასთან ალიანსში ადანაშაულებენ – წინააღმდეგ შემთხვევაში მართლაც ძნელია **"ქართული ოცნების"** კოალიციის ხელისუფლების ასე **"შეხმატკბილებულად"**, უნისონში ლანძღვა, როგორც ამას შალვა ნათელაშვილი და ნაცების ლიდერები აკეთებენ.

ამ და სხვა პოლიტიკურ ინტრიგათა აფუების გამო ნათელაშვილის პოლტიკური კარიერა უკვე ნულის ნიშნულთანაა გაყინული, რისი გამოსწორება მის რუს მეგობარ-პოლიტიკოსებსაც კი არ ძალუძთ. არადა, ყოველი გზით რომ ცდილობს საკუთარი იმიჯის გამოსწორებას შალვა ნათრელაშვილი, ვლადიმერ ჟირინოვსკისადმი მიწერილ მის ბარათშიც თვალშისაცემია:

**"ძვირფასო ვლადიმერ ვოლფის ძევ, მაქვს პატივი ლეიბორისტული პარტიის სახელით კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ ღრმა პატივისცემა თქვენი მებრძოლი, პატრიოტული, რუსული პოლიტიკის ძალის მიმართ. ლეიბორისტული (შრომის) პარტია სრულად იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ ჭეშმარიტად პატრიოტულად განწყობილ ძალებს ძალუძს საკუთარი სახელმწიფოების გადარჩენა იმ ფორმის გლობალური ექსპანსიისაგან, რომელიც შლის და ანადგურებს ნაციონალურ კულტურას, ნაციონალურ ეკონომიკას და ტრადიციული საზოგადოების საძირკვლებს..."**

ასეთივე შინაარსის ტრაფარეტული წერილები აქვს მიწერილი შალვა ნათელაშვილს იური ლუჟკოვისა და იოსებ კობზონისადმი. მეტიც, 90-იან წლებში, როგორც ამბობენ, ნათელაშვილი მთელი გულით უთანაგრძნობდა პუტჩისტებს...

აშკარად გამაღიზიანებელია ქართული საზოგადოებისათვის ის, რომ პოლიტიკური **"მოძალადე"** შალვა ნათელაშვილი უშვერი სიტყვებით ლანძღავს იმ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც მძიმე წლებში შიმშილისაგან სიკვდილს გადაარჩინა უამრავი ინტელიგენტი – მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწე (სააკიანცი **"ჩარეცხილებად"** რომ მოიხსენიებდა), ღირსეული ადამიანი. ხაზინის ქურდად მოიხსენიებდა კაცს, რომელმაც საკუთარი სახსრებით ააგო სამების ხელთუქმნელი ტაძარი, საკუთარი სახსრებით აღადგინა ეკლესიები, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, თეატრები...

თუმცა, კვლავ ყოფილ ლეიბორისტ კახა ძაგანიას მოვუსმინოთ: **"2012 წელს ბიძინა ივანიშვილს ვლანძღავდით უმოწყალოდ, რადგან შალვა გვარწმუნებდა, ბიძინა ივანიშვილი იმიტომ მოდის, რომ სააკაშვილს პოლიტიკური ცხოვრება გაუხანგრძლივოსო. ივანიშვილი ჩაერთვება არჩევნებში ფორმალურად, დამარცხდება და ისევ მიშა იზეიმებსო. წლების განმავლობაში სააკაშვილს ვებრძოდით და მისი მხარდაჭერის მიმართ რა აგრესია გვექნებოდა, თავად წარმოიდგინეთ. ის ასრულებდა სააკაშვილის დავალებას ქართული ოპოზიციური ძაალის ფუნქციით. შალვა ნათელაშვილი კი ამით ივანიშვილს უხდიდა სამაგიეროს, ახლოს რომ არ გაიკარა, მე დამნაშავე ვარ ივანიშვილთან, დაუმსახურებლად ვლანძღავდი იმ ხანებში!".**

შალვა ნათელაშვილი კი მუდამ საკუთარ სტიქიაშია და ყოველგვარი ეკონომიკური გაანგარიშებების გარეშე გვპირდება ქვეყნის აყვავებას, თუ მას ხელისულების სათავეში მოვიყვანთ.

ღმერთმა გვაშოროს – ერთი ქვეყნის დამანგრეველი სააკაშვილი ძლივს მოვიშორეთ თავიდან და მეორე ნაღდად აღარ გვჭირდება!

და როცა შალვა მუქარითა და ოპონენტების ლანძღვით სასურველს ვერ აღწევს, მერე თხოვნის რეჟიმში გადადის – ამ ერთხელ მაინც მანდეთ ქვეყანა და მერე მე ვიციო!

მორიგი წარუმატებლობის შემდეგ კი ელექტორატს ლანძღავს უშვერი სიტყვებით და ამომრჩევლებს აბრალებს ყოველივეს!

ივანიშვილის ლანძღვით რომ გულს მოიჯერებს, მერე არც სხვებს აკლებს მწარე-მწარე სიტყვებს ყოველგვარი კორექტულობისაგან შორს მდგარი ეს **"პოლიტიკოსი"!**

ლანძღავს ყველას, ბატონი შალვა, ქალსა და კაცს, დიდსა და პატარას, მარჯვნივ თუ მარცხნივ, სალანძღავი სიტყვებით ამკობს ყველას, ვინც მისი მისამართით რაიმე შენიშვნას გამოთქვამს

არ სცხვენია ამ კაცს არაფრის და ამიტომ, უსირცხვილო ადამიანთან ურთიერთობა არავის უნდა!

ამიტომ, გამორიცხულია, რომ ნებისმიერი დონის არჩევნებში უკვე საბოლოოდ გაკოტრებულმა ლეიბორისტულმა (შრომის) პარტიამ და მისმა თავკაცმა შალვა ნათელაშვილმა თუნდაც ხმების ერთი პროცენტი დააგროვონ.

სულ მალე, გარდაუვალი პოლიტიკური ფიასკოსაგან ჭკუაშეშლილი შალვა ნათელაშვილი კონოფილმ **"ლონდრეს"** ერთ-ერთ ანტიგმირ ნოშრევანივით ნიფხავ-პერანგისამარა ყვირილით ირბენს ქალაქის ქუჩებში, ჩირაღდნით ხელში, ზუსტად ისე, ამერიკის შეერთებულ შტატებში თეთრ სახლთან რომ გაჰყვიროდა **"დაუნ ვი დიქტეიტეს".**

პროვოკატორი

# ჩართეთ კონდიციონერი, საუნაში ხომ არ ვართ?" – ჯერ ვითხოვთ, შემდეგ ვყვირით, ვემუქრებით, მაგრამ, შენც არ მომიკვდე...



**"დეიწყო ზაფხული და დეიწყო ჩვენი ტანჯვაც. სელაპებივით პირდაფჩენილები სადამდე ვისხდეთ? მძღოლს კონდიციონერის ჩართვა მოვთხოვოთ, თორემ გავიწურე ოფლში,"** – მოთქვამს ხანში შესული მამაკაცი, რომელიც ათი წუთის წინ ამოვიდა ყვითელ მიკროავტობუსში. მგზავრებმა წაუყრუეს, ზოგმაც ხელი ირონიულად ჩაიქნია. მამაკაცი არ გაჩერდა, თუმცა მის ნათქვამს მძღოლმაც წაუყრუა. სალონში აუტანელი სიცხეა. დავა რით დასრულდა, არ ვიცი, რადგან მომდევნო გაჩერებაზე ჩავედი...

ალბათ, ჯოჯოხეთშიც ისევე ცხელა, როგორც ყვითელ სამარშრუტო ტაქსებში. ჩვენს ასეთ ყოფაში ჩამგდებთ იმიერში იქაურ სიცხესთან შეგუება არ გაუჭირდებათ, ჩვენ კი აქ ვეწამებით, რაც იმის იმედს გვაძლევს, რომ ჯილდოდ სამოთხეში მოვხვდებით. ხუმრობა იქით იყოს და, გაუსაძლისი ხდება 35 გრადუს სიცხეში სამარშრუტო ტაქსით მგზავრობა. ძალს მძღოლია და ძალს – მგზავრები... ჯერ ვითხოვთ, შემდეგ ვყვირით, ვემუქრებით, მაგრამ შენც არ მომიკვდე. შეიძლება ათიდან მხოლოდ ერთმა მძღოლმა ჩართოს კონდიციონერი. ამ დროს ნიკო ლორთქიფანიძის უკვდავი ნაწარმოები **"თავსაფრიანი დედაკაცი"** მახსენდება: **"გადიფრენს, იშოვის, გადივლის, გასცურავს, მიიფრენს, თავისას კი მიაღწევს"** – დაახლოებით ასეა ჩვენი საქმე, მაგრამ უკვე მერამდენე ზაფხული იწურება მიზნის მიღწევის გარეშე. ზაფხულის განმავლობაში მძღოლების 90% კონდიციონერებს ცოცხალი თავით არ რთავს, საწვავს ბევრს წვავსო.

**"თვითონ რა ენაღვლება, გაყოფს თავს ფანჯარაში და ნიავი დაუქიქინებს, ჩვენ ვიკითხოთ, სკვინჩებივით გაყურსულები ოფლში რომ ვცურავთ. უპატრონო ქვეყანაში ვართ,"** – შემომჩივლა მოხუცმა მამაკაცმა და კეფაზე სველი ცხვირსახოცი მოიგდო, – **ეს რომ არ მქონდეს, აქამდე კარგა ხნის მკვდარი ვიქნებოდი".**

ეს პრობლემა ზაფხულის დადგომასთან ერთად აქტუალური ხდება. როგორც წესი, სატრანსპორტო კომპანია 10 ივნისიდან მძღოლებს მიკროავტობუსებში კონდიციონერების ჩართვისკენ მოუწოდებს. თუმცა, საქმე მოწოდების იქით აღარ მიდის და წლეულსაც, როგორც წინა წლებში, სამარშრუტო ტაქსებში კონდიცირების პრობლემა კვლავ მოუგვარებელია. ხშირად მძღოლები ორ მიზეზს ასახელებენ: კონდიცირების ტექნიკურ ხარვეზებს ან სატრანსპორტო კომპანიისკენ იშვერენ ხელს, ყოველდღიური გეგმის თანხას თვიდან თვემდე გვიზრდიან, დანახარჯებს ვერ ავუდივართ და კონდიციონერი დამატებითი ხარჯიაო. თავის მხრივ, სატრანსპორტო კომპანია ხელებს ასავსავებს: ხარვეზები გამოვასწორეთ, სეზონურად ყოველდღიური გადასახადი მძღოლებს შევუმცირეთ და კეთილი ინებონ, კონდიციონერები ჩართონო. ამ იწილო-ბიწილოში კი ზაფხულიც გადის და დაზარალებული კვლავ მგზავრი რჩება.

**"ფორდის"** მარკის ყვითელი სამარშრუტო ტაქსების გამოჩენას იმთავითვე ბევრი სკეპტიკურად შეხვდა, მგზავრობის საფასურის გაზრდის სუნი ასდისო. ასეც მოხდა, ძალიან მალე მგზავრობა 50-დან 80 თეთრამდე გაძვირდა. გასაგებია, კომფორტი იაფი არ არის. თუმცა, ჭუჭყიან სავარძლებში ჯდომა (თუ გაგიმართლათ და, ფეხზე დგომამ არ მოგიწიათ) და გადატვირთული ტრანსპორტით, ლამის ცალ ფეხზე მგზავრობა, ამას დამატებული ზაფხულში კონდიცირების პრობლემა, რამდენად აკმაყოფილებს კომფორტის ელემენტარულ კრიტერიუმებს, სხვა საკითხია. თავის დროზე, მგზავრობის საფასურის გაზრდის მიზეზად სწორედ კომფორტული მგზავრობა დასახელდა: ზამთარში – თბილი, ხოლო ზაფხულში გრილი ტრანსპორტი ვის არ უნდა. თუმცა ზაფხულში გაგრილების დაპირება რომ დაპირებად დარჩა, ცხადია. 35 გრადუს სიცხეში გადაჭედილი სამარშრუტო ტაქსით მგზავრობა ნამდვილი სასჯელია. ლამის ერთმანეთზე ჩახუტებული მგზავრები მძღოლის ლანძღვის თანხლებით მგზავრობენ. ასე მგონია, ამ ძღოლების ლანძღვა-გინება ხალხს უკვე მელოდიურ იავნანასავით ჩაესმის და რეაქცია არა აქვს, რა აზრი აქვს – კონდიციონერებს მაინც არ ჩართავენ.

ალბათ, ერთ მშვენიერ დღესაც მძღოლი ყვითელი სამარშრუტო ტაქსიდან მეც ისევე ჩამომაბრძანებს, როგორც ჩემი მეგობარი ჩამოაგდეს. გასულ კვირას სამსახურიდან დაღლილ-დაქანცული შინ ბრუნდებოდა. საღამოს მიკროავტობუსები გადატვირთულია და დაჯდომას ვინ ჩივის, მდგომარე მგზავრობაც სანატრელია. ჰოდა, ცალკე მუშაობით და ცალკე სიცხით შეწუხებულმა ჩემმა მეგობარმა მძღოლს კონდიციონერის ჩართვა მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. როცა გააპროტესტა, მძღოლმა მანქანა გააჩერა და ჩაბრძანდიო, უბრძანა. ასე აღმოჩნდა ქუჩაში და შინ სხვა ტრანსპორტით დაბრუნდა. იმის შიშით, კვლავ ქუჩაში არ აღმოჩენილიყო, მომდევნო მძღოლისთვის კონდიციონერის ჩართვა არ მოუთხოვია. მართალია, ჩემს შემთხვევაში საქმე აქამდე ჯერ არ მისულა, მაგრამ ეჭვი მაქვს, ერთ დღესაც შეიძლება ასე მოხდეს. ყოველ დილას ჩემი მგზავრობა კონდიციონერის ჩართვის მოთხოვნით იწყება და საღამოც ამავე მოთხოვნით მთავრდება.

ისე, ამ ყველაფერს ადამიანმა ხანდახან იუმორის თვალით თუ არ შეხედა, სიცხესთან ერთად ნევროზი გარანტირებული აქვს. სამარშრუტო ტაქსით მგზავრობა ყოველდღიურად მიწევს და უკვე ვფიქრობ, უბის წიგნაკი ხომ არ შევიძინო, რადგან მგზავრობისას ზოგჯერ ისეთ **"მარგალიტებს"** ვისმენ, სიცილით ვკვდები.

**"ხუთიანზე აწყობილი"** სატრანსპორტო სისტემის **"წყალობით"** ბოლო წლებში სამარშრუტო ტაქსით მგზავრობა ტრაგიკომიკურ სიტუაციაში გვიწევს: **"ჩართეთ კონდიციონერი, საუნაში ხომ არა ვართ", "ოფლში ვცურავ", "შე დალოცვილო, კარტოფილი ხომ არ მიგაქვს, ნელა ატარე, ამ სიცხეში ხომ გვახრჩობ და კიდევ ერთმანეთს გვახუტებ, ნამუსი აღარ შეგრჩა?", "სანამ თევზივით პირს არ დავაფჩენ, კონდიციონერს არ ჩართავთ?", "თქვენ არ გეღირსოთ სიგრილე, სულ ასეთ ხვატში გევლოთ"** – ზოგი ამგვარად **"ლოცავს"** მძღოლს და მჟავე სახით ჩადის ტაქსიდან, თან დააყოლებს, ფულის მოცემის ღირსიც არა ხართო. ასეთ **"სიამტკბილობაში"** ზაფხულიც გადის...

ერთი რამ გამომრჩა: ჩემი დაკვირვებებით დავასკვენი, რომ კონდიცირების პრობლემა უფრო მოკლე სვლაგეზების ტაქსებშია მოგვარებული. თუმცა აქაც დილემაა: სანამ კონდიციონერი სრული დატვირთვით ამუშავდება, მანამდე ტაქსი ბოლო გაჩერებამდე მიდის და მძღოლი გამორთავს. როცა გასვლის დრო მოაწევს, კვლავ ჩართავს და ასე გრძელდება დღის ბოლომდე.

**სალომე გოგოხია**

# რას გვახვეწნინებენ ამ ნატო-ში შესვლას?!



**"რას გვახვეწნინებენ ამ ნატო-ში შესვლას?!"** – აღნიშნული განცხადებით პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე უმრავლესობის წევრი დეპუტატი გოგი ქავთარაძე გამოვიდა. პარლამენტარის თქმით, ადამიანის მსგავსად, ქვეყანასაც აქვს თავმოყვარეობა.

**"კოლეგებო, შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ და გამკიცხოთ კიდეც, მაგრამ მე მაინც მინდა ასეთი განცხადება გავაკეთო – რას გვახვეწნინებ ამ ნატო-ში შესვლას?! დავიჯერო, ნატო-ს წევრი ქვეყნებიდან ზოგი უფრო მეტად იმსახურებს წევრობას, ვიდრე ჩვენ?! შეხედეთ, როგორ იბრძვიან ჩვენი ბიჭები ნატო-ს ჯარისკაცების მხარდამხარ.**

**თუ გვიფიქრია იმაზე, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ჩუმ-ჩუმად ქირქილობენ, როცა ვიხვეწებით ნატო-ში გაწევრიანებაზე და ისინი არ გვიღებენ. როგორც ამბობენ, ადამიანის მსგავსად ქვეყანასაც აქვს თავმოყვარეობა. ეს უნდა გავხსოვდეს. იქნებ ჩვენი გზავნილი ნატო-ში მივაწოდოთ ჩვენს მეგობრებს და გავაგებინოთ ის, რასაც ვამბობ",** – განაცხადა სესიაზე ქავთარაძემ.

დეპუტატ გოგი ქავთარაძის განცხადებას, რომელიც საქართველოსა და **ნატო**-ს ურთიერთობას შეეხებოდა, პარლამენტში უმცირესობის წევრი დავით დარჩიაშვილი გამოეხმიანა. როგორც დარჩიაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა, მსგავსი ტიპის განცხადებები **"ქართული ოცნების"** წარმომადგენლების მხრიდან არაერთხელ გაკეთებულა და ამ ყველაფრის უკან ბიძინა ივანიშვილი დგას.

**"მსგავსი ანტიდასავლური განცხადება უკვე მესამეა, რომელსაც აკეთებენ "ქართული ოცნების" წარმომადგენლები. ამ შემთხვევაში ჩემთვის ცალსახაა, რომ ამის უკან დგას "ქართული ოცნების" ხელმძღვანელობა ბიძინა ივანიშვილის ჩათვლით. ეს ყველაფერი კავშირშია ბურჯანაძის მოგზაურობასთან მოსკოვში. თუ ვინმეს შერჩენია განცდა ამ გუნდში, რომ საქართველო დასავლური სამყაროს ნაწილი უნდა იყოს, მოვუწოდებ გააკეთონ განცხადება, რომლითაც ცალსახად გაემიჯნებიან მსგავსი ტიპის გამონათქვამებს",** – განაცხადა დავით დარჩიაშვილმა.

**"რას გვახვეწნინებენ ამ ნატო-ში შესვლას?!"** – აღნიშნული განცხადები პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე უმრავლესობის წევრის ეს ამონაკვნესი ისტორიულად ამაყი, ღირსეული და თავმოყვარე ქართველი კაცის პოზიციაა, რომელიც, სამხრეთელი მეზობლებისაგან განსხვავებით, არასდროს არავის უმტვრევდა კარს იმის თხოვნით, რომ შემომიშვიო. რაც შეეხება ქვეყნის თავმოყვარეობას, იგი კრებსითი მცნებაა და საზოგადოებისა თუ ხელისუფლების თითოეული წევრის თავმოყვარეობის ჯამს წარმოადგენს.

მაგრამ რომელ თავმოყვარეობაზე უნდა ელაპარაკო იმ ნაციონალებს, რომელთა მთავარ სულიერ ღირებულებას ჰომოსექსუალიზმისა და სოდომიის დაცვა-გამრავლება წარმოადგენს, რომლებიც მხოლოდ დიდი ფულის კეთების დაშნაკური ინსტინქტით მოქმედებდნენ, რათა ამ ფულის დიდი ნაწილი ჩაეჯიბათ, დანარჩენი კი საქართველოს დასაზიანებლად გამოეყენებინათ!..

ცნობილი ქართველი მსახიობისა და კინორეჟისორის ეს განცხადება ასევე შეაფასა უმრავლესობის წევრმა, რესპუბლიკელმა დავით ბერძენიშვილმა, რომელიც გაემიჯნა ქავთარაძის თვალსაზრისს. მაგრამ, უნდა შევახსენო ორპროცენტიანი პარტიის წევრ ბერძენიშვილს, რომ იგი და ნაცუზნეობით გაჟღენთილი მისი რესპუბლიკური პარტია დიდი ხანია გამიჯმულია ქართველი ხალხისაგან და მისი უზნეო და ყოვლად მიუღებელი შეხედულებები ჩვენს საზოგადოებას დიდი ხანია მოსროლილი აქვს პოლიტიკურ სანაგვეზე, სადაც ასევე მალე მიუჩენს ადგილს მთლიანად ლიბერასტულ რესპუბლიკურ პარტიას.

**საკ. ინფ.**

# რამდენი ჰქონდა ხელფასი იოსებ სტალინს?



ყველამ იცის მაგალითად, რომ იოსებ ბესარიონის ძეს თამბაქო **"ჰერცოგოვინა ფლორა"** ყველა სხვა თამბაქოს ერჩივნა. როგორც ჩერჩილი წარმოუდგენელია სიგარის გარეშე ისევე წარმოუდგენელია სტალინი ჩიბუხის გარეშე. ჟურნალისტი კი დააინტერესა კითხვამ **"რამდენი ჰქონდა ხელფასი სტალინს?"**, უფასოდ ხომ არ ხარჯავდა ის თავის დროსა და ენერგიას პარტიისა და ხალხის საკეთილდღეოდ... როგორც გაირკვა 1952 წელს სტალინის ხელფასი შეადგენდა 10.000 საბჭოთა რუბლს თვეში. ამ ხელფასიდან ის იხდიდა პარტიის საწევროებს.

რაც ძალიან მნიშვნელოვანია გარდა ამ 10.000 რუბლისა მას არ ჰქონდა არანაირი სხვა შემოსავალი (პუბლიკაციებში გამოწერილ ჰონორარებსაც კი არ იღებდა და სახელმწიფო ბიუჯეტში, ან უპატრონო ბავშვთა და მოხუცთა თავშესაფრებში რიცხავდა). არ გააჩნდა არც ნავთობკომპანიების აქციები, არც დეპოზიტები უცხოურ ბანკებში.

აი რატომ უყვარდა ხალხს სტალინი და მისი უბრალოების შესახებ ლეგენდებს თხზავდა.

შემდეგ ჟურნალისტი ინტერესდება, თუ ვინმემ იცის რამდენი იყო საშუალო ხელფასი 1952 წელს იქნებ დაწეროსო. ეს უბრალოდ ინტერესის გულისთვისო.

**"ილორი"-ს განმარტება:** 1952 წელს საბჭოთა კავშირში ინჟინრის საშუალო ხელფასი შეადგენდა 1.000 მანეთს, უმცროსი ტექნიკური პერსონალის ხელფასი მერყეობდა 300-დან 500 ლარამდე. რაც შეეხება საქონლის ღირებულებას, მაგალითად, ავტომანქანა **"მოსკვიჩი"** ღირდა 9 ათასი რუბლი. ავტომანქანა **"პობედა"** – 16 ათასი მანეთი ღირდა, ავტომანქანა **"ზიმ"**-ის ფასი კი იყო 40.000 რუბლი. ასე რომ, სტალინს ოთხი თვე დასჭირდებოდა, რათა ხელფასით **"ზიმ"**-ი ეყიდა, მაგრამ საჭმელში და პრესის შეძენაში ფული არ უნდა დაეხარჯა. სამაგიეროდ, საბჭოთა კავშირში იმდენად იაფი იყო კვების პროდუქტები და პირველადი მოხმარების საგნები (რაც ყოველი წლის მარტ-აპრილში უფრო და უფრო იაფდებოდა), რომ 300-რუბლიანი ხელფასით ადამიანს თავისუფლად შეეძლო თავის რჩენა.

დიახ, ჩვეულებრივ მოსამსახურეზე არც იმდენად ბევრს იღებდა ადამიანი, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა. მაგრამ უბედურება ისაა, რომ სტალინზე ბევრად მეტ ხელფასს იღებენ დღეს ადამიანები, რომელთაც იოტისოდენა არაფერი გაუკეთებიათ ქვეყნისა და ხალხისათვის.



К ПАРТБИЛЕТУ № 0000002
УПЛАТА ЧЛЕНСКИХ ВЗНОСОВ 1952 г.

| Месяц | Месячный заработок | Членский взнос | Подпись секретаря |
|---|---|---|---|
| Январь | 10.000 | 300 — | [illegible] |
| Февраль | 10.000 | 300 — | [illegible] |
| Март | 10.000 | 300 — | [illegible] |
| Апрель | 10.000 | 300 — | [illegible] |
| Май | 10.000 | 300 — | [illegible] |
| Июнь | 10.000 | 300 — | [illegible] |
| Июль | 10.000 | 300 — | [illegible] |
| Август | 10.000 | 300 — | [illegible] |
| Сентябрь | 10.000 | 300 — | [illegible] |
| Октябрь | 10.000 | 300 — | [illegible] |
| Ноябрь | 10.000 | 300 — | [illegible] |
| Декабрь | 10.000 | 300 — | [illegible] |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰამლეტ ჭიკაშვილი: ხელისუფლების პროფესიონალიზმი "პლინტუსის" დონესაც ვერ სცდება

საქართველოს მედიისა და პოლიტიკოსების მიხედვით, ქვეყანა სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს. თბილისში ტარდება საერთაშორისო დონის კონფერენციები (EBRD-მაქვს მხედველობაში), მთავრობის წარმომადგენლები – პრეზიდენტი, მინისტრები მოგზაურობენ ევროპის ქვეყნებში მოახლოებული რიგის სამიტის ქართველთათვის წარმატებით დასრულების მიზნით. საქართველოში ჩამოსვლას აპირებს სავალუტო ფონდის წარმომადგენლები...

რომელი ერთი ჩამოვთვალო. ერთის შეხედვით, მართლაც აქტიურ საერთაშორისო-პოლიტიკურ ურთიერთობებთან გვაქვს საქმე, მაგრამ ერთის შეხედვით, ვინაიდან ოდნავი დაფიქრების და თუნდაც ზერელე გაანალიზების შედეგად ყველა ზემოთმოყვანილი მაგალითი მეტწილად PR-ისთვის არის გამიზნული და ქვეყნის კეთილდღეობასთან ერთობ სუსტ კავშირშია.

არადა, მარტო EBRD-ს გასვლითი შეკრების თაობაზე იმდენი ითქვა და დაიწერა ქართულ მედიაში, ტომების გამოცემა შეიძლება. ნათქვამიდან დასამახსოვრებელი ისაა, როგორ უახლოვდება საქართველო დასავლურ ცხოვრებას; რა კეთილი ზრახვები ამოძრავებთ ევროპელებს, რომ აღარაფერი ვთქვათ აშშ-ზე, საქართველოსა და ქართველების მიმართ; რა მაგრები ვართ ქართველები, როდესაც EBRD-ს ყოველწლიურ შეკრებას ვმასპინძლობთ და რა ნდობით არის ჩვენს მიმართ განმსჭვალული ევროპის ბანკი, რომ მასპინძლობის შანსს გვაძლევს.

ევროკავშირის არაწევრი ქვეყნისთვის ამ მასშტაბური შეკრების ჩატარება რაღაცას ნიშნავს, თუმცა არა იმას, რის შესახებაც დაუღალავად გველაპარაკება ხელისუფლება – ინვესტიციები, მჭიდრო თანამშრომლობა, ლამის ქვეყნის ფინანსური შვილობა. თუ ობიექტურად და არა ზედაპირულად განვიხილავთ ამ საკითხს, უდავოდ მივალთ დასკვნამდე, რომ მსგავსი ღონისძიებები ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, არც მსუყე ევროპულ ინვესტიციებს მოიტანს და არც იმ ფინანსურ ჩახუტებას, ჩვენს ხელისუფლებას რომ ჰგონია.

საქართველოში არაერთ დიდ თუ პატარა საერთაშორისო ღონისძიებას ჰქონდა ადგილი. იყო უცხოეთის ქვეყნების მეთაურების ვიზიტებიც, ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად. იყო მსუყე დაპირებებიც. მაგრამ **"იყოს"** დონეზე ანუ დაპირების. თვალი გადავავლოთ საქართველოში ჩადებულ უცხოურ ინვესტიციებს. მათი სიმწირე შესამჩნევია და რაც მთავარია, არც ერთი მათგანი არ უკავშირდება **"გრანდიოზული"** ღონისძიებების ან ვიზიტების დროს გაკეთებულ დაპირებებს.

დანაპირების შესრულებას საქმიანი გარემო ესაჭიროება, სერიოზული განსჯა სტუმარ-მასპინძლისა, ვითარების აწონ-დაწონვა, საერთაშორისო პირობების გათვალისწინება, ნდობის ფაქტორი და ა.შ. ერთია, მაჟორულ ვითარებაში ჩატარებული კონფერენცია, ქართული სტუმარ-მასპინძლობის გამოვლინება, კერძებით დახუნძლული სუფრები და ღვინის მდინარეები და მეორეა, ცივი გონებით ქართული რეალობის შესწავლა-გათვალისწინება, ერთობ **"მოხერხებულ"** მასპინძლებთან მოლაპარაკების წარმოება და მათი მხრიდან წილში ჩაჯდომის დაუოკებელი სურვილის გაანალიზება.

ამ **"პროცედურას"** დიდის წარმატებით ართმევდნენ თავს შევარდნაძის ხელისუფლებიდან დაწყებული, რის შესახებაც არაერთხელ შემოუჩივლიათ პირად საუბარში, ინვესტიციების ჩადების სურვილით ჩამოსულ ბიზნესმენებს.

ქართული რეალობა არ იძლევა უცხო ქვეყნის მიერ ფართომასშტაბიანი ინვესტიციის განხორციელებას – უპირველესად არასტაბილური ვითარების გამო, რომელიც აქ არსებობს, ჩვენივე მთავრობის წარმომადგენლებისა და პოლიტიკოსების სისტემატური, დაუფიქრებელი განცხადებების წყალობით. დამოუკიდებლად ცხოვრების 24-წლიანი პერიოდის განმავლობაში ერთ დღესაც ვერ ნახავთ, საქართველოს ხელისუფალთ რომ რუსეთის აგრესიაზე არ ელაპარაკოს. და ამას აკეთებენ ყოველგვარი დაფიქრების გარეშე, თითქოს ეშმაკურად – უფრო მეტი პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად, მაგრამ სინამდვილეში – საკუთარი ქვეყნის საწინააღმდეგოდ.

როდესაც საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი, პარლამენტარი ბრიუსელში თუ სტრასბურგში ხმალამოღებული ებრძვის **"აგრესორ"** რუსეთს და მაგალითად მოჰყავს ტყუილ-მართალი, მეტადრე ტყუილი, ამით ვაშინგტონს უდავოდ გულს ფხანს, მაგრამ დასავლურ ბიზნესს ისეთ საგანგაშო სურათს უხატავს, დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს ინვესტიციის ჩადების, თავს შეიკავებს.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო დიდი ინვესტიციებისთვის მეტად პატარა ქვეყანაა, შეზღუდული ბაზრით. ცხრა მთას იქით მყოფი ამერიკელი და ევროპელი დიდი ფინანსების ჩასადებად აქ არ ჩამოვა. ამას გარდა ზემოთმოყვანილი რეალობიდან გამომდინარე, აგრეთვე რისკებიდან (რუსეთის აგრესია), რომც გადაწყვიტოს ჩამოსვლა, წინასწარ შეისწავლის საქართველოს შიდა ცხოვრებას, მუშახელის კვალიფიკაციას, რესურს, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალის არსებობას, მის შრომის ნაყოფიერებას, მენტალიტეტს და ა.შ.

ამ მხრივ ჩვენში არსებული მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, სავალალოა. საბჭოთა კავშირის დროს არსებული ინტელექტუალური კადრები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი განადგურდა. ზოგმა წვრილ ვაჭრობას მიჰყო ხელი, ზოგი სხვა ქვეყანაში გადაიხვეწა, ზოგიც, უიმედო აწმყოსა და მომავლის ფიქრებმა ,დროზე ადრე წაიყვანეს იმქვეყნად. ახალი კადრები არ ჩანს. ქარხნის ამუშავებისთვის ინვესტიციის ჩადების გარდა მუშახელია საჭირო, რაც დეფიციტია. მუშახელის გაწვრთნა კი ინვესტორს ძვირი დაუჯდება.

25-წლიანმა უსაქმურობამ (წვრილ ვაჭრობას, საქმეს ვერ დავარქმევ) გაახარმაცა ხალხი. წინანდელ დისციპლინას მიჩვეული, დღეს ლაზღანდარობს. როდესაც ბაზარში მისულ მყიდველს, გამყიდველი ყურადღებას არ აქცევს და ნარდის თამაშს აგრძელებს, ან ხელოსანი, რომელიც დაინტერესებული უნდა იყოს საკუთარი შრომის გაყიდვით და ფულის შოვნით, ყურს არ იბერტყავს კლიენტის შეკითხვაზე (სხვა მაგალითებიც უხვად შეიძლება მოვიყვანოთ); როდესაც ყოველ ნაბიჯზე აწყდებით უზრდელობას, უწესობას, თავხედობას, ზერელეობას, შეურაცხყოფას, მოტყუების ფაქტებს, უცხოურ ინვესტიციებზე ლაპარაკი ზედმეტია.

დასავლელი ინვესტორი იქ ჩადებს ფულს, სადაც იაფფასიან, კვალიფიციურ მუშახელს იშოვის, სადაც შრომის დისციპლინა და ნაყოფიერება დამაკმაყოფილებელია და არა იქ, სადაც უაზრო ამბიციები და არაკვალიფიციური, უდისციპლინო შრომის ზეობაა. ასე, რომ ვიდრე ხელისუფლება გვაბრუებს EBRD-ებით, უცხოური ინვესტიციებით და სხვა **"სიკეთეებით"**, უმჯობესია საკუთარი ქვეყნის მდგომარეობა შეისწავლოს – ღრმად და შინაარსიანად და შემდეგ გააკეთოს დაპირებები. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს დაპირებაც ისეთივე უსაფუძვლო და ქარაფშუტული იქნება, როგორიც არაერთი წინა.

EBRD არა მარტო ზედაპირული დაპირებებით გაგვახსენდება, არამედ კონკრეტული საქმით – 160 მილიონი ლარით, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ დახარჯა ახალი ავტომანქანების შესაძენად. მინისტრის განმარტებით, ბიუჯეტიდან გაღებული ფული EBRD-ს კონფერენციის მონაწილეთა მომსახურებას მოხმარდა. ვინ იცის, კიდევ რამდენ ე.წ. გაუთვალისწინებელი ხარჯების გაღებას ჰქონდა ადგილი ქართველი მასპინძლების მხრიდან საქართველოს სტუმარ-მასპინძლობის უმაღლეს დონეზე წარმოსაჩენად?

ისე ნუ გამიგებთ, თითქოს საერთაშორისო კონფერენციების მასპინძლობის წინააღმდეგი ვიყო, მაგრამ მათ (კონფერენციებს) გარდა ქართული სტუმარ-მასპინძლობის გაცნობისა, სხვა დატვირთვაც უნდა ჰქონდეს, ისეთი, ქვეყანას რომ წაადგება.

საერთაშორისო კონფერენციების, სხვადასხვა სახის ღონისძიებების მასპინძლობაში ვერვინ შეეჯიბრება შვეიცარიას, ავსტრიას, სხვა ქვეყნებს. მათ ამის დიდი გამოცდილება აქვთ და შესანიშნავად ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას. არც ერთი მათგანი თავს უფლებას არ მისცემს საკუთარი ბიუჯეტიდან, კონფერენციაში მონაწილეთა მოსამსახურებლად ბანკეტები იხადოს ან ავტომანქანები შეიძინოს. ცხადია, მათ შეუძლიათ ამის გაკეთება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ღონისძიების შემკვეთი დააფინანსებს ამას.

რჩევისთვის – თუკი გვსურს საერთაშორისო ღონისძიების მასპინძლობა, სასტუმროში, რესტორანში, კაფეში თუ სხვაგან, მომსახურეობის დონე უნდა ავწიოთ; ქალაქის ქუჩა, ქუჩას უნდა დავამსგავსოდ და ხალხიც სხვაგვარი ცხოვრების წესს უნდა მივაჩვიოთ – დაახლოებით ისეთს, იქ რომ არის.

და კიდევ ერთი რამ, მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო – უნდა ევროპასა და ამერიკას ინვესტიციები, ფაბრიკა-ქარხნებს, საწარმოებს რომ ააგუგუნებს? ცალსახად შეიძლება ითქვას – არა! ჯერ ერთი, რომ ნდომოდათ, რა უდგათ წინ? პირიქით, სამრეწველო თვალსაზრისით, რაც ნაკლებად განვითარებული იქნება საქართველო, მით უკეთესი. ეს რომ ასე არ იყოს, ისეთ ხელისუფლებას და პარტიებს არ მოიყვანდნენ ქვეყნის სათავეში, რომელთა პროფესიონალიზმი, საქმის ცოდნა და პატრიოტული შემართება **"პლინტუსის"** დონესაც ვერ სცილდება.

საქართველოს აქვს სახელმწიფო სტრუქტურა, ისეთი, როგორიც სხვა ქვეყნებს; ჰყავს თანამდებობის პირები, არა იმიტომ, რომ სახელმწიფო საქმე აკეთონ, არამედ იმიტომ, რომ თანამდებობები შეავსონ და ვაშინგტონიდან წამოსული დირექტივები შეასრულონ.

საქართველო თითქოს არის ქვეყანა, მაგრამ თითქოს. სინამდვილეში დასავლეთის მონამორჩილი და აშშ-ს ელჩის საჯირითო პოლიგონია, რომელიც ისეთ თავდაცვის მინისტრს დაგვინიშნავს, ტანში ჟრუანტელს რომ მოგგვრის – ცხადია უხერხულ, არასასიამოვნო ჟრუანტელს. ე.წ. სტრატეგიული პარტნიორის გადაწყვეტილებით ხდება ამერიკული ჩანაფიქრის საქართველოს მოსახლეობაზე თავსმოხვევა. მაგალითად NDI-ს კვლევაც გამოდგება, სადაც სრულიად ურეიტინგო ალასანია ლამის პირველ ადგილს იკავებს, პირველადგილოსან მარგველაშვილზე რომ არაფერი ვთქვათ. ასეთ ვითარებაში სრულ აბსურდათ მიმაჩნია ხადურისა და მისი მსგავსების ბოდვა, რომ EBRD-ს კონფერენციას დიდი ინვესტიციები მოჰყვება.

საქართველოს ხელისუფლებას თუ მართლაც სურს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვა, დასავლეთს არ უნდა მიადგეს, მეზობლებში გაიკითხოს. სამმილიონიანი ქვეყნის ეკონომიკური გაჯანსაღებისთვის დიდი თავის ტეხა არ არის საჭირო, მითუმეტეს, როდესაც ისეთი მეზობლები გვყავს, როგორებიც რუსეთი ან ირანია. რახანია ირანმა სურვილი გამოთქვა საქართველოში 3-4 მილიარდი ევროს ინვესტიციის ჩადების თაობაზე, მეტადრე სოფლის მეურნეობაში, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება შეგნებულად იგნორირებს ამ ამბავს. რუსეთის ერთ მხარესთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარებით საწარმოებიც ამუშავდება, მუშახელიც დასაქმდება და ხალხიც დაპურდება. მაგრამ უნდა კი ეს საქართველოს მთავრობას, უფრო სწორად ვაშინგტონს? რომ არა, ნათელია.

ნათელია, თუნდაც ჩვენი **"დამრიგებლის"**, ბალტიისპირა ქვეყნების ცხოვრებიდან გამომდინარე. ამერიკელთა გადაწყვეტილებით, ეს ქვეყნები რახანია ევროკავშირს შეუერთეს. შეუერთეს და უთხრეს – თქვენ ევროკავშირის წევრები იქნებით, მაგრამ თქვენი ფაბრიკა-ქარხნები არ გაგვაგონოთო.

**"ბალტიისპირეთის ტერიტორიებზე რომ მგზავრობ, ხვდები ჩონჩხებს, ბეტონის დიდ კოლოფებს, ნახევრად დანგრეულ შენობებს, აჭედილი ფანჯრებით, დაჟანგული არმატურით. ბალტიისპირეთი ინდუსტრიულად განვითარებული რეგიონი იყო. ადგილობრივმა პოლიტიკოსებმა მოსპეს მრეწველობა და თავს იმით იმართლებენ, რომ მათ ქვეყნებს იგი არ სჭირდებოდა, რადგან არარენტაბელური იყო. შედეგად, მოსახლეობა დროებითი სამუშაოებით ირჩენს თავს და ლოთობს ან ემიგრირებს"**, – წერს მკვლევარი ნოსოვიჩი თავის წიგნში **"ევროპის მივარდნილი გარეუბანი"**.

საქართველოს ხელისუფლებას არც საკუთარი მაგალითის ანალიზის უნარი აქვს და არც სხვისის. ბალტიისპირა ქვეყნების, ბულგარეთის, რუმინეთის, საბერძნეთის, სხვების მძიმე გაკვეთილებიდან გამომდინარე არათუ ევროკავშირში შესვლაზე უნდა ოცნებობდე, იქ მყოფი, სამშვიდობოზე თავის დასაღწევად უნდა ფიქრობდე. მაგრამ არა – იქ გვინდა და არა იმიტომ, რომ კარგია, არამედ იმიტომ, რომ სხვას ანუ აშშ-ს სურს ასე. ოღონდ ევრაზიულ კავშირში არ იყო და მზადაა ასოცირებული წევრობით დასავლეთზე მიგვაბას.

მიგვაბას, მაგრამ არ შეგვიშვას. და ასე გვამყოფოს მრავალი წლის განმავლობაში. რას აკეთებს ხელისუფლება? ევროპაში დადის და საქმეს **"აწყობს"**, რიგის სამიტისთვის რომ ევროპასთან უვიზო მიმოსვლა მიიღოს. და ისევ ბალტიისპირეთის სავალალო მაგალითი – სწორედ უვიზო მიმოსვლის შედეგად, უფრო სწორად ევროპაში გამგზავრების, შრომისუნარიანი ბალტიელები ევროპის ქვეყნების შავ მუშებად იქცნენ. დაცარიელდა სოფლები და ქალაქები. მრეწველობა-სოფლის მეურნეობაზე უარის თქმამ გამოიწვია ყოველივე აღნიშნული. ხალხი მიემგზავრება, თან ერთი სურვილით – აღარ დაბრუნდნენ უკან.

**"ყველას, ვინც მავანთა საიდანღაც დაბრუნებაზე ფიქრობს, მინდა ვუთხრა – დაივიწყეთ! რეემიგრაცია არ იქნება, იგი არცაა საჭირო, რადგან ლიტვა ალბათ არასდროს იქნება ისეთი მდიდარი და კეთილგანწყობილი, როგორც დიდი ბრიტანეთია.**

**იქ უფრო რბილი ჩვეულებები აქვთ. ადამიანები გაცილებით ზრდილობიანები არიან, ჩვენს სამშობლოში კი ცხოვრების მძიმე პირობების გამო, თავხედობა ყოველდღიურ მოცემულობად იქცა"**, – წერს ლიტველი ჟურნალისტი არტურ რაჩასი.

და ეს ბალტიისპირეთში – საბჭოთა პერიოდის წარმტაც **"ევროპაში"**. ნუთუ ყოველივე ამას ანგარიში არ უნდა გაუწიოს ხელისუფლებამ? ნუთუ სხვისი მაგალითი არ უნდა გაითვალისწინოს და დაუფიქრებლად შეტენოს ქვეყანა იქ, სადაც საამურობის ნატამალიც არ არის და თუ არის, მხოლოდ მასზე ანუ ხელისუფლებაზე ვრცელდება?

სადამდე უნდა გაგრძელდეს **"ჯერ თაოდათაოს"** პოლიტიკა? ხელისუფლება არც იმას ხედავს, რომ თავისი უნიათო მოქმედებით ერთი-ორად გაზარდა ევრაზიული კავშირის მომხრეთა რაოდენობა NDI-ს მონაცემებით, მან 34% შეადგინა. რეალურად ალბათ რა მაღალი პროცენტი იყო – 34 რომ დაწერეს?!

და ნაცვლად იმისა, გონს მოეგოს – ვიღაც **"პოლიტოლოგის"** თორნიკე შარაშენიძის პირით გვეუბნება – თუ საქართველოს ხელისუფლება გააგრძელებს ბრძოლას იმ ორგანიზაციების წინააღმდეგ, ვინც რუსეთს ებრძვის (მას ალბათ **"თავისუფალი ზონა"** ჰქონდა მხედველობაში), თუ გაგრძელდება რუსული ტელეარხების პროპაგანდა და რუსული არასამთავრობო ორგანიზაციების მოქმედება, ეს პროცენტი გაცილებით მეტი იქნება. ამ განცხადებით მან მოუწოდა ხელისუფლებას დახუროს რუსული ტელემაუწყებლობა, არასამთავრობო ორგანიზაციები.

საქართველოში ერთადერთი საინფორმაციო ტელეარხი "RTR rosia-ა, დანარჩენი – გასართობი ტელეარხებია. არც რუსული არასამთავრობო ორგანიზაციებია ჩვენში. ერთმა ტელეარხმა, როგორ შეძლო პროდასავლური პოლიტიკის პრორუსულად შებრუნება? იქნებ საქმე ამაში კი არა, არამედ იმაშია – მთავრობის 24-წლიანი უნიათო მუშაობა რომ ჰქვია?

რაც შეეხება **"პოლიტოლოგის"** მოწოდებას – დახურვა-გაუქმების შესახებ, ცოტაც და წიგნებიც დაიწვება, საგანგებოდ აგიზგიზებულ კოცონზე – ისე, როგორც ფაშისტების დროს.

ესეც თქვენი სანაქებო დემოკრატია!

**ჰამლეტ ჭიკაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

---

**სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს ბ-ნ მამანტი ძაძამიას ძმისშვილის**

**ჟონარა ძაძამიას**

**გარდაცვალების გამო**

# სამშობლოჭამიები

ჯი-ეიჩ-ენ-ის მონაცემებით (2006 წლის 20 მარტი), გაეროს სპეციალისტთა გათვლებით, 2030 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 4 მილიონ 900 ათასზე ქვემოთ არ უნდა ჩამოსულიყო, როცა დღეს 4 მილიონ-ნახევრამდეა შემცირებული. მოსახლეობის კლებადობის წლიურმა სალდომ 5 ათასის ნაცვლად 27 ათასი შეადგინა. ბუნებრივი მატება, რომელიც 3 პროცენტით უნდა გაზრდილიყო, მხოლოდ 0,2 პროცენტია. მოსახლეობის გარემიგრაცია წლიურად 20 ათას გამსვლელზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, როცა ყოველწლიური სალდო 27 ათასია. არსებითი ცვლილება ამ მდგომარეობაში შეუძლია მხოლოდ ეფექტურ სახელმწიფო პროგრამას, რომლის განხორციელების შესაძლებლობაც ძალზე დაბალია.

რა ხანია წეროვანში, **„ლოპოტში"** სარეკლამო ბანერებია გამოკრული: იყიდება მიწის ნაკვეთი 2000 კვადრატული მეტრი. მ2 – 5 აშშ დოლარად. იქვეა მითითებული ტელეფონის ნომრები. სხვაგანაც – ხევხუვებში, ველობებში, ყოველ ნაბიჯზე, ტოტალურად ვასხვისებთ საქართველოს – იყიდება წინაპართა სისხლით გაპოხილი მიწები მორბენალი სტრიქონებით, ელექტრონული და ბეჭდური განცხადებებით, დილერებით, ჩალიჩმაისტერებით, ნიკო ლორთქიფანიძის სიმწრის ცრემლით თქმული სტრიქონების კვალობაზე...

თავის დროზე ჰილარი კლინტონისგან ესოდენ ქებულ, მართლაცდა ზეფეშენებელურ იუსტიციის სახლში, სანიმუშოდაა დანერგილი უცხოელებისთვის მრავალათსწლოვანი ჩვენი ეზო-კარის ელვისებურად შეძენის პრაქტიკა. ოღონდაც ქართველი დავტოვოთ ცარიელ-ტარიელზე! აი, **"ნაცხელისუფალთა"** გახვანჯული საქმე, რომელიც დღემდე შეჩერებულია მხოლოდ და არავინ იცის რა მასშტაბებით ამოქმედდება ხვალ-ზეგ.

ქალაქს უცხო სხეულივით შემოეჭრა თბილისის ზღვაზე 26.000 ჩინელის კომპაქტური დასახლება, როცა ბიუჯეტის ფულით დევნილების ლეგიონი ფოთში გადავისროლეთ ქვიშისგან ბაწრის საგრეხად. ახლა მიმდინარეობს საუბრები იმის შესახებაც, რომ ვერის ხეობის ტრაგედიის საპასუხოდ ზოოპარკი იქითკენ გადაიტანონ. გაშიფრულია ციფრი 26.000-ის არსი – ცის თაღის სრული შემობრუნება პლანეტა დედამიწის თავზე, რაც ასტრონომიული დროით 25.980 წელიწადის ტოლფარდია, ანუ დამრგვალებულად – 26.000. და, აი, ეს 26.000 განგებ, ალესილ დანასავით, ლაპლაპებს თბილისის კარიბჭესთან ჩამოსასახლებელი ჩინელების რაოდენობაში, რითაც დაფარული ცოდნის მოგვები ქვეტექსტურად გვეუბნებიან: გიხაროდეთ, ესენი ყივჩაღები არ გეგონოთ, ჩინელებია, ჩინის ხალხი, კალიასავით რომ მრავლდებიან და მალე წისქვილის დოლაბივით დაგიტრიალდებათ თავზე მათი სახით სრული ეროვნული დეგრადაცია, სრული დემოგრაფიული კატასტროფაო...

ბედნიერ მომავალს მიყურადებულს გზარავს **„ნაცმოძელთა"** სანაქებო იუსტიციის სახლის ბაქკანალია. (ამ საყურადღებო არქიტექტურულ კომპლექსში – ავტორი – მ. ფუკსასი – იდუმალებს მზაკვრული ჩანაფიქრი: იგი ზედხედიდან ლოტოსია. ჰომეროსიდან ცნობილია ლოტოფაგების სემანტიკა – სამშობლომჭამელების, მამულიყლაპიების, გნებავთ – ქვეყნის გამყიდველების თუ ბოლშევიკური **„ხალხის მტრების"** შინაარსით.

მიუსადაგებ ამ დედააზრს იუსტიციის სახლის გარეგნულ ბრჭყვიალებას და ყველაფერი ნათელი გახდება. ამ მოსაზრების გასაძლიერებლად დამატებით შემოვიშველიებ თავად ლოტოსის მშვენიერი ყვავილის გამოსახულებას და კიდევ ნიუდელიში 1986 წელს აღმართულ ბაჰაისსათაყვანებელი **„ლოტოსის ტაძრის"** რეპროდუქციას (ავტორი – ფარიბორზ საჰბა), სადაც ნებისმიერი რელიგიის წარმომადგენელს შეუძლია ილოცოს, რამეთუ ეს მრევლი საკუთარი თავის დამვიწყებელი კასტაა, იგივე ჩინგიზ აითმათოვის მანქურთები რომანიდან „И долъше века длится денъ". აქ კი, ჩვენთან, ამ ანტისახელმწიფოებრივ კამპანიაში, ფართო მასშტაბით ჩართულან ინდოელები, ჩინელები, არაბები და კიდევ – ათასი ჯურის მოქალაქენი გაფაციცებული სომეხი თუ დოყლაპია ქართველი დილერების მესვეურობით.

მე მოვითხოვე საზოგადოებრივი ურთიერთობის სამსახურისაგან სტატისტიკური მონაცემები – თუ რამდენ უცხოელს, რა ოდენობის მიწის ფართობი შეუძენია ლოტოფაგების იუსტიციის სახლის დაარსების დღიდან, მაგრამ მსგავსი ინფორმაციისათვის მათ საჯარო რეესტრის სააგენტოსკენ მიმითითეს.

თავად ქართველების დემოგრაფიული გენოციდის სქემა კი დაახლოებით ამგვარია მოყვარე მტრისგან: სამუშაო ადგილები მიზანმიმართულად არ იქმნებოდა წლობით. **„მარტინ ბაუერი"** და სხვები განგებ გვიჩანაგებდნენ სტრატეგიულ დარგებს – მეჩაიეობას, ენდემურ ჯიშებს, მსუბუქ მრეწველობას, მეაბრეშუმეობას... კიდევ მრავალი საშვილიშვილო მიმართულებას მოგვისარგალებენ ისინი მომავალში ეკონომიკური დივერსიებით. განუბაჟებლად შემოდიოდა და შემოდის ქვეყანაში სუროგატი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი. უცხოეთში საშოვარზე გადაგვიხვეწეს ქართველობა და შედეგად მივიღეთ ის, რომ ლამის მუქთად იყიდება დღეს ჩვენი საარსებო გარემო. ქვეყნის ბიუჯეტში შემოსულ მილიონებს კი **"ნაცმოძელების"** პრივილიგებული ჩინოვნიკობა ითვისებდა და ახლა მათთან კოჰაბიტირებული დღევანდელი ხელისუფლება ითვისებს უცხვირპიროდ ზორბა-ზორბა პრემიების, გაუმართლებელი მივლინებების, აღვირახსნილ ღრეობათა **"საჭიროებისთვის"** და ვინმეს თუ ოდნავ შეეხნენ სახალხო დოვლათის მისაკუთრების ბრალდებით, თურმე პოლიტიკური ზეწოლაა, პოლიტიკური ანგარიშსწორება!

საპასპორტო ვალდებულებანი ყველა ცივილიზებულ ქვეყანაშია დაწესებული, მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ კუთხით გიგა ბოკერიას სახელმწიფო **„უშიშროების"** საბჭოს საშიშროებიდან დაწყებული თითსაც არავინ ატოკებს დღესაც. მაგალითისთვის, ერთი ჩვენი თანამოქალაქე ნ. შ. ვერაფრით გადაურჩა დეპორტაციას ირლანდიიდან, დუბლინიდან იმისდა მიუხედავად, რომ იმათი ენა მშობლიურივით აითვისა, ყირმიზიც იყო და გავლენიან ხანდაზმულსაც უვლიდა მზრუნველობით. რა სურათია ჩვენთან?!

არალეგალი ზანგი ჯონსონ ვაესია ნიგერიიდან (თუკი მათხოვრის დაქართულებულს დაეჯერება), დღესაც ჯიუტად იწვდის ხელს **"რუსთაველის"** მეტროპოლიტენის შესასვლელთან. ეს ჟესტი ნეგროიდის თანამოქალაქედ აღიარების ფსიქოლოგიას ემსახურება. **"გაიღეთ მოწყალება შავკანიანი ქართველის მიმართო!"** გეჭედება გონებაში, თითქოს მეტროპოლიტენის ვაგონებში დაჩოქილი ბოშა მათხოვრების არიები არ გვყოფნიდეს.

ნავთსაყუდელის მაძიებელი ეს ნეგროიდები იმოსებიან თეთრი ჩოხა-ახალუხებით ჩვენი მიამიტი მოსახლეობის გულის მოსანადირებლად. მათ დეპორტაციაზე ხმის გაღება კი ქსენოფობიაა, რასიზმი.

უნებურად გეფიქრება, რომ **„ნაცმოძელებს"** მთელი პლანეტის საქართველოში შეყრა რომ განეზრახათ, **"მეოცნებენიც"** კვალში მიჰყვებიან სასაკლაოს გამოცდილებით!

ქართული მიწების დემოგრაფიული ფანდით დატაცების საქმეში გამოარჩევენ XXI საუკუნის ხანუმები, რომლებიც ჩინებულად აკვარახჭინებენ არალეგალების ჩამოსიძებას ხუთივე კონტინენტიდან. დიახ, უცხოელების მოზიდვის ციებ-ცხელებაა გაჩაღებული დღეს საქართველოში, ქართველების ამოსაძირკვად!

საილუსტრაციოდ, 1988 წლის აღწერით საქართველოში 5.424.400 მოქალაქე აღირიცხა. აქედან ქართველი – 71,3 პროცენტია; 1995 წლის სტატისტიკით საქართველოს მოსახლეობა 5.061.700-ამდეა შემცირებული. 2003-ში – 4.315.200 მოქალაქეა. აქედან ქართველი 1979-ში – 3, 433.000 მოქალაქეა, 1989-ში – 3.787.000, 2002-ში – 3.661.000.

ამას მივუმატოთ საუკუნეობით გვარნაცვალი ათასობით **"ქართველი"** და ბოლო 9 წლის განმავლობაში **"ნაცმოძელთა"** საჩუქარი არალეგალების ჯგრო და მიმიხვდებით, სატაშფანდუროდ ნამდვილად არ გვცხელა.

პროტოიბერიული მოდგმის მისია გენიალური სალვადორ დალის ფერწერული ტილოთია მონიშნული – **"ახალი ადამიანი..."** – მიშვერილია თითი კავკასიას, საიდანაც უეჭველად უნდა აღმოცენდეს კაცობრიული ხსნა (ქართული ვერსიით). ან დასამარდეს ოლიგარქიული მსოფლიოს ზრახვებით.

გავიხსენოთ იოანე-ზოსიმე: **"დამარხულ არს ენაი** (მოდგმა, ტომი, ზ. გამსახურდია) **ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა, საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამითა ენითა. და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამ ენასა ლაზარე ჰქვიან".**

კანონი ატუსაღებს დამნაშავეს; მეთევზენი ზღვის მორიელს შხამს ამოაცლიან და გაუშვებენ ხოლმე. ქართული მწერლობაც ასე იყო ოდითგან (ი. ჭავჭავაძე, ნ. მიწიშვილი, ნ. ნიკოლაძე, დ ყიფიანი, ა. ბაქრაძე, ზ. გამსახურდია), ამხელდა საზოგადოების წურბელას და სამშვიდობოს ისტუმრებდა ნიღაბახდილს, სანამ ეკლიან მაყვლოვანში არ გაიბურდა ეროვნული სიტყვიერება...

ჩვენი კრედო შეუთავსებელთა შეთავსებაა – თეზა-ანტითეზა-სინთეზი (ჰეგელი); ჩვენი კრედო თავისუფლებაა – შეგნებული აუცილებლობა; ჩვენი კრედო მრავალერთიანობაა – ნაწილისა და მთელის თანამშრომლობა (კანტი), მაგრამ ქვეყნიერებაც რომ დაიქცეს, მართლმსაჯულება უნდა აღსრულდეს! (რომაული სენტენცია). და აი, ამ საუნჯეების მეპატრონე ხალხს, რომელნიც დღესაც ჯიუტად ვიმეორებთ ზოგადკაცობრიულ სტრიქონებს: **"იქნება ვეფხის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა, წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა შვილისაო"**, 9 წელიწადია ულტრაგლობალისტი **"ნაცმოძელები"** უქართველებო საქართველოს გვიკმაზავდნენ ლოტოსის სახურავიანი იუსტიციის სახლის სალაფავით... აწი ჩვენზეა დამოკიდებული სიცოცხლე გვინდა თუ სიკვდილი!

..."**აი-ია"** შუმერული **"ან-ქი"**-ს (ცა-მიწა, სამყარო) და მეგრული **"ქი-ანა"**-ს (სამყარო) დაშიფრული ჩანაწერია. იგი ეზოთერიკის ენაზე იკითხება როგორც – ან-ქი – ქიანა, ანუ ბრძენკაცი იაკობისგან ტოლობის ნიშანია დასმული შუმერულ და იბერიულისგან (სვანურ-ლაზ-მეგრულისგან) აღმოცენებულ ქართულს შორის.

**„აი ია"** ა (ნ-ქ) ი (ქ) ი ა (ნ) (ა)

ეს ყველაფერი ეზოთერიკული წიაღსვლებითაა მოტანილი ჩვენამდე, საგანგებოდ შენიღბული ენით, სანამ მისი ხმამაღლა გაცხადების ჟამი მოაწევდეს და რადგანაც ასეთი ჟამიც დასდგომია პროტო-ქართულ ცივილიზაციას ჩვენსას, შედარებით გასაგები ენით ავუხსნით შთამომავლობას, თუ საიდან მოვდივართ, ვინ ვიყავით 10.000, 8.000, 4.000, 2.000 წლების წინათ, რათა მეტი გულისხმიერებით მიადევნოთ თვალი პროტოიბერიელების ყოფიერების სპირალს, რომლის მიხედვით ცხადლივ დალაგდება ჩვენი სულიერების ანი და ჰოე, ალფა-ომეგა, საწყის-სასრული...

რის გამო უნდა გვჯეროდეს ჩვენ, იბერიონელებს, ცრუპენტელა წყაროებისა, რომლებმაც აიეტის ასული მედეა ძმისმკვლელად აქციეს, თითქოს ხომალდ **„არგოზე"** ამოატყუებინეს ღვიძლი ძმა აფსირტე და ერგასეულ (50) მოხალისე პელაზგს ნაკუწებად აქცევინეს ჰელიოსის პატივმოყვარე ბადიში; ან იმ შეთითხნილი **„დოკუმენტებისა",** იგივე მედეას საკუთარი ხელებით რომ მოაკვლევინეს საკუთარი ვაჟიშვილები, როცა თავად დახოცეს სალოცავის კედლებს შეხიზნულები; რისთვის უნდა გვჯეროდეს, ჩვენ, იბერიონელთა კაცობრიული ცხოვრების პლაგიატური შინაარსის ინტერპრეტაციებისა, რომლებიც წარღვნის შუმერულ ტექსტებს თავიანთ ენებზე აამეტყველებენ, გადანათლავენ მის ჭეშმარიტ სულისჩამდგმელ უთანაფიშთიმს, ათარხასისს – ზიუსუდრად, ნოედ; ან ნიადაგ ჩასაფრებული გაღმა შემოდავებების, რომლებიც ურცხვად იჩემებენ ჩვენს ტაძარსალოცავებს, **„ვეფხვისტყოსანსაც"** კი, მაშინ, როცა თავად ვართ ამ და ათასჯერ მეტი მსოფლიო მნიშვნელობის ფასეულობათა შემოქმედნი?!

უდავოდ აღმაშფოთებელია **"ასავალ-ასავალში"** (№3, 21-27 იანვარი, 2013), იური ღვინჯილიას სეპარატისტული ოფოფები: **"...საქართველო ჩამოყალიბდა, როგორც ნეონაცისტური სახელმწიფო, სადაც გაბატონებულია ერთი ეთნიკური ჯგუფი – ქართები, რომლებიც არ იძლევიან სხვა ხალხების, კერძოდ – მეგრელების, თავიანთი თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარების უფლებას. ...საქართველოში კვდება ლაზური, მეგრული, სვანური ენები... გამოსავალი არის ერთი – ეს არის სამეგრელოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა".** სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს, **"ნეომაფალუისტ"** ღვინჯილიას **ᲓᲕᲐᲠᲔᲪᲘ** ეწვის სრულიად საქართველოს სახით და დირე-თავხეთა – შემადგენელი ნაწილების – გადარჩენაზე თუხთუხებს ბრმობილი ჭირისუფალივით.

თანადროულია ასევე **"ფაზისის აკადემიის"** მიერ ანათემას გადაცემული ენათმეცნიერების ჯგუფის წარმოჩენა ტარიელ ფუტკარაძის ლოცმანობით. არანაირ აუცილებლობას წარმოადგენდა კვალიფიციურად მომზადებული მისი მონოგრაფია **"ქართველები"** თურქულ ენაზეც თარგმნილიყო, მაგრამ... მაშინ ლაზური კულტურის გადასარჩენად თურქეთში ახლახან დაარსებულ ფონდს **"ჩკუნი ბერეფე"** (ჩვენი შვილები), გაუიოლდებოდა ლაზი ბავშვებისათვის მშობლიური ენის სწავლების შემოღება დაწყებით კლასებში. და, აი, ამას უმარჯვა ზურგში დანა ტ. ფუტკარაძის მიკერძოებულმა დოქტრინამ – არსებობს სალიტერატურო ენა ქართული, ხოლო დანარჩენი – სვანური, მეგრული, ლაზური – დიალექტებია.

ლაზური, რომელიც მეგრულის ტყუპისცალია, მოდის არა ქართულიდან, არამედ – პროტოიბერიულიდან – ქართველურიდან. იძებნება მრავალი სანდო წყარო, რომელთა მიხედვით – შავთმიანი შუმერების შემოქმედი თევზკაცი (ზღვაოსანი) იოანია (ონასისი, იგივე ენ-ქი, ბეროსის მიხედვით, ძვ. III). მოვა სამხრეთ მესოპოტამიაში ერითრიის ზღვიდან და აბორიგენ მოსახლეობას ასწავლის მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, არხების გათხრას, დამწერლობას. და ეს ხალხი, დიახაც, უფალი ფუტკარაძის მიერ დაწუნებულ-დაკნინებული სვან-ლაზმეგრელია, რომელთა შვილებს **"ბერე"** ჰქვიათ მათებურად, ხოლო თავად **"ბერ"** შუმერულში მგელია. გამოდის, რომ ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარი საქართველოში – **"ბერ"** ძირზე შექმნილი: ბერაძე, ბერაია, ბერია, ბერიძე, ბერიკაშვილი, ბერიტაშვილი, ბერიკაული, ბერიშვილი, ბერუაშვილი, ბერულავა, ბერძნული, ლაზმეგრულია და ბერის – ეკლესიის მსახურის შთამომავალს კი არა, (რაც მათ საღვთო კანონით ეკრძალებათ დღესაც კი და ჩვენი სავალალო დემოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით, ალბათ, გადასინჯვას მოითხოვს საპატრიარქოსგან), ტოტემი მგლის ნაშიერს ნიშნავს, იგივე კურდიოგლუს, ვოლკოვს, ვულფს, მგელაძეს, გერგაიას, გერლიანს... ფუტკარაძე კი მიერეკება და მიერეკება თავისას – სვანური, ლაზურ-მეგრული ქართულის დიალექტებიაო, (რათა, თურმე აზერბაიჯანელებს, სომხებს და სხვა ეთნოსებს საქართველოში არ გაუჩნდეთ მსგავსი პრეტენზიები. იმათ აქვთ სამშობლოები და სამართლიანია პატივი მიაგონ საქართველოს სახელმწიფო ენას – ქართულს – უცხოობაში. როცა პირიქითაა საქმე – ჯერ იყო პაპა და მერე – შვილიშვილი; ჯერ იყო პროტოიბერიული (სვანურ-ლაზურ-მეგრული) – და შემდგომ – ქართული ენა, და არა ისე, როგორც ფუტკარაძენი წარმოაჩენენ: იყო და არის ქართული ენა ლაზურ-მეგრულ-სვანური დიალექტებითო.

განსხვავებულია ჩვენი პასუხისმგებლობა იბერიული მოდგმის მიმართ. ჩვენ მივაგენით შუმერული ენის გასაღებს – აი ია – ა(ნქ)ი (ქ)ია(ნა) – ცა-მიწა – სამყარო. ხოლო ამ და სხვა საიდუმლოთა მფლობელი ხალხი – პროტოიბერიელები განფენილი იყო ინდოეთის ნახევარკუნძულიდან ევროპამდე (ი. ჯავახიშვილი, ვ. ჰუმბოლდტი, ზ. გამსახურდია).

თეთრი ალბიონი ამ რასის მეტსახელია და ნიშნავს ალიბეს (ჰომეროსი), ალბანს, ჰალიძონს, ხალიბს – კოლხს ზოგადად, დღევანდელ ქართველს. ატლანტიდის ცივილიზაციის დაღუპვის შემდეგ (პლატონი, რ. შტაინერი, ჰ. წულაია) ეს ხალხი აღვავსებთ მთელს მცირე აზიას და იწყება თეთრი რასის გაუგონარი მემსხვერპლეობა დანარჩენი მსოფლიოს გასაპოხიერებლად.

ჯერ პელაზგურ-ეტრუსკულია ეს სივრცე. კირკეს შთამომავალი რომულუსი – ძუ მგლის, დედალი ბერ-ის გამოკვებილია. ამ ჯიშ-ჯილაგს გვკაფავენ, გვანადგურებენ ათსწლეულობით, გვაიძულებენ ასიმილაციას – გამანქურთებას, გასხვაპურებას; შეგვყრიან ანისტორესიულ სამსალას (ისტორიული მეხსიერების დაკარგვა) და მაინც ფეხზე ვდგავართ და მაინც ჩვენი ჩამომავალნი არიან ამერიკასა თუ ნისლიან ალბიონში მოდრეიფე შოტლანდიელები, ირლადიელები, ისლანდიელები, ბასკები, ნორვეგიელები; **"უფროს ედაში"** სკანდინავიელების უმთავრესი ღვთაება ოდინი, (რომელსაც რაღაცნაირად ეხმიანება სვანების ვობი და მეგრელების ოდოია). თანმხლები მგლით – გერით მოსიარულეა ზამთარ-ზაფხულ. არ იცის ამ ხალხმა ჯეროვნად ჩვენი სისხლი სისხლთაგანები, ხორცი ხორცთაგანები რომ არიან, თორემ არავის დაანებებდნენ ჩვენს თავს საჯიჯგნად!!!

**გური ოტობაია,**
**მწერალი**

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# როი კინის "ავტობიოგრაფია"



გამოსასვლელი დღე მქონდა და ერთადერთი, რაც უნდა გამეკეთებინა, ექიმთან მივსულიყავი და მისთვის ჩემი დაზიანებული კოჭი მეჩვენებინა. ამის შემდეგ ბიჭებთან ერთად ქალაქში გასვლა გვქონდა დაგეგმილი. "იუნაიტედი" უკვე აღარ არის ის გუნდი, სადაც სმის კულტურა უმაღლეს დონეზე იყო აყვანილი, რასაც ჩემი აქ მოსვლის დროს ვხედავდი. დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა რეგულარული ქეიფი შაბათ საღამოს ბრაიან რობსონთან, სტივ ბრიუსთან, ერიკ კანტონასთან, ლი შარპთან და სხვა ფეხბურთელებთან ერთად. თამაში კი უკეთესობისკენ შეიცვალა. გავიზარდეთ. ახლა ჩვენ ყურადღებას ვაქცევდით საკუთარ კომპლექციას, მივირთმევდით მაკარონებს, ვსვამდით კრეატინს და მშვიდად ვახშმობდით საკუთარ მეუღლეებთან ერთად. პროფესიონალმა როი კინმა სიხარულით მიიღო ახალი რეჟიმი, რომელიც ითხოვდა დისციპლინას, ამას კი მოჰყვებოდა გამარჯვებები.

"მალიგანსი" – პატარა ირლანდიური პაბია, რომელიც მოფარებულ ადგილას მდებარეობს და ბრწყინვალე ადგილს წარმოადგენს ასეთი სასურველი საღამოებისთვის, რომელზეც კოლეგები იკრიბებიან ნორმალური სამუშაო კვირის შემდეგ. "იუნაიტედის" მოთამაშის პოპულარობას ნეგატიური მხარეც აქვს – ნორმალური სიტუაციის დეფიციტი, რასაც იწვევს ჩვენთან ერთად სამი პირადი მცველის ყოფნა.

მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის, შესანიშნავად გავატაროთ დრო. რაიან გიგზი და ნიკი ბატი მსხვერპლს ეძებენ. გარი ნევილი პირს არ ხურავს, პეტერ შმეიხელი მოწყენის საბაბს გვაძლევს. დუაიტ იორკი კარგ ხასიათზეა, დევიდ ბექჰემი გარის უსმენს. ტედი შერინგემი მშვიდადაა და კარგი ბიჭის როლს ირგებს. ის ხომ ლონდონიდანაა! დენის ირვინი და პოლ სქოულზიც მშვიდი ბიჭები არიან.

სხვა ადგილას გადასვლა გადავწყვიტეთ. ერთ-ერთი მცველი ქუჩის მეორე მხარეს გადადის მეორე ბარში სიტუაციის დასაზვერად. არანაირი პრობლემა – გვეუბნება ის. ორ მაგიდას ვიკავებთ და ზეიმს ვაგრძელებთ.

გარკვეული ხანი ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ მალე წარმოიშვა პრობლემა ორი ქალისა და ერთი მამაკაცის სახით. რაიან გიგზს ველაპარაკები, როცა ერთ-ერთი ქალი მიახლოვდება და სასმელზე დაპატიჟებას მთხოვს. ჩვენ არ ვიმჩნევთ, მაგრამ ის ჯიუტად დგას თავისაზე. ამასობაში, მას მეგობარი გოგონა და ბიჭი უერთდება. სხვა ადგილას გადავდივართ, ისინი უკან მოგვყვებიან.

"არ გინდა გოგოს სასმელი უყიდო?" – ბიჭი წინ დამიდგა და თან ამ ფრაზას უწმაწური სიტყვები მოაყოლა. აგრესიას აგრესიით ვუპასუხო?.. რა თქმა უნდა, ასეთ სიტუაციაში გონივრული საქციელი იქნებოდა მცველების მოხმობა. საუბედუროდ, დალევის შემდეგ გონივრული საქციელი არ გახლავთ ჩემი თვისება.

"გაეთრიე აქედან და თავი დაგვანებე!" – ვპასუხობ მე.

"თავად რატომ არ გაეთრევი აქედან! თავი ვინ გგონია?" – მპასუხობს ქალი ნომერი პირველი.

მოულოდნელად, თვალთან ახლოს ჭიქა მომხვდა. ბიჭს ხელი ვკარი.

შემდეგ კი ყველაფერი აირია. მომდევნო წამები თითქოს ბურუსით იყო მოცული. მოგვიანებით გავიგე, რომ ქალები ბარიდან გავიდნენ დასარეკად. ერთს გაზეთ "სანში" უნდა დაერეკა ამ ისტორიის მოსაყოლად, მეორეს – პოლიციაში, რათა როი კინის მხრიდან თავდასხმის შესახებ ეცნობებინა. მოგვიანებით, ეს ბრალდება უარყო ბარის მეპატრონემ. მან დაადასტურა: "როი გაეცალა გოგონებს, რომლებიც მას ეტორღიალებოდნენ, ერთ-ერთმა კი ჭიქა სახეში ესროლა. ამ მომენტში გოგონებს ბარის დატოვება მოსთხოვეს".

ხმაურით მოვიდა პოლიცია. შეიკრიბა ადამიანების ჯგუფი. უკვე ვხედავ ხვალინდელი გაზეთების სათაურებს.

"წამობრძანდით, მისტერ კინ",– ზრდილობიანად, მაგრამ მკაცრად მეუბნებიან. პოლიციის მანქანის უკანა სავარძელზე ვზივარ. "იდიოტი ხარ. რატომ შენ? როგორც ყოველთვის შენ? ერთადერთი არ ვიყავი, ვისაც ისინი აწუხებდნენ, მაგრამ მხოლოდ მე გადავწყვიტე ჩარევა. ისევ",– ვფიქრობდი მე.

პოლიციის განყოფილებაში ვყვები მომხდარის შესახებ. ისინი მისმენენ. საუბედუროდ, ქეიფის შემდეგ ჩემი გარეგნობა ნდობას არ იწვევს. კამერაში მიმაბრძანეს გამოსაძინებლად. ღამე გრძელი იყო და თითქმის არ მძინებია.

პირველ რიგში, ვფიქრობდი ტერეზაზე და შვილებზე. მალე გაფხიზლებს სინანული და სირცხილი. სახლის გარშემო ჟურნალისტების ბრბო იქნება შეკრებილი იმ დროს, როცა შენონი სკოლაში წავა. შემდეგ კლუბი გამახსენდა: მას ორი უმნიშვნელოვანესი თამაში ელოდება, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე მთავარია "იუნაიტედის" ისტორიაში, ამ დროს კი მისი კაპიტანი კამერაში ზის სიმთვრალის ნიადაგზე კონფლიქტისთვის და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის!

დიახ, ეს პროვოკაცია იყო, მაგრამ ეს არ ამართლებს ჩემს საქციელს – სულელივით მოვიქეცი. გიჟი და ველური კინი. მაიკლ კენედის დავურეკე, რომელმაც მირჩია, თავი ხელში ამეყვანა და არაფერზე მენერვიულა. კორკში ოჯახის წევრებზეც ვფიქრობდი. ისინი შლიან გაზეთებს, კითხულობენ სათაურებს, ცდილობენ თავიდან აიცილონ მეზობლებთან შეხვედრა და აიტანონ მათი ვაჟის გამო გამოწვეული სირცხვილი. უკვე მერამდენედ. რა სულელი ვარ.

მომდევნო დილას მწვრთნელმა მომაკითხა. მას მაიკლმა დაურეკა, თუმცა საჭირო არ იყო ამის გაკეთება. მანჩესტერი – დიდი სოფელია. თუ რამე დააშავე, მწვრთნელს უკვე მომდევნო დილით ეცოდინება ამის შესახებ. და აზრი არ აქვს თავის მართლებას და მოტყუებას. ყოველთვის პატიოსანი ვიყავი მასთან, მაღლა ვწევდი ხელებს და ახლა გამომადგა ეს პატიოსნება. როცა ბარში მომხდარი მოვუყევი, დამიჯერა. "გამოგიყვან", – მითხრა მან. სულაც არ უხარია ინგლისის თასის ფინალამდე ოთხი დღით ადრე ჩემი პატიმრობა. ასეთ სიტუაციებში მწვრთნელი ყოველთვის პოულობს გამოსავალს და საუკეთესო კუთხით წარმოაჩენს თავს. მან იცის, რა მდგომარეობაში ვარ და უმჯობესია, არ დაიწყოს ჩემთან სერიოზული ლაპარაკი.

თავდებში გამომიშვეს. დამარწმუნეს, რომ თუ ბრალდება არ დამტკიცდებოდა, ამ საქმეზე აღარაფერს გავიგებდი. დამშვიდებული გულით წავედი ტერეზასთან და ბავშვებთან. თან დავიფიცე, რომ აღარასოდეს ჩავიდენდი ასეთ რამეს. რა თქმა უნდა, ადრეც დამიდია ასეთი ფიცი.

ჩემი ბოლო თამაში სეზონში. "ნიუკასლზე" გამარჯვება 90-იან წლებში მესამე დუბლს და ისტორიაში ადგილს მოგვიტანდა.

განსაკუთრებით არასოდეს მაღელვებდა მთელი ეს საუბრები "ტრებლიზე" ოცნებების ასრულების შესახებ. მოთამაშეებისა და მწვრთნელებისთვის იქ მაღალი სტანდარტების დეფიციტია. გეჩვენება, რომ მინდორი ტრიბუნებიდან რამდენიმე მილით არის დაშორებული, ატმოსფეროც არაა სათანადო...

როცა "ნიუკასლთან" მატჩის წინ მოთელვა დავიწყე, მივხვდი, რომ ჩემი მარცხენა კოჭი ბოლომდე აღდგენილი არ იყო. რისკზე წავედი, რადგან არ ვიცოდი, შევძლებდი თუ არა მთელი მატჩის ჩატარებას.

მხოლოდ რვა წუთის თამაში შევძელი. გარი სპიდმა უხეშად ითამაშა ჩემ წინააღმდეგ – დაგვიანებული ილეთი ართმევისას. მან, რა თქმა უნდა, შეგნებულად იუხეშა. ამჯერად, ჯანმრთელი მარჯვენა კოჭის მყესები გავიწყვიტე. ასი პროცენტით მზად რომ ვყოფილიყავი, სპიდი ვერ დამეწეოდა. ორი წუთის შემდეგ კოჭლობით დავტოვე მინდორი. კიდევ შევხვდები გარის.

მწვრთნელმა მოედანზე ტედი გამოიყვანა, რაც გონივრული სვლა აღმოჩნდა. შერინგემმა გოლი გაიტანა და საგოლე პასი მისცა სქოულზს. დუბლი მოვიგეთ. "ტრებლის" "სასწაულებისა" და "ოცნების" მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულების მიუხედავად, ნამდვილი კმაყოფილება მივიღე, როცა ბიჭებს წინ გავუძეხი საპატიო ლოჟისკენ და პრინც ჩარლზისგან თასი ჩავიბარე. სამუშაო გაკეთებულია.

შემდეგი სამუშაო, როგორი სამწუხაროც არ უნდა იყოს, ჩემთვის არ არის განკუთვნილი...

## გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II,III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

## იუმორი

გურული შედის ეკლესიაში და ლოცულობს:
– ღმერთო რომ ხარ ქე ვიცი.. რაც მინდა ქე იცი... აბა შენ იცი..

* * *

გურულმა ცოლს საყვარელთან შეუსწრო და გადირია:
– რას შობა ქალო აი ყაზახი ჩემ ლოგინში!
გამოყო ცოლმა თავი საბნის ქვეშიდან:
– სასწოულს შობა, სასწოულს!

* * *

ცოლ-ქმარი მაღაზიაში შედიან. ქმარი გამყიდველს მიმართავს:
– თუ შეიძლება, აი, ის ძეხვი ამიწონეთ, სამასი გრამი, ძაღლისათვის.
– პოლ, – ეჩურჩულება ცოლი ქმარს, – კი მაგრამ, ჩვენ რომ ძაღლი არ გვყავს?
– სუ, – აჩუმებს ქმარი, – ნუ წკმუტუნებ!

* * *

შვილი ეუბნება მამას:
– მამი სკოლაში ცისფერს მეძახიან!
– მერე ვერ დაუნგრევ ცხვირ-პირს?!
– რატომ, მამ, იცი რა საყვარლები არიან?!


სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში




დომენტი ბაბნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, ბაბნიძე ბიჭიკო (დომენტი). ტელ: 893-22-66-51

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.




მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან



ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირბატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge